ResearchGate

See discussions, stats, and author profiles for this publication at: https://www.researchgate.net/publication/340609847

Comparative Corporate Law (Comparative-legal review of the corporate systems of European Union, USA, Great Britain) Free economic zones

Book · January 2013

CITATIONS
11

READS
1,691

2 authors:

George G. Tumanishvili
Masaryk University
109 PUBLICATIONS **274** CITATIONS

SEE PROFILE

Dimitri Karuna
Ilia State University
3 PUBLICATIONS **11** CITATIONS

SEE PROFILE

All content following this page was uploaded by George G. Tumanishvili on 13 April 2020.

The user has requested enhancement of the downloaded file.

შედარებითი საკორპორაციო სამართალი:

ევროკავშირის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის საკორპორაციო სისტემების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა

თავისუფალი ეკონომიკური ზონები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი — 2013 წელი

შედარებითი საკორპორაციო სამართალი:

ევროკავშირის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის
საკორპორაციო სისტემების შედარებით-სამართლებრივი
მიმოხილვა

თავისუფალი ეკონომიკური ზონები
ოფშორული ზონები

მკვლევარი: სამართლის მაგისტრი,
დიმიტრი კარუნა

რედაქტორი: პროფ. სამართლის დოქტორი,
გიორგი გ. თუმანიშვილი

ISBN 978-9941-18-156-6

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

რედაქტორისგან 5

EDITOR'S FORWARD..... 7

შესავალი 9

§1. საკორპორაციო სამართლის ადგილი სამართლის სისტემებში..... 10

საკორპორაციო სამართალი და საკორპორაციო ნორმები 10

საკორპორაციო კანონმდებლობა 15

საკორპორაციო სამართალი, როგორც მეცნიერება..... 16

საკორპორაციო სამართალი, როგორც სასწავლო დისციპლინა..... 16

§2. კორპორაციები ძველ მსოფლიოში და შუა საუკუნეებში 18

ზოგადი მიმოხილვა..... 18

კორპორაციების გამოჩენა ჰოლანდიაში 20

კორპორაციების ჩასახვა გერმანიაში 22

კორპორაციები საფრანგეთში და მათი სპეციფიკა..... 25

კორპორაციების შექმნა ინგლისში 28

კორპორაციების შეღწევა ამერიკის კონტინენტზე..... 31

§3. კორპორაციების თავისებურებები თანამედროვე პირობებში 35

კორპორაციის განვითარების სტადიები..... 37

კორპორაციები ანგლო-ამერიკულ სამართლის სისტემაში 39

საკორპორაციო ფასიანი ქაღალდების სახეები აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობის მიხედვით 43

კონტინენტური ევროპის კორპორაციების ნიშნები და თავისებურებები 45

იურიდიული პირების საქმიანობის სფეროში ევროპული კავშირის აქტების მიღების აუცილებლობა 48

საკორპორაციო ფასიანი ქაღალდების სახეები ევროპული ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით..... 52

საკორპორაციო ურთიერთობები როგორც საკორპორაციო სამართლის რეგულირების საგანი..... 57

კორპორაციის ცნება 57
მეწარმეობა, როგორც საკორპორაციო
სამართლის ძირითადი ობიექტი 62
საკორპორაციო ნორმების ცნება და მათი სახეები 68
საკორპორაციო ნორმების საერთო ნიშნები 70
საკორპორაციო ნორმების მიმართება
ცენტრალიზებულ ნორმებთან 71
კორპორატიული ნორმების შექმნის პრინციპები 74
კორპორატიული ჩვეულება და
კორპორატიული საქმიანი ჩვევები 75
კორპორატიული პრეცედენტები 78
კორპორატიული მართვის ცნება 79

§4. კორპორატიული მართვა 85
კორპორატიული მართვის პრინციპები 85
კორპორატიული მართვის მოდელი ევროპის
კანონმდებლობის მიხედვით 87
კორპორატიული მართვის მოდელები აშშ-ისა და
დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობის მიხედვით 95
საზღვარგარეთის ქვეყნების კორპორაციების
ქცევის სტანდარტები 103

§5. თავისუფალი ეკონომიკური ზონები, ოფშორული ზონები 109
ზოგადი ნაწილი 109
თავისუფალი ეკონომიკური ზონების ზოგადი დახასიათება 109
ოფშორული ზონები, მათი ფუნციონირების
მიზნები და პრინციპები 111
ოფშორული ზონების შექმნის ისტორია 114
ოფშორული კომპანიების ტიპები და მათი საქმიანობა.....116

დასკვნები 118

გამოყენებული ლიტერატურის და რესურსების სია..... 120

რედაქტორისგან

თქვენს წინაშეა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარის, დიმიტრი კარუნას, კვლევა რომელიც ეხება საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებს, კერძოდ კი ევროკავშირის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის საკორპორაციო სამართლებრივი სისტემების შედარებით-სამართლებრივ კვლევას, ასევე თავისუფალ ეკონომიკურ და ე.წ. ოფშორულ ზონებს.

მოგეხსენებათ, საქართველოში მკითხველი არ არის განებივრებული საერთაშორისო კერძოსამართლებრივ საკითხებზე არსებული ლიტერატურით, რომელიც ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე. ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას ქართულ სინამდვილეში, შეძლებისდაგვარად, შეივსოს ის ინფორმაციული ვაკუუმი, რომელიც შექმნილია განსახილველ (განხილულ) საკითხებთან მიმართებაში.

ნაშრომი შედგება რამოდენიმე ნაწილისაგან (პარაგრაფისგან), რომელთა არქიტექტონიკა ვფიქრობ, გაუადვილებს მკითხველს მოცემული საკითხ(ებ)ის აღქმას.

§1. საკორპორაციო სამართლის ადგილი სამართლის სისტემებში;

§2. კორპორაციები ძველ მსოფლიოში და შუა საუკუნეებში;

§3. კორპორაციების თავისებურებები თანამედროვე პირობებში;

§4. კორპორატიული მართვა;

§5. თავისუფალი ეკონომიკური ზონები, ოფშორული ზონები.

ნაშრომს აქვს შესავალი, რომელშიც დასმულია ის პრობლემატური საკითხები, რომლებსაც ნაშრომში იკვლევს ავტორი, ხოლო ნაშრომის დასკვნაში მოცემულია ის პასუხები, რომლებიც მიღებულ იქნა ჩატარებული კვლევის შედეგად.

ვფიქრობ სამომავლოდ აუცილებელია განხორციელდეს დიმიტრი კარუნას მიერ დასმული საკითხების უფრო სიღრმისეული და დეტალური კვლევა, რაც განაპირობებს საკითხების მიმოხილვითი ჭრილიდან სიღრმისეული ანალიზის ჭრილში გადანაცვლე-

ბას, რაც მხოლოდ გაამდიდრებს მკითხველის თვალსაწიერს და ცოდნას მოცემულ საკითხებთან მიმართებაში.

იმედს ვიტოვებ, რომ თქვენს წინაშე არსებული ნაშრომი (კვლევა) დაგეხმარებათ, როგორც საკითხის თეორიულ გააზრება/შესწავლაში, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში.

პატივისცემით,
პროფ. სამართლის დოქტორი,
გიორგი გ. თუმანიშვილი

EDITOR'S FORWARD

The following research study, conducted by the Ilia State University researcher Mr. DimitriKaruna, is related to issues of international private law, in particular, to the comparative study of corporate law systems of the European Union, United States of America and Great Britain. It also deals with the free economic and, the so called, „offshore" zones.

As you may already know, the scope of literature on international private law issues, available to our readers in Georgianlanguage, has been typically limited. This research study represents an attempt to fill, as far as possible, the information vacuum existing in relation to the above issues.

The design of thestudy, consisting of several parts (paragraphs), should make it easier for the readers to understand the explored issues.

§1. Place of corporate law in the legislative system;
§2. Corporation of the Old World and Middle Ages;
§3. Characteristics of corporations within the modern context;
§4. Corporate Management;
§5. Free Economic Zones, Offshore Zones.

An introduction to the study puts forward the problematic issues explored by the author, while its conclusion part provides answers obtained though the conducted research.

I believe it is important to carry out more profound and detailed research of the issues raised by Mr. Karuna

in the future, that will advance the subject from the mere review of it to its more profound analysis, enriching the readers' outlook and knowledge of the subject.

I hope that the present study (research) will help you to develop theoretical understanding of the subject as well as to successfully apply your knowledge to practice.

Yours sincerely,
Professor, Doctor of Law
Giorgi Tumanishvili

შესავალი

მოცემული კვლევის საკითხების და თემების აქტუალურობა განაპირობა დღევანდელმა რეალობამ, ქვეყნის განვითარებამ და მისი საერთაშორისო არენაზე გასვლამ, რამაც ფორსირება მოახდინა სპეციალიზირებული ინფორმაციის, ლიტერატურის მოთხოვნაზე, როგორც პროფესიონალებში, ასევე პირებში, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კვლევაში გამოტანილი საკითხებით.

ნაშრომში არის წარმოდგენილი და გაშუქებული საკორპორაციო ურთიერთობები, საკორპორაციო სამართალი, მისი ადგილი სამართლის სისტემაში, საკორპორაციო სამართლის ნორმები: დღესდღეობით არსებული და მოქმედი საკორპორაციო სამართლებრივი სისტემები, კერძოდ ევროკავშირის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის საკორპორაციო სამართლებრივი სისტემები, სისტემების სამართლებრივი შედარებითი მიმოხილვა და მნიშვნელოვანი ასპექტების შედარება. იმისათვის, რომ მკითხველს შეძლებისდაგვარად მივაწოდოთ სისტემებზე არსებული სრული სურათი, ნაშრომში წარმოდგენილია ზემოთხსენებული საკორპორაციო სისტემების ევოლუცია, დაარსების პროცესებიდან დღევანდელ მოქმედ მდგომარეობამდე, სისტემების თავისებურებები და ნიშნები; საკორპორაციო მართვის მეთოდები, მოცემულ სფეროში მიღებული ქცევის სტანდარტები, სისტემებში არსებული საკორპორაციო ფასიანი ქაღალდების სახეები და ა.შ.

დამატებით შემოთავაზებულია, დღეს არანაკლებ აქტუალური თემის მიმოხილვა როგორიცაა – თავისუფალი ეკონომიკური ზონები და ოფშორული ზონები, მათი დახასიათება, მიზნები და პრინციპები, ოფშორული კომპანიების ტიპები და მათი საქმიანობა, რაც მკითხველს მისცემს საშუალებას მიიღოს არსებული ბაზრის მეტად ფართო სურათი.

პატივისცემით

დიმიტრი კარუნა

§1. საკორპორაციო სამართლის ადგილი სამართლის სისტემებში

საკორპორაციო ურთიერთობების განსაკუთრებულობა განაპირობებს მათი რეგულირების სპეციფიურობას საკორპორაციო სამართლის ნორმების დახმარებით.

საკორპორაციო სამართალი და საკორპორაციო ნორმები

რა არის საკორპორაციო სამართალი?

საკორპორაციო სამართალი შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე ასპექტში.

პირველი – როგორც ობიექტურად შექმნილი სისტემა სამართლებრივი ნორმებისა, რომლებიც აწესრიგებენ საზოგადოებრივი ურთიერთობის განსაზღვრულ წრეს. მეორე- როგორც სისტემა, განსხვავებული დარგობრივი კუთვნილების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებისა, რომელიც წარმოადგენს საკორპორაციო სამართლის წყაროს. მესამე – როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, და მეოთხე – როგორც სამეცნიერო დისციპლინა.

დავიწყოთ პირველი ასპექტით. თუ საკორპორაციო სამართალი – სამართლებრივი ნორმების ობიექტურად შექმნილი სისტემაა, მაშინ როგორია ამ სამართლებრივი ნორმების ხასიათი, შეიძლება ჩაითვალოს რომ ეს ნორმები ქმნიან სამართლის დარგს თუ არა? მოდით გავეცნოთ ამ სფეროს სამართალმცოდნე ავტორების მოსაზრებებს. ს.ს. ალექსეევი საკორპორაციო სამართალს სამოქალაქო სამართლის მოდურ და მზარდ ინსტიტუტს უწოდებს[1].

ნ.ნ. პახომოვას აზრით, საკორპორაციო სამართალი არის არა ინსტიტუტი, არამედ სამოქალაქო სამართლის ქვედარგი[2].

უპირველეს ყოვლისა საკორპორაციო სამართალი – ეს არის გაერთიანებების კერძო სამართალი. როგორც სამართლებრივი ნორმების სისტემა, საკორპორაციო სამართალი წარმოადგენს შე-

---

1 Алексеев С.С. *Собственность в акционерном обществе//Цивилистическая практика.* 2003. N 1 (6). С. 3

2 Пахомова Н.Н. Указ. соч. გვ. 159.

მადგენელ ნაწილს კომერციული (სამეწარმეო) სამართლისა მის ისეთ შემადგენელ ნაწილებთან ერთად, როგორიცაა საბანკო, სადაზღვევო, საბირჟო სამართალი და ა.შ. ეს არის სისტემა ისეთი სამართლებრივი ნორმებისა, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს, დაკავშირებულს კორპორაციის ფორმის სამეწარმეო გაერთიანების ორგანიზებასთან და ფუნქციონირებასთან.

ვინაიდან, კომერციული სამართალი არის ერთობლიობა სამოქალაქო სამართლის საერთო და სპეციალური ნორმებისა[3], ამდენად, საკორპორაციო სამართალი – ეს არის უწინარესად სამოქალაქო სამართლის საერთო და სპეციალური ნორმების სისტემა, რომლებიც არეგულირებენ კორპორაციის ფორმის სამეწარმეო გაერთიანების სამართლებრივ დებულებებს.

საკორპორაციო სამართლის ცნება იურიდიულ ლიტერატურაში განიხილება, როგორც ფართო, ისე ვიწრო გაგებით.

ფართო გაგებით, საკორპორაციო სამართალი – ეს არის სამართალი როგორც პერსონალური, ისე კაპიტალური გაერთიანებების, რომლებიც იქმნებიან განსაზღვრული ერთობლივი მიზნების მისაღწევად. წიგნში „შესავალი გერმანულ სამართალში“ მოყვანილია საკორპორაციო სამართლის შემდეგი განსაზღვრება: „საკორპორაციო სამართალი, ეს არის სამართალი სამოქალაქო სამართლის საზოგადოებების, ღია სავაჭრო ამხანაგობის (საზოგადოების), კომანდიტური ამხანაგობის (საზოგადოების), დახურული საზოგადოების (არასავჯარო ამხანაგობის), საპარტნიორო საზოგადოების, ევროპული სამეურნეო ინტერესთა გაერთიანების, გემთმფლობელების თანამეგობრობის, კავშირების, სააქციო საზოგადოებების, აქციებზე დაფუძნებული კომანდიტური საზოგადოებების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების, რომლებიც შეტანილნი არიან წილებზე დაფუძნებული ამხანაგობების და სადაზღვევო საზოგადოების რეესტრში”[4]. სხვა სიტყვებით, ეს არის, განსაზღვრული საერთო მიზნისთვის შექმნილი ნებისმიერი გაერთიანებების (კაპიტალური და პერსონალური) სამართალი.

3 Попондопуло В. Ф. *Коммерческое (предпринимательское) право*. Учебник. М., 2003. გვ. 15.

4 Жалинский А., Рерихт А. Указ. соч. გვ. 488.

საკორპორაციო სამართლის ფართო გაგებიდან ამოდის ტ.ბ. კაშანინა, რომელიც განიხილავს მას, როგორც სამეურნეო ამხანაგობებისა და საზოგადოებების სამართალს. „მისი აზრით, საკორპორაციო სამართალი, ეს არის ქცევის წესების სისტემა, რომლებიც შემუშავებულია პირებისა და კაპიტალის გაერთიანებებზე დაფუძნებულ ორგანიზაციაში, გამოხატავენ მისი კოლექტივის ნებას და აწესრიგებენ ამ ორგანიზაციის საქმიანობის სხვადასხვა მხარეებს“[5]. საკორპორაციო სამართალს, ასევე, შეიძლება ეწოდოს შიდასაორგანიზაციო, შიდასაწარმოო სამართალი. „ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს ავტონომიურ წარმონაქმნს, გარკვეულ სოციალურად სასარგებლო საქმიანობის განხორციელებისთვის შექმნილი პირების და კაპიტალის გაერთიანების სახით, უფლება აქვს ჩამოაყალიბოს მისი წევრებისათვის განსაზღვრული ქცევის წესები, რათა ყველაზე ეფექტიანად მოახდინოს მათი საქმიანობის ორგანიზება, და მიღწეულ იქნეს ორგანიზაციის წინაშე დასახული მიზნები და ამოცანები“[6] – აღნიშნავს ტ.ბ. კაშანინა. საკორპორაციო სამართლის ასეთ ფართო გაგებას უდავოდ აქვს არსებობის უფლება, მაგრამ არ შეესაბამება კორპორაციის – როგორც სამართლის ახალი სუბიექტის გამოჩენის ისტორიულ ბუნებას, რომელიც არსებობს მისი მონაწილეთა შემადგენლობისგან დამოუკიდებლად და რომელთა მართვაც ემყარება მათ პირად ნებას. ვიწრო გაგებით, საკორპორაციო სამართალი ეს არის კერძო სამართალი, სამეწარმეო „კაპიტალური გაერთიანებების“ სააქციო საზოგადოებების (სამეწარმეო კორპორაციების) სამართალი, ამასთან, ის არ დაიყვანება შიდა საორგანიზაციო, შიდა საწარმოო სამართლამდე – კორპორაციის მონაწილეთა ქცევის წესებამდე“[7]. მისი საგანია საკორპორაციო ურთიერთობები, რომლებიც თავიანთი შინაარსით უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ შიდა საორგანიზაციო ურთიერთობები. დღევანდელ რეალობაში ტერმინის „საკორპორაციო სა-

5 Кашанина Т. В. *Корпоративное право.* Учебник. М., 1999. გვ. 59.

6 Кашанина Т. В. *Корпоративное (внутрифирменное) право*. Учебное пособие. М., 2003. გვ. 16

7 Кашанина Т. В. *Корпоративное право: (Право хозяйственных товариществ и обществ)*. გვ. 59.

მართალი“ გამოყენება ტერმინის „სააქციო სამართალი“ ან „სააქციო საზოგადოების სამართალი“ ნაცვლად, ერთის მხრივ ძალიან პირობითია, მაგრამ მეორეს მხრივ განპირობებულია იმით, რომ რუსულმა სააქციო საზოგადოებებმა მიაღწიეს ისეთ ეკონომიკურ განვითარებას, აქვთ მართვის ისეთი რთული სტრუქტურა, რომ წინა პლანზე გამოდის საზოგადოების შიგნით ინტერესთა კონფლიქტის გადაწყვეტის, საინვესტიციო მიზიდულობის ამაღლების პრობლემები. თუ სააქციო სამართალი, როგორც სამეწარმეო სამართლის შემადგენელი ნაწილი არის სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ სააქციო საზოგადოებების შექმნის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის წესს, მისი აქციონერების უფლებებს და ვალდებულებებს, და უზრუნველყოფს აქციონერების უფლებების და ინტერესების დაცვას, მაშინ საკორპორაციო სამართალი ასევე არის სააქციო სამართალი, მაგრამ მისი განვითარების ახალ ხაზში, როდესაც პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს რეგულირება ურთიერთობებისა მესაკუთრეებისა (აქციონერებისა) პროფესიულ მენეჯმენტთან, თავად საზოგადოებისა პოტენციურ ინვესტირებასთან, კორპორაციის შიგნით და გარეთ კონფლიქტების მინიმიზაციის და მოწესრიგების მიზნით. ამასთან, ასეთი რეგულირება ხორციელდება არამარტო და არამხოლოდ სამართლებრივი ნორმებით, არამედ მორალურ- ეთიკური ნორმებით, წესებით, რომლებიც დადგენილია თავად კორპორაციის მიერ, საქმიანი ჩვეულებებით და ადათებით. ასეთი ქცევის წესები, რომლებიც მოქმედებს კორპორაციის ფარგლებში, და დადგენილია თავად კორპორაციის მიერ, წარმოადგენენ საკორპორაციო ნორმებს. ისინი მიღება თავად კორპორაციის მიერ, რაც წარმოადგენს თვითმმართველობის თვითრეგულირების რეალიზაციას, მაგრამ ამასთან, ის უნდა შეესაბამებოდეს სამართლის ნორმებს. ასეთი საკორპორაციო ნორმები სავალდებულოა კორპორაციის მონაწილეთათვის, ამასთან, ისინი არ არიან უზრუნველყოფილნი სახელმწიფოებრივი იძულებით, მაგრამ შეიძლება მოიცავდნენ განსაზღვრულ სანქციებს, რომლებიც დადგენილია თვით კორპორაციის მიერ, ანუ ფლობენ იძულების საკუთარ მექანიზმს.

განსაზღვრავს რა საკორპორაციო ნორმებს, როგორც ხელოვნურად შექმნილი სოციალური ჯგუფების მონაწილეთა ქცევის წესებს, ს.ა. ალეინიკი აღნიშნავს, რომ მათ აქვთ ორმაგი მნიშვნელობა: ერთის მხრივ, ავსებენ სამართლის ნორმებს, მეორეს მხრივ – ახდენენ კორპორაციული გაერთიანების სამართლებრივი სტატუსის და სხვა იურიდიულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის დეკლარირებას[8].

საკორპორაციო ნორმები არ შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ ლოკალურ ნორმებამდე, რომლებიც გამოხატულია კორპორაციის ლოკალურ აქტებში[9]. საკორპორაციო ნორმების ქვეშ შეიძლება მოვიაზროთ კორპორაციის მონაწილეთა ქცევის წესები დამოუკიდებლად იმისა, გამოხატულნი არიან თუ არა ისინი ამა თუ იმ ლოკალურ აქტში. მნიშვნელოვანია, რომ ეს ნორმები არ ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობას და სამართლის პრინციპებს.

სააქციო საზოგადოებების, ისევე როგორც სავაჭრო ბრუნვის ნებისმიერი მონაწილისთვის მნიშვნელობა აქვს კეთილსინდისიერების, გონივრულობის და სამართლიანობის პრინციპებისადმი მიმდევრობას. ამიტომ მორალურ-ეთიკური სტანდარტები , სამართლიანობა და კეთილსინდისიერება, ასევე განიხილება, როგორც შემადგენილი ნაწილი საკორპორაციო ურთიერთობების რეგულირების და იძენენ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას სააქციო საზოგადოებების საქმიანობაში. საკორპორაციო ურთიერთობების მარეგულირებელი ასეთი ეთიკური ნორმები გვხვდება სხვადასხვა ქვეყნების საკორპორაციო ქცევის კოდექსებში, და რეკომენდირებულია სააქციო საზოგადოებებისათვის გამოსაყენებლად. საკორპორაციო ქცევის კოდექსი, როგორც სარეკომენდაციო აქტის გამოყენება სააქციო საზოგადოებების მიერ არის ნებაყოფლობითი: მათი აღსრულება არ არის უზრუნველყოფილი სახელმწიფო იძულების ნორმებით, შესაბამისად მოქმედებას იწყებენ სხვა მექანიზმები, რომლებიც აიძულებს საზოგადოებას იმოქმედოს საკუთარი დებულებებით (დანაწესებით). რეგულირების სფერო ნორმატიულ-

8 Алейник С. А. *Корпоративные нормы: определение понятия.* 2003. N 3. გვ. 16-20.

9 Шиткина И.С. *Правовое регулирование деятельности акционерных обществ внутренними локальными документами.* Дисс. ... канд. юрид. наук. М., 1997. გვ. 160

სავალდებულოდან გადადის გონივრულობის, სამართლიანობის და კეთილსინდისიერების მორალურ-ეთიკური სტანდარტების მოქმედების, თვითრეგულირების (თვითმმართველობის) სიბრტყეში. სხვა სიტყვებით, თუ კორპორაციას უნდა იყოს მიმზიდველი ინვესტირებისათვის, სურვილი აქვს მინიმუმადე შეამციროს შიდაკორპორაციული კონფლიქტები, მან უნდა იხელმძღვანელოს საკორპორაციო ქცევის კოდექსის რეკომენდაციებით.

კოდექსის რეკომენდაციებისადმი კორპორაციის ერთგულების მიმდევრობა უნდა დადასტურდეს ამ რეკომენდაციებზე დაფუძნებული შესწორებების შეტანით სააქციო საზოგადოების წესდებაში და სხვა შიდა დოკუმენტებში, ასევე საკუთარი საკორპორაციო ქცევის კოდექსების მიღება, რომლებიც დაფუძნებული იქნება საერთაშორისო საკორპორაციო ქცევის კოდექსების რეკომენდაციებზე და ნორმებზე.

რა იქნება თუ კორპორაცია არ მისდევს საკორპორაციო ქცევის კოდექსის რეკომენდაციებს? ვინაიდან, (ცხადია) ამ შემთხვევაში არანაირი სახელმწიფო იძულების ზომა არ არის გათვალისწინებული, მაგრამ შედეგები კორპორაციისთვის შეიძლება იყოს უფრო მკაცრი, ვიდრე საკანონმდებლო ნორმების დარღვევა: ასეთი კორპორაციისთვის უფრო და უფრო რთული იქნება მიიზიდოს სერიოზული ინვესტორები და ის დაკარგავს თავის საინვესტიციო მიმზიდველობას.

ამრიგად, საკორპორაციო სამართალი წარმოადგენს საკორპორაციო ურთიერთობების მარეგულირებელი სამოქალაქო სამართლის (კერძოსამართლებრივი ნორმების) საერთო და სპეციალურ ნორმებს, ასევე თავად კორპორაციის მიერ დადგენილი არასახელმწიფოებრივი იძულებით უზრუნველყოფილი საკორპორაციო ნორმების ერთობლიობას.

საკორპორაციო კანონმდებლობა

თუ საკორპორაციო სამართალი არის კერძო სამართლის საერთო და სპეციალური ნორმების და საკორპორაციო ურთიერთობების განმაპირობებელი საკორპორაციო ნორმების ერთობლიობა,

მაშინ საკორპორაციო კანონმდებლობა ეს არის ნორმატიული აქტების ერთობლიობა, რომლებიც შეიცავენ სამართლის (კერძო და საჯარო) სხვადასხვა დარგის ნორმებს და აწესრიგებენ ურთიერთობებს კორპორაციის შიგნით და გარეთ.

საკორპორაციო სამართალი უფრო მოცულობითია, ვიდრე საკორპორაციო კანონმდებლობა, ვინაიდან საკორპორაციო სამართალი შეიცავს საკორპორაციო ნორმებს, რომლებიც შეიძლება არც იქნეს ასახული რომელიმე ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში.

საკორპორაციო სამართალი, როგორც მეცნიერება

საკორპორაციო სამართალი საკმაოდ ახალი მეცნიერებაა და იმყოფება ჩამოყალიბების პროცესში. მეცნიერება სწავლობს საკორპორაციო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების განსაკუთრებულობებს. გარდა ამისა, მეცნიერების საგანში შედის საკორპორაციო სამართლის დოქტრინა, კერძოდ, სხვადასხვა იურიდიული კონსტრუქციები, განსაზღვრებები, კონცეფციები და თეორიები. ასევე, უწინარესად საკორპორაციო დავების განხილვასთან დაკავშირებით საარბიტრაჟო სასამართლოების პრაქტიკა.

საკორპორაციო სამართალი, როგორც სასწავლო დისციპლინა

რაც შეეხება საკორპორაციო სამართალს, როგორც სასწავლო დისციპლინას, (სასწავლო კურსს), დღესდღეობით ბევრი იურიდიული და ეკონომიკური სასწავლო დაწესებულებები ითვალისწინებენ სასწავლო პროგრამებში საკორპორაციო სამართლის და საკორპორაციო მართვის კურსებს.

საკორპორაციო სამართლის სასწავლო დისციპლინა არის კომპლექსური, რადგან ის ასწავლის როგორც კორპორაციის კერძოსამართლებრივი რეგულირების, ასევე მათი საქმიანობის საჯარო სამართლებრივი რეგულირების სპეციფიკას.

საკორპორაციო სამართლის კურსის სისტემები, რომლებიც იკითხება სხვადასხვა სასწავლო პროგრამებში, შეიძლება იყოს სხვადასხვა. როგორც წესი, კურსის ფარგლებში ისწავლება საკორპორაციო სამართლის დოქტრინა და საკორპორაციო კანონმდებლობის

მდგომარეობის საკითხები. შემდეგ განიხილება სააქციო საზოგადოებების შექმნის და დაფუძნების, სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ფორმირების, სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდების და მათი გამოცემის საკითხები. საკორპორაციო სამართლის კურსში ცალკეა ჩართული საკორპორაციო მართვის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების დირექტორთა საბჭოს (სამეთვალყურეო საბჭოს), საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოების ფორმირებასთან და კომპეტენციასთან, აქციონერთა საერთო კრების ჩატარების წესთან. ცალკე განიხილება საკითხები, რომლებიც ეხება აქციონერთა უფლებებსა და მათი უფლებების და ინტერესების დაცვას. ბოლოს, კურსში ისწავლება საკითხები, რომლებიც უკავშირდება საზოგადოების მიერ მსხვილი კორპორაციული მოქმედებების განხორციელებას, კერძოდ: მსხვილი გარიგებები, გარიგებები, რომელთა განხორციელებაში არსებობს დაინტერესება, საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

§2. კორპორაციები ძველ მსოფლიოში და შუა საუკუნეებში

ზოგადი მიმოხილვა

ჩვენი მიმოხილვა დავიწყოთ საკორპორაციო სამართლის ისტორიის გაცნობით. ძველ მსოფლიოში კორპორაციები არსებობდნენ ჩანასახის მდგომარეობაში და გადამწყვეტ ზეგავლენას ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე არ ახდენდნენ.

აღიარებულია მოსაზრება, რომ კორპორაციის წყაროს წარმოადგენს სავაჭრო გილდიები – ცალკეულ ქვეყნებში სავაჭრო მიზნებით ერთობლივი მოგზაურობის ორგანიზაციები. ასოციაციები ჯერ კიდევ არ ისახავდნენ მიზნად საერთო ანგარიშით ერთობლივი საქმის წარმოებას, არამედ მხოლოდ ისწრაფვოდნენ იმისკენ, რომ მოეპოვებინათ მფარველობა, დაეცვათ ის საწარმოები, რომლებსაც ახორციელებდნენ ცალკეული მონაწილეები.

სავაჭრო გილდიები არ წარმოადგენდნენ მთლიან სამეურნეო ერთეულებს, ვინაიდან მათთვის დამახასიათებელი იყო მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა, რომელიც დაფუძნებული იყო ერთობლივი საქმიანობის საერთო პირობებზე. სავაჭრო გილდია პასუხს აგებდა თითოეული მისი წევრის ვალზე. ისე როგორც ერთი ეროვნების პირები უცხოეთში პასუხს აგებენ ერთმანეთზე, ან როგორც მოქალაქეები სოლიდარულად აგებენ პასუხს თემის ვალებზე. ეკონომიკის განვითარების, წარმოების ახალი საშუალებების გამოჩენასთან ერთად, კერძოდ, საზღვაო საქმის, ვითარდება იურიდიული ფორმებიც, წარმოიქმნება საზღვაო ურთიერთობები. მათი კაპიტალისტური ხასიათი იმთავითვე გვხვდება თვალში. პირადი ურთიერთობები ასეთ ამხანაგობებში უკანა პლანზე გადაინაცვლებს. უპირატესობა ენიჭება კაპიტალთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. კაპიტალი კი ძირითადი სახით მდგომარეობს – გემში. საზღვაო ამხანაგობის მიზანი ტვირთების გადაზიდვაა, პირი, რომელმაც განიზრახა გემის აშენება იწოდება პატრონად. პატრონი აცხადებს გემის ზომებს და პაის (შენატანის) ოდენობას,ზომას. როგორც წესი წილები თანაბარია, ხარჯები აღიარებულია საერ-

თო ხარჯებად. წესდება დამატებითი გადასახდელები: გემის რემონტზე, შორეული ნაოსნობისთვის აღჭურვილობის შეძენისათვის, გემის ზომების გაზრდაზე. როგორც ვხედავთ, კორპორაციის პრინციპები აქ აღწევენ მნიშვნელოვან განვითარებას, მაგრამ მის მონაწილეთა შეზღუდული პასუხისმგებლობა ჯერ კიდევ არ ჰპოვებს გამოყენებას.

თანამედროვე სამეურნეო საზოგადოებების განსახიერებად ითვლება სამთო ამხანაგობები.

ამ იურიდიულ ფორმებში ჩვენ შეგვიძლია ავღნიშნოთ, არამარტო ჩასახვა, არამედ განვითარებაც საკორპორაციო ორგანიზაციების საწყისების. აქ უკვე საქმეთა მართვა არის საერთო კრებების მმართველობაში, რომლებიც საკითხებს ხმათა უმრავლესობით წყვეტდნენ, წილი (კუკსი) რიცხვი მათში იყო საკმაოდ სოლიდური (ასზე მეტი), ამიტომაც შეკრებები ხალხმრავალი იყო. სამთო ამხანაგობებში მონაწილეობის უფლება განპირობებული იყო კუკსა -ს შეძენით, რომელიც გამოიყოფოდა თავისუფლად, მაგრამ უძრავი ქონების საკითხების გამოყოფის წესებით,კუკს-ების ფასი ყოველთვის მერყეობდა. გამოჩნდნენ ასევე შუამავლები ასეთი სახის ვაჭრობაში, და შესაბამისად გაჩნდა მოტყუება და სპეკულაცია. სახელმწიფო იძულებული იყო სამთო ამხანაგობებში დაენიშნა თავისი წარმომადგენლები და ამით განეხორციელებინა კონტროლი. სამთავრობო ზედამხედველობის სისტემა ამცირებდა საკორპორაციო საწყისების მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ სამთო ამხანაგობებმა შეიტანეს დიდი წვლილი საკორპორაციო სამართლის ჩამოყალიბებაში, განსაზღვრული როლი მის განვითარებაში ასევე ითამაშა გენუის მაონებმა. თუ საზღვაო ამხანაგობები იყო სავაჭრო საზოგადოებების განსახიერება, მაშინ მაონები შეიძლება ჩაითვალოს ფინანსური ბიზნესის პირველსაწყის ფორმად. საქმე იმაშია, რომ შემდგომში მაონებმა დაიწყეს სხვა სამეწარმეო საქმიანობის წარმოება, იღებდნენ რა მოგებას და ანაწილებდნენ მას კრედიტორებს შორის. ძალიან რთული ხდებოდა ასევე მათი ორგანიზაციული სტრუქტურა. 1419 წელს ქ. გენუაში შექმნილმა წმ. გიორგის სახელობის ბანკმა ყველა რეკორდი მოხსნა ამ თვალსაზრისით, ჩაყლაპა რა ბევრი მაონი და ერთგვარად

იქცა მაონთა მაონად. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ იტალიამ დიდი ზეგავლენა მოახდინა საკორპორაციო სამართლის ინსტიტუტების განვითარებაზე და განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში საკორპორაციო ფორმების წარმოქმნაზე. განსაკუთრებით მჭიდრო იყო ურთიერთობები გენუასა და ნიდერლანდებს შორის. ეს ურთიერთობები წარმოიშვა ძალიან ადრე (1224 წ.) და მიიღეს ფართო მასშტაბი. ამაზე მეტყველებს თავად ფაქტი საზღვაო მიმოსვლისა ორ სახელმწიფო-პარტნიორს შორის. იტალია ერთგვარად ჰოლანდიას გადასცემდა ესტაფეტას საკორპორაციო წყობის განვითარებაში[10].

კორპორაციების გამოჩენა ჰოლანდიაში

XVI საუკუნის ბოლო ჰოლანდიაში ხასიათდება წარმოების და ვაჭრობის მნიშვნელოვანი ზრდით. განსაკუთრებით გამოცოცხლდა საზღვაო ბრუნვის სფეროში, ახალი საზღვაო გზების და ახალი ქვეყნების აღმოჩენის შემდეგ. ყველაზე სერიოზულ სირთულეებს ქმნიდა ესპანეთის მთავრობა, რომელიც აკავებდა ჰოლანდიურ სავაჭრო გემებს. კონფისკაციას უკეთებდა საქონელს და ეკიპაჟის დაპატიმრებებსაც კი ახდენდა. ამიტომ დაიწყო შეძენა ექსპედიციების ან ქარავნების 4,7 და 18 გემამდეც კი. ვაჭრობით დაკავებული ეს გაერთიანებები არ იყო გემთმფლობელების უბრალო კავშირი, არამედ იმ პირთა კავშირი, რომლებიც ხარჯავდნენ კაპიტალს ექსპედიციის აღჭურვაში. მალე ამგვარი ჰოლანდიური კომპანიების რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ მათ დაიწყეს ერთმანეთში კონკურირება, ბოლოს და ბოლოს ყველა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ოსტ-ინდოეთში ნაოსნობა თავმოყრილიყო ერთი კომპანიის ხელში, მთავრობამ ინიციატივა თავის ხელში აიღო, შევიდა მოლაპარაკებებში ცალკეულ კომპანიებთან და 1595 წელს გააერთიანა ისინი ერთ ჰოლანდიურ ოსტ-ინდურ კომპანიაში. ასე მოვაჭრეთა გილდიები და საზღვაო ამხანაგობები გაერთიანდნენ კოლონიალურ კომპანიაში.

10 http://www.libsid.ru გვ.7

თავდაპირველად აკრძალული იყო კომპანიაში ახალი წევრების მიღება, ან კომპანიიდან გამოსვლა 10 წლის განმავლობაში, შემდგომ ეს წესი შეიცვალა, მეტიც, შესაძლებელი გახდა საკუთარი წილის გამოყოფა და მესამე პირებისთვის გადაცემა, კაპიტალის ნაწილები არათანაბარი ხდებოდა, მაგრამ შემდგომ თითოეული მონაწილის წილი დაიყო თანაბარ ნაწილებად, რომლებიც საბირჟო ბრუნვის საგანი გახდა. ამ თანაბარმა ნაწილებმა მიიღეს აქციის სახელი. შესაძლებელი იყო მათი გამოყოფა ამხანაგობის წიგნებში აღნიშვნით, რომლებიც ხორციელდებოდა კონტრაგენტების და კომპანიის დირექტორის თანდასწრებით და მათი ხელმოწერებით. წილები აღმოჩნდა სპეკულაციის მოხერხებულ მასალად. ვინაიდან, სპეკულაციამ მიიღო დიდი გავრცელება, ჰოლანდიის ხელისუფლებამ დაიწყო ზომების გატარება, ცდილობდა რა მისი უარყოფითი მხარეების ნეიტრალიზებას.

აქცია, როგორც ქაღალდი, სადაც გაცხადებულია უფლება საწარმოში მონაწილეობაზე, ჯერ კიდევ არ არსებობდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა სპეკულაციას, კომპანიის თანამშრომელთა დახმარებით წიგნებში გატარდა აქციების გაყიდვა ისეთი პირების მიერ, რომლებიც სინამდვილეში საერთოდ არ ფლობდნენ მათ. კაპიტალის ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ მთავრობამ გამოსცა რამდენიმე ედიქტი (1610,1621,1623,1624 წ.) რომლებშიც დადგინდა გარკვეული აკრძალვები.

პოსტ ინდური კომპანიის სტრუქტურა შედგებოდა 5 კამერისგან. მთავრობა თითოეული მათგანისთვის ნიშნავდა დირექტორს, უფრო სწორედ სანქცირებას ახდენდა არსებული წესის. მთელი მიმდინარე საქმეების მიმდინარეობა, გემების აღჭურვა, ჩამოტანილი საქონლის მიღება და გაყიდვა ევალებოდათ ამ კამერებს. კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობა შედიოდა განსაკუთრებულ საბჭოში, რომელიც შედგებოდა ყველა კამერის 17 წარმომადგენლისგან. თუმცა აქციონერთა საერთო კრება ჯერ არ არსებობდა. იდეა იმის შესახებ, რომ ის ბუნებრივად წარმოადგენდა უმაღლეს ორგანოს არ იყო შორს განხორციელებისგან. 1602 წელს პირველი საკორპორაციო დებულების თანახმად, კომპანიის უმაღლესი ორგანო პირველი 10 წლის დასრულების შემდეგ ვალდებული იყო

შეედგინა ანგარიში კომპანიის საქმიანობის შესახებ და მის გასაცნობად სპეციალური გამოცემების მეშვეობით უნდა მოწვეულიყო ყველა აქციონერი.

ამრიგად, პოსტ-ინდური (და მის მსგავსად იყო ორგანიზებული ვესტ-ინდური კომპანია) კომპანია, უდავოდ წარმოადგენდა ერთიან ორგანიზაციას.

განვიხილეთ რა მოცემული კომპანიის პრინციპები, რომელსაც ჰქონდა ბრწყინვალე შედეგები, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ჰოლანდიამ შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი საკორპორაციო წყობის შექმნაში, რომელიც დღეს მთელს მსოფლიოშია გავრცელებული, ამასთანავე ჩვენ დავალებული ვართ სხვა ქვეყნების მიმართაც, რომლებიც წავიდნენ კიდევ უფრო შორს კორპორაციების საქმიანობასთან დაკავშირებული ბევრი საკითხის გადაწყვეტაში. კერძოდ, საკორპორაციო საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირების საკითხებში. მოხდა ისე, რომ ჰოლანდიას შემდგომში თავად მოუწია სწავლა ამ ქვეყნებისგან[11].

კორპორაციების ჩასახვა გერმანიაში

გერმანიაში კორპორაციების ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში უკვე ჩამოყალიბებული იყო განვითარებული კოლონიალური სისტემა, რომლის ძირითად საყრდენს წარმოადგენდა თითქმის მთელ მსოფლიოში მოქმედი კორპორაციები. ამგვარად, გერმანიამ დაადგინა მსოფლიოს გაყოფა. ეს, ასევე, ეხებოდა ისეთ ჩრდილოურ ქვეყნებს, როგორიცაა დანია, შვედეთი, ნორვეგია.

კორპორაციები უცხო იურიდიული ფორმა იყო გერმანელებისთვის და მისი გადაყვანა გერმანულ ნიადაგზე მარტივად არ ხდებოდა. იმავდროულად, აქვე შეიძლება შევნიშოთ განსაზღვრული კანონზომიერება, რომელმაც ნაწილობრივ მოასწრო თავის გამოვლენა საფრანგეთში. კერძოდ, კონტინენტურ ქვეყნებში, რომელთაც შედარებით მკაცრი ბუნებრივი პირობები აქვთ, სახელმწიფო თავის თავზე იღებს ადამიანების ცხოვრების ორგანიზებაზე

11 http://www.libsid.ru/ გვ.8

ზრუნვას, განსხვავებით რბილი კლიმატის ქვეყნებისგან. ეს გახდა მთავარი მიზეზი იმისა, რომ გერმანიის მთავრობამ თავის მხრებზე გადაიტანა ძირითადი სიმძიმე საკორპორაციო წყობის შექმნისა.

რატომ არ შეიქმნა ჰოლანდიის ტიპის კორპორაციები გერმანიაში? ამ უკანასკნელსაც ხომ ჰქონდა საპორტო ქალაქები, მაგ. ჰამბურგი?

საქმე იმაშია, რომ საგარეო ვაჭრობა ქვეყანაში იმყოფებოდა პოლიციური ზედამხედველობის ქვეშ, რაც გარკვეული ზომით ამარტივებდა და ხელს უწყობდა შორეულ ქვეყნებში ვაჭრობასთან დაკავშირებულ სირთულეებს. სავაჭრო გილდიები თავიანთ ქვეყნებში თავს კომფორტულად გრძნობდნენ, ყოველ შემთხვევაში უსაფრთხოდ, ამიტომ კაპიტალის გაერთიანება, ამასთან საკმაოდ არამნიშვნელოვანის, მათ უწევდათ მხოლოდ ეპიზოდურად, რათა მათი საგარეო ვაჭრობის მთავარ პუნქტებში აეშენებინათ ფაქტორიები. რაც შეეხება ვაჭრობას, წარმოებდა თითოეული მოვაჭრის მიერ თავისი ხარჯით, თუმცა კი ექვემდებარებოდა ვაჭრობის აღიარებულ წესებს, ამიტომ იმ პერიოდში (XVI-XVII) გერმანიაში არ ვითარდებოდა მსხვილი კორპორაციები.

გერმანიაში კორპორაციების წარმოშობა დაიწყო XVIII საუკუნეში, თუმცა მსხვილი კორპორაციები მაინც გამონაკლისი შემთხვევა იყო. გერმანიას იმ დროისთვის არ ჰქონდა ისეთი განვითარება, რომ ახალ იურიდიულ ფირმას შეძლებოდა ეპოვნა ადეკვატური გამოყენება (1843 წლამდე იყო მხოლოდ 29 კორპორაცია). სააქციო ფორმა არ გამოკვეთილა XIX საუკუნემდეც კი, ამიტომ არ შექმნილა მისი საკანონმდებლო რეგულირების მოთხოვნილებაც, საფონდო სპეკულაციების შესახებ იმ დროისთვის კი საერთოდ არ იცოდნენ.

სიტუაცია შეიცვალა, როდესაც გერმანია შეუდგა რკინიგზის ხაზების მშენებლობას და ამის უფლება მიეცათ კერძო საწარმოებს. მთავრობამ, იმისათვის რომ მოეწესრიგებინა აღნიშნული საქმიანობა, 1838 წელს წინდახედულად გამოსცა კანონი „სარკინიგზო საწარმოების შესახებ", რომელშიც ბევრი მუხლი ეძღვნებოდა სარკინიგზო სააქციო საწარმოების საკითხებს. ეს გახლდათ პირველი ნორმატიული დადგენილება, რომელმაც შემდგომ წარმოშვა

სრულფასოვანი საკორპორაციო სამართალი. შემდგომ გამოიცა კანონი, „სააქციო საზოგადოების შესახებ“(1843).

XIX საუკუნის 60-ანი წლები აღინიშნა სამრეწველო ზრდით, რომელმაც თითქოსდა პლატინა გაარღვია: კონცენსიური წესრიგის სააქციო საზოგადოებების ბედი გადაწყვეტილი იყო, დაიწყო სხვადასხვაგვარი დე-ფაქტო ქაღალდების მასიური გამოშვება. აუცილებელი იყო სასწრაფოდ ზომების გატარება, რათა სიტუაცია კონტროლს დაქვემდებარებოდა. 1870 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომელიც დამტკიცდა თითქმის განხილვის გარეშე და გამოქვეყნდა მომდევნო დღეს. მთავარი მისი დებულება: სპეციალური სამთავრობო ნებართვა კორპორაციების შექმნაზე გაუქმდა (გამონაკლისს შეადგენდა რკინიგზის მშენებლობა, ბანკების შექმნა) კონცესიური (სანებართვო) სისტემის გაუქმებით მთავრობას კარგად ესმოდა, რომ აქციონერების უსაფრთხოების გარანტიის გამარტივება უნდა შეცვლილიყო სხვა რამით. ყველა კორპორაციისთვის შემოღებულ იქნა კონტროლის სისტემა, რაც ნაწილდებოდა თვით აქციონერებს შორის ერთის მხრივ და მეორეს მხრივ სახელმწიფო, რომელიც ითხოვდა კორპორაციის შექმნის აუცილებელ რეგისტრაციას.

1871-72 წწ. გაღვივდა სპეკულაციური ციებ-ცხელება. დაიწყო მოწოდებები საკორპორაციო სისტემის გაუქმების შესახებ და შესაბამისი კანონპროექტების შემუშავება. მაგრამ მთავრობამ არ დაუშვა ქაოსი და რყევები, მან კორპორაციებთან დაკავშირებით მშვიდი და გააზრებული ურთიერთობების პოზიცია აირჩია და წავიდა მათი სამართლებრივი დებულებების დეტალური საკანონმდებლო მოწესრიგების გზით (კანონი 1884). დაფიქსირდა, რომ საწესდებო კაპიტალი უნდა იყოს სრულად ანაზღაურებული. გარდა ამისა, გაიზარდა აქციის მინიმალური ზომა, შემოღებულ იქნა დამფუძნებლის ცნება, უზრუნველყოფილ იქნა მათი ქმედებების მართლზომიერებების გამარტივებული შემოწმება, ზუსტად დადგინდა სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის წრე, გამოეყო მთავარი ადგილი საერთო კრებას და სხვ.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (1897 წ.) წავიდა კიდევ უფრო შორს კორპორაციის სამართლებრივი დებულებების რეგლამენტაციაში. მაგრამ, რაც საინტერესოა მან არ მოახდინა კორპორა-

ციის განსაზღვრება. გერმანელი კანონმდებელი ყოველთვის იყო ფრთხილი და ამ შემთხვევაში გამოიკვეთა მისი წინდახედულება, ვინაიდან სოციალური მოვლენის ცვალებადობა შედარებით განაპირობებს ყოველგვარ იურიდიულ განსაზღვრებას. ახალმა კოდექსმა თამამად მიიღო იდეა ავტონომიური სააქციო კომპანიის. მისი საქმიანობის საგანიც კი შეიძლება შეცვლილიყო საწესდებო კაპიტალის მფლობელთა ¾-ის მოთხოვნით. საბოლოო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული ფორმებიდან, სააქციო საზოგადოებები, რომელიც გერნმანიაში ეგზოტიკურ, განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა გარდაიქმნა თანაბარუფლებიან იურიდიულ ფორმად კორპორაციის სხვა სახეებთან ერთად[12].

კორპორაციები საფრანგეთში და მათი სპეციფიკა

ფრანგული კომპანიები წარმოიშვა ჰოლანდიური ზეგავლენით, თუმცა, უფრო ადრე ვაჭრობა საფრანგეთში განვითარდა იტალიის ძლიერი ზეგავლენით. იმ დროისათვის ჰოლანდიაში კორპორაციებმა დიდ განვითარებას მიაღწიეს და ცხადი გახდა, რომ ეს იურიდიული ფორმა წარმოადგენდა ძალიან ეფექტიანს. საფრანგეთმა არ დაიწყო გამოგონება იმისა, რაც უკვე გამოგონებული იყო, არ დაიწყო საკუთარი გზის ძებნა, არამედ დაესესხა სხვების შექმნილს.

საკორპორაციო წყობას ამ ქვეყანაში ჰქონდა ერთი დამახასიათებელი განსაკუთრებულობა: მისი თავზე მოხვევა ხდებოდა ზემოდან, შეიძლება ითქვას ძალისმიერად. საფრანგეთის მთავრობა ზედმეტად ინტენსიურად ახდენდა ჩარევას პროცესში, ჰქონდა რა კეთილშობილური მიზანი: მოეხდინა ენერგიული მხარდაჭერა ვაჭრობის და მრეწველობის განვითარებისთვის, მაგრამ უცხოს რეცეფცია ხდებოდა ცუდად, და მისი განვითარება კიდევ უფრო ცუდად. 1601 წელს ჩაიშალა პირველი ექსპედიცია ინდოეთში, 1604 წელს მეორე, 1611 წელს ექსპედიცია ასევე არ შედგა და კომპანია გაერთიანდა სხვასთან. 1615 წელს ჰოლანდიელების დახმარებით მაინც მოხდა ორი გემის აღჭურვა, მაგრამ ისინი არ დაბრუნებულან ინდოეთიდან და კომპანიის საქმიანობა გაჩერდა.

12 http://www.libsid.ru გვ.11

ფრანგები მონურად ბაძავდნენ ჰოლანდიელებს და კომპანიების დეცენტრალიზებული მართვის პრინციპიც კი შემოიღეს, რომელმაც თავად ჰოლანდიაშიც კი არ გაამართლა. შედეგად, ბევრი მეწარმე გაიქცა ჰოლანდიაში, თითოეული კომპანია ფუძნდებოდა სპეციალური სამთავრობო აქტით. თავდაპირველად, ამითვე მთავრდებოდა მთავრობის მიერ კომპანიის იურიდიული მხარდაჭერა, თუმცა ეს იძლეოდა ძლიერ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ფინანსურ იმპულსს. კომპანიის შიდა ცხოვრება განისაზღვრებოდა საერთო კრების გადაწყვეტილებებით, სადაც აქციონერები იკავებდნენ გაბატონებულ მდგომარეობას.

ნებისმიერი სახის საკანონმდებლო რეგულირების ნაცვლად მთავრობა ახორციელებდა ზედამხედველობას და მეურვეობას. ყოველ კომპანიაში იყო სახელმწიფო აგენტი, ცალკეული პრივილეგირებული კომპანიების საერთო კრებებს ესწრებოდა თავად მეფე. კომპანიები კიდევ დიდხანს არ პოულობდნენ საკანონმდებლო აღიარებას, რასაც ხელს უწყობდა პერიოდული, განმეორებადი აფეთქებები საბირჟო სპეკულაციებისა და ამიტომ საკორპორაციო ფორმა თითქოს ვითარდებოდა ზედაპირულად. 1791 წლის 2 მარტის კანონმა გამოაცხადა რეწვის თავისუფლება, მაგრამ სააქციო საზოგადოებებისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული საკითხები ღიად დატოვა. დაიწყო მრავალრიცხოვანი სავაჭრო ამხანაგობების შექმნა, რომელთა უმრავლესობა მიმართავდა თავის ენერგიას სპეკულაციაზე. მთავრობამ აკრძალა ისეთი ამხანაგობების საქმიანობა, რომელთა საწესდებო კაპიტალი შედგებოდა თავისუფლად გასხვისებადი აქციებისაგან და კომპანიის შექმნისათვის გაითვალისწინა საკანონმდებლო კრების ნებართვა. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა სავაჭრო კოდექსის გამოცემამდე. მოხდა სააქციო საზოგადოებების ლეგალიზება და მათ მიიღეს მოქალაქეობის უფლება, ამასთან ერთად შენარჩუნდა მთავრობის ნებართვის წესი კომპანიის დაფუძნებისათვის. ამასთან, მთავრობა არ იყო ვალდებული დაესაბუთებინა თავისი უარი.

საფრანგეთი მოქმედებდა პრინციპით: ან სრული თავისუფლება, ან აკრძალვა. წარმომდგენზე აქციების სპეკულაციის პერიოდული აფეთქებები, რომელიც მოიცავდა საზოგადოების მრავალ

წრეს, აიძულებდა მთავრობას რეფორმების გატარებას, რომელთა ძირითადი აზრი მდგომარეობდა ერთ მუხლში: იკრძალებოდა კაპიტალის გაყოფა აქციებად, გაისმოდა მოწოდებები საერთოდ ნებისმიერი საკორპორაციო საქმიანობის აკრძალვის შესახებ. ბოლოსდაბოლოს გაიმარჯვა საღმა აზრმა, რომ სააქციო საწარმოებს მისცემოდათ თავისუფლება და რეგლამენტირებული ყოფილიყო მათი საქმიანობის რამდენიმე პარამეტრი.

1856 წლის „კომანდიტური კომპანიების შესახებ“ კანონი წარმოადგენს მნიშვნელოვან საფეხურს საფრანგეთში საკორპორაციო სამართლის განვითარების ისტორიაში. კანონით დადგინდა, რომ კომპანია შეიძლება შეიქმნას მხოლოდ მათი ძირითადი კაპიტალის ხელმოწერის და ამ კაპიტალის მეოთხედის გადახდის შემდეგ: ასეთი გადახდის შემდეგ დასაშვები ხდება აქციები წარმომდგენზე, მაგრამ აქციების ღირებულების 2/3-ის ანაზღაურებამდე ისინი არ შეიძლება გასხვისდეს და ა.შ.

რომ შევაჯამოთ კანონის დებულებები, პოზიტიურ მომენტად შეიძლება აღინიშნოს, რომ კანონმა მისცა გარანტიები მესამე პირებს და უზრუნველყო თავად კომპანიების სტაბილურობა.

1863 წლის კანონი უკვე დეტალებში ავითარებდა წინა კანონის დებულებებს, მისი შედეგები იყო შემდგომი ზრდა კორპორაციების ოდენობისა, მაგრამ ამასთან ერთად ფრანგულ საზოგადოებაში უფრო მეტად მკვიდრდებოდა მოსაზრება, რომ კორპორაციების საქმიანობის ზედმეტი რეგლამენტაცია საზიანოა და შეიძლება არაკეთილსაიმედო ზეგავლენა ჰქონოდა კერძო ინიციატივებზე, როგორც სასიცოცხლო წყაროზე ერის კეთილდღეობის. 1867 წლის კანონმა ზოგიერთი პარამეტრით უარი თქვა კორპორაციების საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირებაზე, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში შეარბილა ეს რეგულირებები (კომპანიის დაფუძნების წესი, მათი საქმიანობის დაწყების, ხელმოუწერელი აქციების შესაძლო წილებზე, რევიზორების უფლებაზე მოიწვიონ კრება და ა.შ.)

1843 წლის კანონის თანახმად, დაიწია აქციის მინიმალურმა ღირებულებამ, შემცირდა შემთხვევები რა დროსაც კომპანია შეიძლება მიჩნეულიყო არაქმედუნარიანად, გაუქმდა აქციის სრული ანაზღაურების ვალდებულება აქციის სახელობითიდან წარმომდ-

გენად ზეგარდაქმნისას, შემცირდა მინიმალური საწესდებო კაპიტალის ოდენობა და ა.შ.

ამრიგად, საკორპორაციო წყობა საფრანგეთში არამარტო ჩაისახა მთავრობის უშუალო მონაწილეობით, არამედ ვითარდებოდა კიდეც მისი თვალმოუხუჭავი ზედამხედველობით. საფრანგეთის მთავრობა ინგლისთან შედარებით გაცილებით აქტიურად და საფუძვლიანად ერეოდა კორპორაციების ცხოვრებასა და საქმიანობაში. თუმცა, ასეთი მზრუნველობის შედეგები არ აღმოჩნდა ისეთი შთამბეჭდავი, როგორც იმ კორპორაციის საქმიანობის შედეგები, რომლებიც მეტ თავისუფლებას ფლობდნენ, მაგალითად ინგლისში. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მეწარმეობისთვის ჰაერს თავისუფლება წარმოადგენს.

და კიდევ: საფრანგეთის მაგალითი ჩვენ გვარწმუნებს კონტინენტური სამართლის შესაძლებლობებში, რის საფუძველსაც ნორმატიული აქტები წარმოადგენს[13].

კორპორაციების შექმნა ინგლისში

ინგლისში პირველი კომპანიის შექმნა XV საუკუნით თარიღდება. 1496 წელს ჰენრი VII გასცემს ვაჭრობის ნებართვას ყველა ქვეყანასთან, რომელიც იქნებოდა აღმოჩენილი ინდოეთის გზის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ამ მიზნით, იქმნება კომპანია რომლის ინიციატორიც ხდება კაბოტი. თავდაპირველად მას წარმატება სდევდა თან, მაგრამ შემდგომ სახსრების არარსებობის გამო საქმე ჩავარდა.

30 წლის შემდეგ კაბოტი ისევ უკეთებს ორგანიზებას ამხანაგობებს ექსპედიციის აღჭურვისთვის, იმ მიზნით რომ აღმოეჩინათ ჩრდილოეთის გზა ინდოეთისკენ.

ეს კომპანია იწოდებოდა „მოვაჭრეები – თავგადასავლის მაძიებელნი, რეგიონების, სამფლობელოების, კუნძულებისა და უცნობი ადგილების აღმოჩენისათვის." მისი პირველი ექსპედიცია სამი გემის შემადგენლობით გაემართა არხანგელსკიში და შემდეგ მოსკოვში, ივანე მრისხანესთან. მოსკოვიდან მათ შეძლეს დაბრუნება

13 http://www.libsid.ru გვ.10

საქონლით და სავაჭრო შეთანხმებებით, რის შემდეგაც კომპანიას ეწოდებოდა „რუსული“ (1556). მათი აგენტები გემებით ეშურებოდნენ ვოლგაზე კასპიის ზღვამდე. რასაკვირველია, „რუსული კომპანია“ თავისი ორგანიზების დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ჰოლანდიურ ოსტ-ინდურს, თუნდაც იმით, რომ მისი მონაწილეები იძულებულნი იყვნენ ჩაებარებინათ საქონელი აგენტისათვის გასაყიდად. კომპანიაშიც პირველი შენატანი ძალიან დაბალი იყო და ემსახურებოდა უფრო თავისი ხარჯით ვაჭრობის უფლების ანაზღაურებას, სარგებლობდა რა ამასთან ერთად კომპანიის მფარველობით.

ამრიგად, „რუსული კომპანია“ წარმოადგენდა უძველეს კომპანიას, მისი პრინციპები კი შეიძლება თეორიულად გამოყენებულიყო ინგლისურ ოსტ-ინდურ კომპანიაში, რომელიც შეიქმნა XVI ასწლეულის ბოლო წელს და წავიდა გაცილებით შორს საკორპორაციო პრინციპების განვითარებაში. ინგლისური ოსტ-ინდური კომპანია, განსხვავებით „რუსული კომპანია“-სგან, შექმნილი იყო არა ინგლისის მთავრობის მიერ, ოსტ-ინდური კომპანია შეიქმნა ენერგიული ადამიანების კერძო ინიციატივით, რომლებიც მიჩვეული იყვნენ საზღვაო ამხანაგობებთან ერთად საქმიანობას და განხორციელებული ჰქონდათ შორეული ნაოსნობა. მისი შექმნის საბაბი იყო ჰოლანდიელების მიერ წიწაკის ფასის ხელოვნური და მნიშვნელოვანი გაზრდა. ლონდონში გაიმართა მიტინგი, სადაც გადაწყდა შექმნილიყო ინდოეთთან ვაჭრობის ასოციაცია. მასში მაშინვე გამოთქვა გაწევრიანების სურვილი 101-მა ადამიანმა. 1603 წლისთვის მონაწილეთა რაოდენობა 239-მდე გაიზარდა. ხელს აწერდნენ სხვადასხვა მნიშვნელოვან შეთანხმებებზე (100-დან 200-300 ფუნტ სტერლინგამდე). დედოფალი ანიჭებდა კომპანიას კორპორაციის უფლებას და საქონლის შემოტანასა და გატანასთან დაკავშირებულ სხვადასხვა უპირატესობებს.

რაც შეეხება შიდა რეორგანიზაციის საკითხებს, სამთავრობო აქტები მათ საერთოდ არ ეხებოდა, ვინაიდან მთავრობა კეთილგონივრულად აძლევდა კომპანიას უფლებას დამოუკიდებლად გადაეწყვიტა ისინი.

კორპორაციის შიდა წესები თანდათან ფორმირდებოდა. პირველ მათგანად შეიძლება დასახელდეს საერთო კრებების ჩატარების წესები, რომლითაც დადგინდა, რომ ისინი უნდა ჩატარდეს ყველასთვის ცნობილ ადგილას, ერთ მონაწილეს აქვს ერთი ხმა, კრებაზე დასწრება თითოეული წევრის ვალდებულებაა, წინაამდეგ შემთხვევაში მის წინააღმდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯარიმა. კრებები უკვე იყოფოდნენ მორიგად და საგანგებოდ. მოგვიანებით ამ წესებმა განიცადეს მნიშვნელოვანი ცვლილება.

კომპანიის თითოეული წევრის ექსპედიციაში მონაწილეობის ოდენობა განისაზღვრებოდა ნებაყოფლობით და თითოეული მონაწილე იღებდა მოწმობას, რომელიც ადასტურებდა მის მონაწილეობას საწარმოში, ასევე უფლების მოგებას შესაბამის ნაწილზე. ოსტ-ინდური კომპანია არ იყო ერთადერთი ინგლისში. სხვა კომპანიებთან ერთად შეიძლება დასახელდეს სამხრეთის საზოგადოება, ინგლისი-ვირჯინიის საზოგადოება, მაგრამ პირველი ადგილი აქ უდავოდ ეკუთვნის სამხრეთ-ამერიკულ კომპანიას (1711წ). საბოლოოდ, XVII საუკუნეში ფართო გამოყენება მიიღო კომპანიების შექმნის პრაქტიკამ აქციების გამოშვების გზით.

ინგლისს, ასევე, ეკუთვნის ისეთი გამოგონებები საკორპორაციო სამართლის სფეროში, როგორიცაა პრივილეგირებული აქციები (კომპანიების შესახებ აქტი 1867წ), ასევე აქციები წარმომდგენზე. საკორპორაციო წყობის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა იქონია ბირჟამ – სახელმწიფოსგან დამოუკიდებელმა კორპორაციამ, რომელსაც ჰქონდა თავისი წესები და ჩვეულებები, რომლის წინააღმდეგაც ხშირად უძლური იყო თვით საკანონმდებლო ხელისუფლებაც. ბირჟის მიერ შემუშავებული წესები წარმოადგენდნენ კანონმდებლობის აუცილებელ დამატებას და არცთუისე იშვიათად ავრცელებდნენ მათ. კიდევ ერთი განსაკუთრებულობა ინგლისური საკორპორაციო სამართლისა: კანონმდებელი ანიჭებს დიდ მნიშვნელობას დებულებებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან ამაღლდეს კომპანიის საქმიანობის საჯაროობა, რათა აქციონერს მიეცეს შესაძლებლობა უფრო მეტი გაიგოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ და დროულად მიღებულ იქნეს შესაბამისი ზო-

მები, მაგალითად მიმართოს სასამართლოს, თუ აქციონერმა ვერ ნახა მხარდაჭერა სხვა აქციონერებს შორის.

კორპორაციების საქმიანობის მარეგულირებელი შემდგომი საკანონმდებლო აქტები დემონსტრირებას ახდენდნენ კანონმდებლის ერთგულებისა, ინგლისში არსებული ტრადიციების მიმართ. საკორპორაციო წყობის მიმართ კანონმდებლის ფრთხილი დამოკიდებულება სხვა ყველაფერთან ერთად ალბათ აიხსნება იმითაც, რომ კორპორაციების რიცხვი მოქმედებდა საზღვარგარეთ და უზრუნველყოფდა ინგლისს კაპიტალის მოდინებით, ზრდიდა რა ამით მის სიმდიდრეს და ქვეშევრდომების კეთილდღეობის დონეს[14].

კორპორაციების შეღწევა ამერიკის კონტინენტზე

ამერიკაში, წარმოების განვითარების მანუფაქტურულ პერიოდში საწარმოო ძალების განვითარების არასათანადო დონის გამო მომგებიანი იყო მეურნეობის წარმოება ინდივიდუალურ საფუძველზე. გარდა ამისა, საკორპორაციო ფორმის არაპოპულარობა აიხსნებოდა ამერიკელების თვალში ინგლისური კოლონიალური კომპანიების კოლონიზატორული საქმიანობის კომპრომეტირებით. სააქციო საზოგადოება, როგორც წარმოების ორგანიზების ფორმა, გადმოღებულ იქნა ინგლისიდან, ასევე გადმოღებულ იქნა კორპორაციების შექმნის სანებართვო წესი,რომელიც მოქმედებდა XIX საუკუნის შუა პერიოდამდე. ასეთი ნებართვები გაიცემოდა შესაბამისი შტატის საკანონმდებლო ან ფედერალური ორგანოების მიერ, კორპორაციის წესდების დამტკიცების სახით. რაიმე ნორმატიული აქტები სამეწარმეო კორპორაციებთან დაკავშირებით არ მოქმედებდა. წარმოების განვითარების არცთუ მაღალი დონის პირობებში, კორპორაციებთან დაკავშირებით მსგავსი ხისტი სამართლებრივი მიდგომა საზოგადოების მიერ ძირითადად გაგებით იქნა მიღებული, თუმცა, მაშინაც ნებართვების გაცემა იწვევდა ბევრ შენიშვნას.

14 http://www.libsid.ru გვ. 9

XIX საუკუნის შუა პერიოდში ამერიკაში საწარმოო გადატრიალების შედეგად დამკვიდრდა მრეწველობის ფაბრიკული ფორმა. შესაბამისად, გაიზარდა კორპორაციების რიცხვიც. გაისმოდა მოწოდებები მათი შექმნის სანებართვო სისტემის გაუქმების და მისი სარეგისტრაციოთი შეცვლის შესახებ.

დასაწყისში, ეს გაკეთდა მხოლოდ ცალკეული დარგის კორპორაციებთან მიმართებაში, შემდგომ ცალკეულმა შტატებმა თავისი კანონებით გაავრცელეს სარეგისტრაციო წესი ყველა დარგის კორპორაციებზე, ამასთან შეზღუდეს კორპორაციების კაპიტალის საერთო მოცულობა და თუ კაპიტალის მოცულობა იყო დადგენილზე მაღალი, აუცილებელი იყო ნებართვისთვის მიმართვა.

ამრიგად, ერთი პერიოდი მოქმედებდა კორპორაციების წარმოშობის ერთდროულად ორი საშუალება: სანებართვო და საკორპორაციო. მოგვიანებით, როდესაც კორპორაციებმა აჩვენეს თავიანთი უპირატესობა მეურნეობის წარმოების ინდივიდუალურ საშუალებებთან შედარებით, ყველა შტატში მოხდა გადასვლა კორპორაციების შექმნის სპეციალურ წესზე. ამის საფუძველი გახდა კორპორაციებზე უფლებათა დაცვის პრინციპის გაგრძელება, რომელიც გამაგრებული იყო აშშ-ს კონსტიტუციის XIV შესწორებაში. ადრე ეს პრინციპი მხოლოდ ფიზიკურ პირებზე მოქმედებდა. 1868 წელს მიღებული ამ შესწორების თანახმად, არც ერთ შტატს არ ჰქონდა უფლება ჩამოერთვა პირისთვის სიცოცხლე, დამოუკიდებლობა და საკუთრება სათანადო პროცესის გარეშე, რომელიც დადგენილია სამართლით, ისე როგორც არ აქვს უფლება უარყოს მისი იურისდიქციის ფარგლებში ნებისმიერი პირის უფლება კანონის დაცვაზე.

XX საუკუნის დასაწყისში გაძლიერდა წარმოების კონცენტრაციის პროცესი და შესაბამისად გაიზარდა მსხვილი კორპორაციების როლი, რომლებიც იქცნენ დომინანტ ფაქტორებად ამერიკის ეკონომიკაში. წინა პერიოდის კანონმდებლობა კორპორაციებისთვის უკვე არასაკმარისი იყო, თანდათანობით ამ დროისთვის შტატებში კორპორაციების შესახებ მოქმედი საერთო კანონები იცვლებოდა მათთვის საქმიანობის განხორციელებაში ფართო უფლებების მინიჭების მიმართულებით. კერძოდ, თითქმის მთლიანად გაუქმდა საწესდებო კაპიტალის ზღვართან დაკავშირებული შეზღუდვა, დი-

რექტორს და მმართველს მიენიჭათ ფართო უფლებამოსილებები კორპორაციების მართვის სფეროში, მნიშვნელოვნად გაიზარდა კორპორაციის ფინანსური სესხების, აქციების გამოშვების და ა.შ. მიღებისას.

შტატებს შორის მიმდინარეობდა თავისებური შეჯიბრი საკანონმდებლო გზით კორპორაციების საქმიანობისთვის მაქსიმალურად პრივილეგირებული მდგომარეობის შექმნის სფეროში.

ცალკეული შტატების ინტერესი, რაც შეიძლება მეტი კომპანიის დარეგისტრირებაში, აიხსნებოდა მარტივად: შესაბამისი შტატის ფარგლებში დაფუძნებისას, შტატები იღებდნენ კორპორაციებისგან მოგებას გადასახადების ფორმით. კორპორაციის განვითარების ისტორიაში დიდი როლი ეკუთვნის სასამართლოებს. საერთო სამართლის ნორმების ფართო გამოყენებით, ახალი პრეცენდენტების შექმნით, კანონის განმარტების მინიჭებული უფლების გონივრულად გამოყენებით, სასამართლოები დაჟინებით ატარებდნენ ცხოვრებაში სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო წარმოების კორპორაციული ფორმის წახალისებისკენ. ასე, სასამართლოების ძალისხმევით კორპორაციებმა შეიძინეს საერთო ქმედუნარიანობა და მიიღეს შესაძლებლობა იმოქმედონ საკუთარი შეხედულებისამებრ და დაკავდნენ არსებითად ნებისმიერი საქმიანობით, რომელსაც მოაქვს მოგება. კორპორაციების წესდებებში ჩვეულებისამებრ ხდებოდა ჩამოთვლა მხოლოდ საქმიანობის ძირითადი მიზნების და ამოცანების.

იმავდროულად, უნარჩუნდებათ უფლება განახორციელონ საქმიანობა სხვა თანამდევ დამხმარე სფეროებში, რომელიც ამათუიმ ფორმით დაკავშირებულია კორპორაციის ძირითად საქმიანობასთან.

ამერიკელებს მოუწიათ „გამოეგონათ" „ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა" და გამხდარიყვნენ პირველაღმომჩენები ამ საქმეში. 1890 წლის 2 ივლისს აშშ კონგრესის მიერ მიღებულ იქნა შერმანის ანტიტრესტული კანონი.

ამ კანონის თანახმად, ტრესტის ფორმის ნებისმიერი გაერთიანება, ასევე საიდუმლო შეთანხმება, რომელიც მიმართულია ვაჭრობის ან თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვაზე შტატებს შორის და

საზღვარგარეთის სახელმწიფოების მონაწილეობით ურთიერთობების სფეროში, ცხადდება უკანონოდ და ექვემდებარება სასამართლო დევნას.

შემდგომ წლებში წარმოების კონცენტრაციის პროცესის გაძლიერების კვალდაკვალ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ნაწილობრივ იცვლებოდა, ყველაზე არსებითი დამატება შერმანის კანონში გაკეთდა 1944 წელს კლეიტონის კანონით.

ეს კანონი მოწოდებული იყო გაეუქმებინა შერმანის კანონის გაურკვეველი ფორმულირებები, ვაჭრობა და თავისუფალი კონკურენციის შემზღუდავი კონკრეტული მოქმედებების დადგენის გზით. მთლიანობაში კლეიტონის გზავნილი შემდეგი იყო: მსხვილი კორპორაციები კი არ უნდა განადგურდეს, არამედ უნდა აიკრძალოს მათი საქმიანობის არასასურველი მხარეები, მიმართული თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვისა და ჩახშობისკენ. აი რატომ, ანტიმონოპოლიურმა კანონმდებლობამ ითამაშა რა დადებითი როლი ქვეყანაში სამეწარმეო საქმის განვითარებაში, არ გააჩერა წარმოების კონცენტრაციის პროცესი. ამ გაგებით, აშშ დღესაც ლიდერ სახელმწიფოს წარმოადგენს[15].

15 http://www.libsid.ru გვ.12

§3. კორპორაციების თავისებურებები თანამედროვე პირობებში

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, კორპორაციებმა გაიარეს განვითარების რთული გზა შედარებით მარტივი, პირად კავშირებზე და ყველა მონაწილის სრულ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული კომპანიებიდან ისეთ კომპანიებამდე, რომლებიც აგებულნი არიან სააქციო საზოგადოებების პრინციპით, მსხვილი კაპიტალის გაერთიანების მიზნით გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მფლობელთა შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე.

კორპორაციების განვითარების გზას განსაზღვრული ხარისხით იმეორებს საკორპორაციო სამართალიც. თანამედროვე ეტაპზე განვითარებული მრეწველობის ქვეყნებში საკორპორაციო წყობა გამოირჩევა შემდეგი თავისებურებებით:

– ხდება სამეწარმეო საქმიანობაში კერძო მფლობელების პრინციპის შევიწროება კოლექტიური მფლობელების (აქციონერული სახელმწიფო) პრინციპით.

– თანდათანობით კერძო საკუთრების შეზღუდვამ გამოიწვია მოგების მიღების სტიმულის შესუსტება. საკუთარი კაპიტალდაბანდებების განკარგვის უფლების შენარჩუნებასთან ერთად, ეხლა სტიმულს, ასევე, წარმოადგენს არამატერიალური (მორალური-იდეალური) ხასიათის კატეგორიები: მთავრობაზე ზემოქმედებს ხარისხი, ახალი წამოწყებების შესაძლებლობა, საზოგადოებრივი აღიარება და ა.შ.

– საზოგადოებაში ხდება ადრე მთლიანობაში არსებული ხელისუფლების ცენტრის ორად გაყოფა: ფორმალური (სამთავრობო) და ფიქტიური (კორპორაციული).

– სულ უფრო და უფრო შესამჩნევია გადასვლა თავისუფალი ბაზრის მოთხოვნებით ნაკარნახევი გადაწყვეტილებებიდან, გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ადმინისტრაციული ჯგუფების მიერ (არაა აუცილებელი სამთავრობო).

იბადება კითხვა, ხომ არ მიდის დასავლური საზოგადოება საკორპორაციო სახელმწიფოსკენ? განვითარებულ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის ანალიზი არ გვაძლევს ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის საშუალებას. პირველ რიგში იმიტომ, რომ საკორპორაციო საქმიანობის ძირითადი სახე, ეკონომიკური და არაპოლიტიკური საქმიანობაა. მოგების მიღების სტიმულის ჩაქრობის მიუხედავად კორპორაციების საქმიანობის მთავარ მამოძრავებელ მოტივს წარმოადგენს უფრო მოგების და აღმშენებლობითი მიღწევების და არა პოლიტიკური ხელისუფლების მიღებისკენ მიზანსწრაფვა.

მეორე რიგში, საკორპორაციო ეკონომიკაში გადაწყვეტილებები დეცენტრალიზებულია, მხოლოდ კრიზისულ სიტუაციებში, მაგალითად, ძლიერი ინფლაციის პერიოდში, მიიღება ცენტრალიზებული გადაწყვეტილებები ფასების დაჭერის და ხელფასების საკითხებთან დაკავშირებით. მაგრამ მაშინაც, როცა ეს გადაწყვეტილებები აუცილებელია, ისინი ართულებენ ეკონომიკურ პროცესს და მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში შეუძლიათ იმოქმედონ.

მესამე – კორპორაციები აგრძელებენ ერთმანეთთან ბრძოლას, რასაკვირველია ცალკეული მწარმოებლების და მოვაჭრეების სიმრავლის კონკურენციის ცნებამ განიცადა ცვლილებები. მათ შორის მკაცრი კონკურენცია გადავიდა მომხმარებლისთვის რბილ კონკურენციაზე.

მეოთხე – ძლიერი პროფკავშირების გამოჩენა განხილულ უნდა იქნეს, როგორც ეკონომიკური სიჯანსაღის ელემენტი, რომელსაც მსხვილი გამაწონასწორებელი ძალა აქვს კორპორაციების განუსაზღვრელ ძალაუფლებასთან მიმართებაში.

და ბოლოს, სულ უფრო და უფრო მართლდება სამთავრობო რეგულირებების ხარისხი, ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის მთავრობის მიერ მიღებული ზომების სისტემა წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას, რომ კორპორაციები არ გაანადგურებენ ერთმანეთს და იმავდროულად საზოგადოებრივ კეთილდღეობას. აი

ამიტომ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებს და აშშ-ს არ ემუქრება ტოტალიტარიზმის დამყარება თუნდაც საკორპორაციო საწყისზე[16].

კორპორაციის განვითარების სტადიები

რამდენადაც დიდ კაპიტალს აერთიანებს კორპორაცია, მით უფრო დიდი ზომით ხდება საკუთრების გამოცალკევება მართვისგან. ადოლფ ბერლი გვთავაზობს განვასხვავოთ განვითარების ოთხი დამოუკიდებელი სტადია (საფეხური) და მათი შესაბამისი სახე თანამედროვე კორპორაციებთან მიმართებაში[17].

პირველ სტადიაზე კაპიტალის მფლობელები კორპორაციის ადმინისტრაციის მოქმედებებზე სრულ კონტროლს ფლობენ. მესაკუთრეთა წრე უმნიშვნელოა, ბევრი მათგანი მუშაობს მოცემულ კორპორაციაში. ისინი ინტერესდებიან არა მხოლოდ იმით, მოგების რა წილი უნდა მიიღონ, არამედ იმითაც, თუ როგორ მოხდეს კორპორაციის საქმიანობის უკეთ და ეფექტურად წარმართვა, რათა გაიზარდოს მომგებიანობა.

შემდეგ მოდიან კორპორაციები ე.წ. სამუშაო კონტროლით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქციების მფლობელთა განსაზღვრული ჯგუფი, საკონტროლო პაკეტის დახმარებით ახორციელებს ფაქტობრივ კონტროლს კორპორაციაში.

მესამე სტადიაზე მოსახლეობაში აქციების ფართო გავრცელების წყალობით მსხვილი კორპორაციების უმრავლესობაში კონტროლი მთლიანად გადადის მის მმართველ ორგანოებზე. აქციების მფლობელთა მდგომარეობა ასეთ სიტუაციაში ემსგავსება საბანკო შენატანების მფლობელთა მდგომარეობას. და ბოლოს, განვითარების მეოთხე სტადიაზე ხდება ქვეყნის მასშტაბით მიმობნეული აქციების მრავალრიცხოვან მფლობელთა გაერთიანება მსხვილი სადაზღვევო კომპანიების, საპენსიო ფონდების და სხვა კერძო გაერთიანებების მიერ, რომლებიც მათი კლიენტების (მოქალაქეების) შენატანებით და დანაზოგებით ყიდულობენ კორპორაციების მიერ გამოშვებული აქციების მნიშვნელოვან ნაწილს. ამის წყალო-

16 http://www.libsid.ru გვ. 14
17 ა.წ. „ადოლფ ბერლის კანონზომიერება“.

ბით, ამგვარი გაერთიანებები იღებენ შესაძლებლობას გააკონტროლონ კორპორაციების ადმინისტრაციათა მოქმედებები.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში კორპორაციების განვითარება მხოლოდ იწყება. სამეურნეო ერთეულები, რომელთაგანაც ადრე თითქმის ყველა ცენტრიდან იმართებოდა, ავითარებენ დამოუკიდებლობას. სახელმწიფო საკუთრების გარდაქმნა, რასაკვირველია, უკეთესია განხორციელდეს მისი გამოსყიდვის ან შეძენის სხვა ფორმით. თუმცა, მოსახლეობის კაპიტალი ამ მიზნისთვის უკიდურესად არასაკმარისია.

ასეთ სიტუაციაში, ხშირად ამხანაგობის, კოოპერატივების შექმნა საუკეთესო გამოსავალია შექმნილი მდგომარეობიდან. სახელმწიფო მსხვილი საწარმოების უმრავლესობა გარდაიქმნება სააქციო საზოგადოებად. თუმცა, ხშირ შემთხვევაში აქციების საკონტროლო პაკეტს სახელმწიფო იტოვებს თავისთვის. მესამე სტადიის კორპორაციები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ჯერჯერობით გამონაკლისს წარმოადგენს. საერთო მასაში მათი რიცხვი ბევრი არ არის, მოსახლეობის კეთილდღეობასთან და თავისუფალი საშუალებების დაგროვებასთან ერთად მათი რაოდენობა გაიზრდება ამავე მიზეზით. მეოთხე სტადიის ორგანიზაციების შექმნა ჯერ კიდევ ჩანასახობრივ მდგომარეობაშია და არ გამოსულა სოციალური და სამართლებრივი ექსპერიმენტების ფარგლებიდან. ამ მიზნით დაფუძნებულ სხვადასხვაგვარ საპენსიო ფონდებს, ასევე, არ აქვთ მხარდაჭერა მოსახლეობაში.

განვითარებული ეკონომიკის და მოსახლეობის კეთილდღეობის მაღალი დონის მქონე ქვეყნებისთვის, მაგ. აშშ-ისთვის დამახასიათებელია კორპორაციები, რომლებიც იმყოფებიან განვითარების მესამე (და ნაწილობრივ მეოთხე) სტადიაზე, რომლის ძირითად ნიშანს წარმოადგენს საკუთრების გამოყოფა მართვისგან. რაც შეეხება პირველი ორი სტადიის შესაბამის კორპორაციებს, ისინი აგრძელებენ არსებობას, თუმცა მათი დრო უკვე გასულია.

კორპორაციები ანგლო-ამერიკულ სამართლის სისტემაში

ყველა კორპორაცია, მაგალითად აშშ-ში იყოფა ოთხ ჯგუფად: საჯარო (public), ნახევრად საჯარო (quasi-public), სამეწარმეო (business) და არასამეწარმეო (nonprofit).

საჯარო კორპორაციებს განეკუთვნება სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები, (ქალაქების, ოლქების, სოფლების) რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო აპარატის ქვედანაყოფებს. აღჭურვილი არიან შესაბამისი სახელისუფლებო უფლებამოსილებით და ახორციელებენ მმართველობით საქმიანობას განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში. კონტინენტურ სამართალში ორგანიზაციების ეს ჯგუფი იწოდებიან სახელმწიფო ორგანოებად და არ მიეკუთვნებიან კორპორაციების რიცხვს.

ნახევრად საჯაროდ ითვლებიან კორპორაციები, რომლებიც ემსახურებიან მოსახლეობის საერთო საჭიროებებს, მაგალითად მოსახლეობის წყლით, გაზით, ელექტროენერგიით მომარაგების სფეროში, ირიგაციის, რკინიგზის და ა.შ. კორპორაციები, ამ შემთხვევაში ტერმინი „კორპორაცია“ გამოიყენება ისეთ ორგანიზაციებთან მიმართებაში, რომლებიც არსებობენ გადასახადის გადამხდელთა ფულით და ახორციელებენ მოსახლეობის განსაზღვრულ საერთო მოთხოვნილებებს, მომხმარებელთან დაკავაშირებულ ფუნქციებს.

პრინციპში მათი სამართლებრივი მდგომარეობა კორპორაციების სხვა სახეობების მსგავსია, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში მათ ეძლევათ შეღავათები. მაგალითად, ისინი თავისუფლდებიან გადასახადებისგან, არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან და ა.შ.

ყველა სხვა დანარჩენი კორპორაცია მიეკუთვნება კერძოთა კატეგორიას, ანუ იმათ რიცხვს, რომელთა შექმნაში სახელმწიფო არ ღებულობს მონაწილეობას და რომლებიც შექმნილნი არიან მოქალაქეთა ინიციატივით, მათი კერძო ინიციატივების განხორციელების მიზნით.

კერძო კორპორაციები იყოფა ორ ჯგუფად: არასამეწარმეო და სამეწარმეო. არასამეწარმეო კორპორაციებია რელიგიური ორგა-

ნიზაციები, განათლების სფეროს (სკოლა, კოლეჯი, უნივერსიტეტი და სხვ.) კორპორაციები, საქველმოქმედო ფონდები. მათ არ აქვთ მოგების მიღების მიზანი და თუ აქვთ მოგება მიმართავენ მას არასამეწარმეო კორპორაციის შექმნისას განსაზღვრული ძირითადი მიზნების მიღწევისათვის. სამეწარმეო (კომერციული) კორპორაციები იქმნება მოგების მიღების მიზნით. ისინი დომინირებენ ყველა სხვა ზემოაღნიშნულ კორპორაციებს შორის, მათი ეკონომიკური წინაღობის გათვალისწინებით. იურიდიული თვალსაზრისით, სამეწარმეო კორპორაციები წარმოადგენს ყველაზე დიდ ინტერესს. მათი საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება ძალიან რთულია (ცენტრალიზებულ რეგულირებას ემატება კორპორაციულიც) და კორპორაციების სხვა სახეობებთან შედარებით წარმოადგენს ძალიან ორგანიზებულ და დეტალიზირებულს.

სამეწარმეო კორპორაციები მოქმედებენ სხვადასხვა სფეროში: მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, კომუნალური მომსახურეობის და მეურნეობის სხვა სფეროებში. გამოსაყოფია ასევე ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც განსაკუთრებულ სამართლებრივ რეგულირებას საჭიროებენ და სხვა.

ასეთია კორპოორაციების კლასიფიკაცია, რომელიც გამოიყენება ანგლოსაქსურ სამართალში. საერთო სამართლის სისტემაში თავისებურებით გამოირჩევა ასევე, სამეწარმეო კორპორაციების განმარტება. ანგლოსაქსონური სამართლის სისტემაში სამეწარმეო კორპორაცია წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას. როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება კორპორაციის ძალიან ვიწრო გაგება.

იმავდროულად, ანგლოსაქსონური სამართლის სისტემაში თანდათან აღიარებას ჰპოვებს ამხანაგობის, იურიდიულ პირად ცნობის ტენდენცია. დღესდღეობით ამხანაგობა გარკვეულწილად წარმოადგენს დე-ფაქტო იურიდიულ პირს, მაგრამ არა სრული მოცულობით. ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ მიმდინარეობს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის კონვერგენციი -ს პროცესი.

დასაწყისში, კორპორაციების სამართალუნარიანობა ყველა ქვეყანაში იყო უფრო (მეტად) სპეციალური, დღესდღეობით საერ-

თო სამათლის სისტემის ქვეყანათა უმრავლესობაში გადავიდნენ საერთო კომპეტენციის დადგენისკენ.

საერთო სამართალუნარიანობა ნიშნავს იმას, რომ კორპორაციას შეუძლია განახორციელოს სახელმწიფოს მიერ ნებადართული ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა, თუ მისი წესდება არ ითვალისწინებს უფრო ვიწრო მიზნებს (მაგალითად, საბანკო ან სადაზღვევო საქმე). ასე განისაზღვრება კორპორაციების სამართალუნარიანობა, ნებისმიერი კორპორაცია, მიუხედავად იმისა, ბიზნესის რომელი კონკრეტული სახეობით არის დაკავებული, პრაქტიკულად არ იზღუდება შესაძლებლობით გამოიყენოს ის უფლებები, რომელიც საერთოდ მინიჭებული აქვთ სამეწარმეო კორპორაციებს[18]. კანონებში ფორმულირებული უფლებამოსილებები, ხშირ შემთხვევაში, გადადის წესდებებში. გარდა ამისა, კორპორაციების წესდებაში ასევე შეიძლება შეტანილ იქნეს სხვა, კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებებიც. წესდებაში შეტანილ ყველა ამ უფლებას უწოდებენ ღიად გამოხატულ უფლებებს. თუ ზოგიერთი უფლება, ამათუიმ მიზეზით, წესდების მიღმა აღმოჩნდა, ისინი ითვლებიან მოაზრებულ უფლებებად და შეიძლება გამოყენებულ იქნას კორპორაციების მიერ ღიად გამოხატული უფლებების თანაბარ წილად (მაგალითად, ქველმოქმედება, სპონსორული საქმიანობა და ა.შ).

ultra vires დოქტრინა, რომლის თანახმადაც კორპორაციის წესდების ფარგლებს გარეთ გასული გარიგებები მიიჩნეოდა ბათილად, დაკარგა თავისი მნიშვნელობა. აშშ-ს მოდელური კანონი სამეწარმეო კორპორაციების შესახებ შეიცავს ცალსახა მითითებას ultra vires-ზე: კორპორაციების მიერ განხორციელებული მოქმედებების რეალურობა არ შეიძლება სადავო გახდეს იმ საფუძვლით, რომ კორპორაცია არ ფლობდა ან არ ჰქონდა უფლებამოსილება მათ განხორციელებაზე[19]. თუმცა, იმისათვის, რომ აქციონერებს შეძლებოდათ სააქციო საზოგადოების საქმიანობის კონტროლი, ამერიკელმა კანონმდებლებმა გაითვალისწინეს სამი შემთხვევა,

18 *§ 3.02 Модельного закона о предпринимательских корпорациях США* (1984 г.)
19 *§ 3.04 Модельного закона о предпринимательских корпорациях США* (1984 г.)

როდესაც კორპორაციის შეუზღუდავი უფლება შეიძლება გასაჩივრდეს:

– აქციონერს შეუძლია კორპორაციის წინააღმდეგ წარადგინოს სარჩელი განსაზღვრული მოქმედებების განხორციელების აკრძალვაზე, რომლებიც ცდება კორპორაციისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებს, თუ უფლებამოსილების გადამეტებით დადებული გარიგებები ან გადაწყვეტილებები ჯერ არ აღსრულებულა:

– კორპორაციას ან მისი სახელით და ინტერესებით მოქმედ პირს შეუძლია წარადგინოს სარჩელი კორპორაციის მმართველთა წინააღმდეგ, ამ თანამდებობის პირთა მიერ უფლებამოსილებების გადაჭარბების შედეგად წარმოშობილი ზარალის ანაზღაურების შესახებ:

– გენერალურ ატორნეის (პროკურორს) შეუძლია წარადგინოს სარჩელი კორპორაციის ლიკვიდაციის თაობაზე იმ შემთხვევებში, თუ კორპორაცია შექმნილი იყო მოტყუებით ან კორპორაცია მუდმივად ბოროტად სარგებლობდა კანონით მინიჭებული უფლებამოსილებებით ან აჭარბებდა მათ[20].

საერთო სამართლის სისტემის ქვეყნების არსებით თავისებურებას წარმოადგენს ასევე კორპორაციების დაფუძნების წესი, რომელიც შეიძლება მოკლედ დავახასიათოთ, როგორც ძალიან გამარტივებული, ამ წესს სარეგისტრაციო წესი ეწოდება.

კორპორაციის დაფუძნებისას აუცილებელია დამფუძნებელთა კრების ან დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული წესდების და ზოგიერთ ქვეყანაში, ასევე, რეგლამენტის წარდგენა. ეს დოკუმენტები განაცხადთან ერთად წარედგინება კორპორაციების რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოს (აშშ-ში შტატის მდივანს), კორპორაციის დასახელება შეიტანება რეესტრში და გაიცემა შესაბამისი მოწმობა. ამასთან, ზემოაღნიშნული დოკუმენტები შეიძლება გაგზავნილ იქნეს ფოსტით, შესაბამისად, მიღებული ქვითარი აუცილებელ შემთხვევაში წარმოადგენს კორ-

20 *§ 3.04 Модельного закона о предпринимательских корпорациях США* (1984 г.)

პორაციის დაფუძნების ან ასეთი განზრახვის არსებობის მტკიცებულებას.

ბოლო წლებში სარეგისტრაციო წესთან ერთად გამოიყენება ასევე ადგილზე გამოცხადების წესი, რომლის არსი მდგომარეობს ისეთი კორპორაციების სტატუსის აღიარებაში, რომლებიც ჯერ არ არიან რეგისტრირებულნი. შემთხვევით არ დაწყებულა კორპორაციების დაყოფა „დე-იურე" და „დე-ფაქტოდ". დე-ფაქტო კომპანიებია, რომლებიც ფაქტიურად არსებობენ, ახორციელებენ შესაბამის საქმიანობას, მაგრამ არ გაუვლიათ რეგისტრაცია. ასეთი კორპორაციები აღიარებულნი არიან დე-იურე კორპორაციებად, შემდეგი პირობების არსებობისას:

– კანონის არსებობა, რომლის საფუძველზეც შეიძლება ასეთი სახეობის კორპორაციის წარმოქმნა, არ იკრძალება კორპორაციების მსგავსი საქმიანობა;

– რეალური, თუმცა ბოლომდე განუხორციელებელი მცდელობა კორპორაციის შექმნის შესახებ კანონის მოთხოვნების შესრულებისა (მაგალითად, საფოსტო ქვითარი)

– კორპორაციის სახით ორგანიზაციის განსაზღვრული პრაქტიკული საქმიანობა.

საკორპორაციო ფორმის გამოყენების საწყის ეტაპზე კორპორაციის შექმნის აუცილებელი პირობა იყო საწესდებო კაპიტალის არსებობა (ჯერ პაის, შემდეგ აქციის სახით), რომელიც შეიძლება მთლიანად ან ნახევრად ყოფილიყო ანაზღაურებული. დღესდღეობით ეს პირობა არ არის აბსოლუტური, ამიტომ მისი შესრულება არ მოწმდება კორპორაციის დაფუძნებისა.

საკორპორაციო ფასიანი ქაღალდების სახეები აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობის მიხედვით

კომპანიების შესახებ ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად, აქცია თავისი შინაარსით გამოხატავს აქციონერის ინტერესს კომპანიასთან მიმართებაში. კომპანიის აქციები განიხილება რო-

გორც პერსონალური საკუთრების ობიექტი, და არა რეალური საკუთრების ობიექტი. ისინი მიიჩნევა „ნივთებად მოთხოვნებში“[21].

სააქციო კაპიტალის მქონე კომპანიებს უფლება აქვთ გამოუშვან ერთი ან რამდენიმე სახის აქციები. ერთი სახეობის აქციის გამოშვების შემთხვევაში, თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომინარე, ისინი ითვლებიან ჩვეულებრივ აქციებად. ასეთი აქციები წარმოადგენენ აქციების ძირითად სახეობას სააქციო კაპიტალის მქონე კომპანიებში. თუ კომპანია უშვებს რამდენიმე სახის აქციას, მაშინ მემორანდუმში მან უნდა მიუთითოს უფლებამოსილება, უპირატესობები და შეზღუდვები თითოეული აქციის სახეობაზე.

კომპანიების შესახებ 1985 წლის კანონის მიხედვით, კომპანიებს უფლება აქვთ გამოუშვან მხოლოდ კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებით განსაზღვრული ნომინალური ღირებულების მქონე აქციები. აქციები არის მხოლოდ სახელობითი და წარმომდგენზე აქციის გამოშვებას არ ითვალისწინებს.

ჩვეულებრივ აქციებს შორის უნდა გამოიყოს გადადებული (ან სადამფუძნებლო) აქციები, რომლის გამოშვება ხდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ, ასეთ აქციებზე დივიდენდების გადახდა ხდება ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების გადახდის შემდეგ. ჩვეულებრივ აქციებს შეიძლება არ ჰქონდეს ხმის მიცემის უფლება.

ჩვეულებრივ აქციებთან ერთად კომპანიებს შეუძლიათ გამოუშვან სხვადასხვა სახის პრივილეგირებული აქციები: კუმულატიური ან არაკუმულატიური, დამატებითი დივიდენდით და სხვა.

ცალკე კატეგორიადაა გამოყოფილი კომპანიის თანამშრომლების კუთვნილებაში არსებული აქციები. ასეთი აქციების შეძენა კომპანიის თანამშრომლების მიერ ხდება შეღავათიანი პირობებით. ზოგიერთი კომპანია აძლევს თანამშრომლებს ოფციონის უფლებას, როგორც ჯილდოს შემადგენელ ნაწილს. აქციებზე ოფციონის უფლების თაობაზე დოკუმენტები შეიძლება იყოს მათი, პრივილეგირებულ აქციებად და კომპანიის თავისუფალი მიმოქცევის ქაღალდად კონვერტაციის საგანი.

21 *კანონი კომპანიების შესახებ*.ინგლისი 1985 წ.

დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით, სადაც კომპანიები შეიძლება იყოს როგორც სააქციო, ისე საპაიო, სამეწარმეო კორპორაციები აშშ-ში მხოლოდ სააქციოა. აქციები განისაზღვრება როგორც „კორპორაციის ქონებრივი უფლებების დაყოფის ერთეული".

1980 წელს მიღებულმა სამეწარმეო კორპორაციების შესახებ სამოდელო კანონის დამატებებმა გამორიცხეს ნომინალური კაპიტალის კონცეპციის გამოყენება: აქციების გამოშვება ნებადართულია არა ნომინალური ღირებულებით.

1984 წლის ახალი რედაქციის სამოდელო კანონმა უარი თქვა აქციების უბრალო (ჩვეულებრივი) და პრივილეგირებულ აქციებად დაყოფაზე და დაადგინა სხვა, უფრო რბილი სისტემა აქციების კატეგორიებად დაყოფის. თუ კორპორაციის წესდება ითვალისწინებს ერთი სახის აქციის გამოშვებას, ივარაუდება, რომ ასეთი აქციები გულისხმობს აქციონერთა უფლებების ტრადიციულ ერთობლიობას: დივიდენდის მიღება, საზოგადოების მართვაში მონაწილეობა, სალიკვიდაციო კვოტის მიღება. თუ კორპორაციის წესდებით გათვალისწინებულია სხვადასხვა კატეგორიის აქციების გამოშვება, მაშინ აუცილებელია აისახოს ასეთი აქციებით მინიჭებული ყველა უფლება. სამოდელო კანონი ადგენს მოთხოვნებს იმის თაობაზე, რომ კორპორაციამ უნდა გამოუშვას აქციების ერთი კლასი, რომელიც ითვალისწინებს ხმის შეუზღუდავ უფლებას, და ერთი კლასი აქციების, რომელიც ითვალისწინებს სალიკვიდაციო კვოტის მიღებას.

აშშ-ში ნებადართულია მხოლოდ სახელობითი აქციების მიმოქცევა[22].

კონტინენტური ევროპის კორპორაციების ნიშნები და თავისებურებები

კონტინენტურ სამართალში კორპორაციის ცნება ძირითადად ემთხვევა იურიდიული პირის ცნებას. კორპორაცია – კოლექტიური წარმონაქმნი, ორგანიზაცია, აღიარებულია იურიდიულ პირად, დაფუძნებული გაერთიანებულ კაპიტალზე (ნებაყოფლობით შე-

22 http://lawtoday.ru/razdel/biblo გვ. 38

ნატანებზე), რომელიც ახორციელებს სოციალურად სასარგებლო საქმიანობას.

გავაანალიზოთ კორპორაცია ზემოაღნიშნულ განსაზღვრებაში მითითებული ნიშნების მიხედვით.

პირველ რიგში, კორპორაცია არ წარმოადგენს ინდივიდების უბრალო ერთობას. ის ასოციაციაა, პირთა კავშირი, ანუ შესაბამისი სახით ორგანიზებული კოლექტივი, რომლის ნება განისაზღვრება მასში შემავალი ინდივიდების ჯგუფური ინტერესებით და რომელიც ორგანიზაციულად და ქონებრივად მოქმედებს როგორც ერთიანი მთლიანი და თავისი საკუთარი სახელით.

მეორე რიგში, კორპორაცია – არამარტო ადამიანების, არამედ კაპიტალის (არაკომერციულ კორპორაციებში – შენატანების) გაერთიანებაა.

მესამე რიგში, კორპორაცია – რომელიმე სოციალურად სასარგებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით ადამიანთა გაერთიანებაა.

და ბოლოს, მეოთხე მომენტი, რომელმაც მიიღო კორპორაციის განსაზღვრებაში ასახვა, მდგომარეობს იმაში, რომ კოლექტიური წარმონაქმნი, ორგანიზაცია ხდება კორპორაციად თუ ის მიიღებს იურიდიული პირის სტატუსს. ეს დასტურდება სახელმწიფო ორგანოში რეგისტრაციით. იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაცია – აუცილებელი პირობაა არა მარტო საქართველოში, რომელსაც აქვს გენეტიკური ფესვები რომანულ-გერმანული სამართლის სისტემაში, არამედ კონტინენტური ევროპის უმრავლესობა ქვეყნებისთვის.

კორპორაციის ცნება კონტინენტურ სამართალში, ერთის მხრივ, ფართოა ვიდრე ანგლოსაქსურში: მასში იგულისხმება პირთა ისეთი გაერთიანებები, რომლებიც აშშ-ს და ინგლისის სამართლის მიხედვით ან საერთოდ არ მიიჩნევა კორპორაციად, ან პრაქტიკაში არ არსებობენ (მაგალითად, ამხანაგობა). მაგრამ მეორეს მხრივ, ვინაიდან კორპორაციების რიცხვს, თუნდაც საჯაროსაც, ანგლოსაქსურ სამართალში მიეკუთვნება ასევე ისეთები, რომლებიც კონტინენტურ ევროპაში საერთოდ არ მიიჩნევა იურიდიულ პირად და შესაბამისად

კორპორაციად. საუბარია მმართველობითი საქმიანობით დაკავებულ სახელმწიფო ორგანოებზე.

ამრიგად, კონტინენტური სამართლის სისტემაში კორპორაციის იურიდიული ფორმები გამოირჩევა მეტი მრავალფეროვნებით, ვიდრე საერთო სამართლის სიტემაში. და ამაში უნდა დავინახოთ მათი პირველი თავისებურება. მეორე თავისებურება უკავშირდება კონტინენტური ევროპის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების სპეციფიკას. რაც გამოიხატება, სახელმწიფო საწარმოების (ქარხნები, ფაბრიკები, მეურნეობები) მნიშვნელოვანი რაოდენობის არსებობაში და კონტინენტური ქვეყნების სამეურნეო მექანიზმში სახელმწიფოს ძლიერ როლში. ეს შეიძლება აიხსნას ბევრი მიზეზით.

პირველ რიგში, კლიმატური პირობები: ევროპის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე, შედარებით მკაცრი კლიმატი ართულებს, თუ არა შეუძლებელს ხდის ერთპიროვნულად მეურნეობის წარმოებას.

მეორე რიგში, გეოპოლიტიკური მიზეზები: კონტინენტური ევროპის ქვეყნები, ისეთი კუნძულოვანი სახელმწიფოებისგან განსხვავებით როგორიცაა ინგლისი, ავსტრალია და გარკვეულწილად აშშ (საზღვრების დიდი ნაწილი – ბუნებრივი ხასიათის საზღვრებია), იძულებული იყვნენ ყოველთვის დიდი ყურადღება დაეთმოთ მეზობელი, მოსაზღვრე სახელმწოფოებთან ურთიერთობებისთვის.

გარდა ამისა, ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები არ წარმოადგენენ იდეალურ ადგილს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის, ამიტომ ისინი თავის ძალისხმევას არანაკლები ხარისხით მიმართავენ ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე. სამთოგადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც ძალიან დიდ კაპიტალდაბანდებას საჭიროებს, ყველაზე ეფექტიანად შეიძლება ორგანიზებულ იქნეს სახელმწიფო საკუთრების საფუძველზე, ან სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მხარდაჭერით.

თანამედროვე პირობებში საზღვარგარეთ არავინ არ ასაჩივრებს კერძო და კოლექტიურ საწარმოებთან ერთად სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების არსებობას. გაისმის პროტესტი სახელმწოფო და მუნიციპალური საწარმოების მიერ კერძო მეწარმეობის შთანთქმის წინააღმდეგ.

კონტინენტური სამართლის სისტემაში კორპორაციების მესამე თავისებურება მდგომარეობს მის მონაწილეთა შორის უფრო ახლო, მჭიდრო ურთიერთობების არსებობაში. ეს აიხსნება იმით, რომ კორპორაციებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამხანაგობებს, რომელთაც ახასიათებს თითოეული წევრის უშუალო, პირადი შრომითი მონაწილეობა მის საქმიანობაში. სააქციო საზოგადოებაშიც კი, სადაც პირადი მონაწილეობა არ არის აუცილებელი, მონაწილეებისათვის დამახასიათებელია შეკავშირება (განსხვავებით აქციონერებისგან, მაგალითად აშშ-ში), რაც შესაძლებლობას აძლევს აქციონერთა საერთო კრებას უფრო წონადი როლი ითამაშოს.

ევროპული კორპორაციების მეოთხე თავისებურება დაკავშირებულია იმასთან, რომ მათი საქმიანობა უფრო მეტად განიცდის სახელმწიფო რეგულირებას, ვიდრე ამერიკული ან ინგლისური კორპორაციები.[23]

იურიდიული პირების საქმიანობის სფეროში ევროპული კავშირის აქტების მიღების აუცილებლობა

ევროპული კავშირის (შემდგომში-ევროკავშირი) საერთო ბაზრის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი გახდა დაწესებულების თავისუფლება, რომელიც გულისხმობს წევრი სახელმწიფოების მოქალაქეთათვის ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე ცხოვრების და დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის უფლებას. მოცემული თავისფლება მოქმედებს და გამოიყენება იურიდიულ პირებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოადგენენ კომერციულ ორგანიზაციებს და როგორც ჩვენ ვიცით ასევე აღიარებული არიან ევროკავშირის სამართლის სუბიექტებად. ევროპის „კომპანიების და ფირმების შესახებ" ხელშეკრულების 48-ე მუხლის შესაბამისად, ერთ-ერთი წევრ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები სარგებლობენ დამოუკიდებელი ეკო-

23 http://www.libsid.ru

ნომიკური საქმიანობის თავისუფლებით, კავშირის მოქალაქეების მსგავსად.[24]

„ევროპული კავშირის შესახებ“ ხელშეკრულების მეორე თავის III განყოფილების მესამე ნაწილის საფუძველზე, შეიძლება გამოვყოთ ევროპული კავშირის სამართალში იურიდიული პირების საქმიანობის რეგულირების ძირითადი მიზნები:

ა) იურიდიული პირების დაფუძნების თავისუფლების უზრუნველყოფა, ასევე ნებისმიერი წევრ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მოცემული სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის პირობებით, ფილიალების, წარმომადგენლობების და შვილობილი საზოგადოებების გახსნისთვის წინაღობების მოხსნა;

ბ) იურიდიული პირების მიმართ მინიმალური ერთიანი მოთხოვნების დადგენა. პირველ რიგში, ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე იურიდიული პირების მონაწილეების და კრედიტორებისთვის ერთნაირი დაცვის შეთავაზება;

გ) ტრანსევროპული კომპანიებისთვის საქმიანობის შემსუბუქება, ეროვნულ-სამართლებრივ სისტემებს შორის არსებული განსხვავებებით გამოწვეული ბარიერების მოხსნის გზით;

დ) ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში სხვადასხვა წევრ სახელმწიფოთა იურიდიული პირებს შორის თანამშრომლობის წახალისება;

საკორპორაციო სამართლის სფეროში ევროკავშირის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ძირითად როლს თამაშობს პოლიტიკური ინსტიტუტები: ევროკავშირის საბჭო, ევროპარლამენტი და ევროკომისია. საწყისს პერიოდში, ევროკავშირის შექმნის შესახებ ხელშეკრულების &2-ის 44-ე მუხლის შესაბამისად, დირექტივების მიღებისთვის, გამოიყენებოდა საკონსულტაციო პროცედურა, რომელიც დღევანდელ დღეს შეცვლილია გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების პროცედურით. უნდა აღინიშნოს,

24 http://eulaw.ru/treaties/teu მ.48 შეთანხმება UE

რომ საბჭოში საკორპორაციო სამართლის სფეროში დირექტივის მიღებისთვის საკმარისია კვალიფიციური უმრავლესობა (&3 მუხლი 47 ევროკავშირის შექმნის ხელშეკრულება). გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელია, ასევე, ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის დასკვნა. ევროკომისიის სტრუქტურაში საკორპორაციო სამართლის, საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის პრობლემატიკა განეკუთვნება შიდა ბაზრის საკითხებში გენერალური დირექტორის გამგებლობას. ევროპული თანამეგობრობების სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში არაერთხელ მიუთითებდა იურიდიული პირების პრობლემატიკაზე, თუმცა სასამართლო პრაქტიკა მოცემულ საკითხში საკმაოდ ფრაგმენტულია.[25]

ნაშრომში განხილული ნორმატიული აქტების მიღმა, რომლებიც ევროკავშირის საკორპორაციო სამართლს განეკუთვნება, ევროკავშირში იურიდიული პირების საქმიანობა ხვდება სამართლის სხვა დარგების რეგულირების ქვეშ. ასე, მნიშვნელოვანი დებულებები დადგენილია ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გაფართოებულ კრებულში, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს ბევრმა საწარმომ, პირველ რიგში მსხვილმა საწარმოებმა. გარდა ამისა, ეროვნული კანონმდებლობის რიგი დებულებები იურიდიული პირების პირდაპირი საგადასახადო დაბეგვრის თაობაზე, ჰარმონიზებულია ევროკავშირის საგადასახადო სამართლის სფეროს დირექტივებით. და ბოლოს, შრომითი ურთიერთობების მოწესრიგების და შრომითი კოლექტივების უფლებების საკითხებზე მიღებული ნორმატიული აქტები, რომლებიც განეკუთვნება ევროკავშირის სოციალური (შრომითი) სამართლის სფეროს.

ევროკავშირის კანონმდებლობა საკორპორაციო სამართლის სფეროში მიმართულია კომერციული იურიდიული პირებისკენ, რომლებიც ხვდებიან ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ იურიდიული პირის ცნება და ნიშნები, ისე როგორც ამ ცნებით მოცული სუბიექტთა წრე, განსხვავებულია კონკრეტული ეროვნული კანონმდებლობების მიხედვით. ჩვენ უნდა განვიხილოთ ინგლისური ტერმინი "companies

25 http://eulaw.ru/treaties/teu § 2 მ. 44 დირ, § 3 მ. 47 დირ.

or firms", რომლის თარგმანი („კომპანიები, ან ფირმები") როგორც წესი გამოიყენება ევროკავშირის ხელშეკრულების თარგმანებში, როგორც ევროკავშირის სამართლის ავტონომიური ცნება, რომელიც არ დაიყვანება საკორპორაციო სამართლის ცალკეულ ეროვნულ სისტემებამდე.

დაფუძნების თავისუფლების მოქმედება ვრცელდება იურიდიულ პირებზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ფლობს განსაზღვრულ ნიშნებს, რომელიც გამომდინარეობს ევროკავშირის ხელშეკრულების 48-ე მუხლის დებულებიდან. ასეთი ნიშნები ოთხია:

- ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისი ორგანიზაცია;
- იურიდიულ პირად აღიარება lex societatis შესაბამისად;
- ევროკავშირის ტერიტორიაზე, სამთაგან თუნდაც ერთი ბმის (კავშირის) ფლობა: დარეგისტრირებული ადგილმდებარეობა, მართვის ცენტრალური ორგანო და ძირითადი ადგილი სამეწარმეო საქმიანობის;
- იურიდიული პირის საქმიანობის მიზანმიმართება მოგების მიღებაზე.

ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა, დაფუძნებულია თუ არა სავაჭრო ამხანაგობა მოცემული წევრი სახელმწიფოს სამოქალაქო ან სავაჭრო სამართლის შესაბამისად (ასეთი დათქმა უკავშირდება ე.წ. კერძო სამართლის დუალიზმით, რომელიც შენარჩუნებულია, კერძოდ, გერმანიაში და საფრანგეთში, როდესაც სამოქალაქო კოდექსთან ერთად მოქმედებს, როგორც lex specialis, სავაჭრო კოდექსი). ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 48-ე მუხლის თანახმად,სავაჭრო ამხანაგობებს მიეკუთვნება ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირები (თუ ისინი არ ხვდებიან საჯარო ხელისუფლების ფუნქციის შესრულების თაობაზე, ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულების №145-ე მუხლის საერთო დათქმის ქვეშ).[26]

ევროკავშირში ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ობიექტად არჩეული იქნა შეზღუდული პასუხისმგებლობის სავაჭ-

26 http://eulaw.ru/treaties/teu

რო ამხანაგობები, განსაკუთრებით სააქციო საზოგადოებები-ამხანაგობების სახე, რომელიც დომინირებს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში. ერთის მხრივ, შემთხვევების აბსოლუტურ უმრავლესობაში სწორედ მათი საქმიანობა ატარებს ტრანსსასაზღვრო ხასიათს; და მეორეს მხრივ, ასეთი სახის ამხანაგობების პასუხისმგებლობა შემოფარგლულია საწესდებო კაპიტალით. აუცილებელია აღინიშნოს, რომ დადგენილი მოთხოვნები გამოიყენება ყველა სავაჭრო ამხანაგობის მიმართ, და არა მარტო მათ მიმართ, რომლებიც ვთქვათ, მონაწილეობენ საგარეო ვაჭრობაში, ჰყავთ უცხოელი ინვესტორები და სხვა.

დირექტივების უმრავლესობა გამოიყენება შეზღუდული პასუხისმგებლობის სავაჭრო ამხანაგობების მიმართ. მათ რიცხვში შედიან სულ სამი სახის ამხანაგობები: სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო კამანდიტური საზოგადოება.

ყველა სამი სახის ამხანაგობა არსებობს გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის და ევროპის სამხრეთის ქვეყნებში, მაშინ როცა, მაგალითად, ფინეთის და შვედეთის სამართლისთვის ცნობილია მხოლოდ ერთი სახეობა სააქციო საზოგადოება. ჰოლანდიაში ცალკე რეგლამენტირდება დახურული სააქციო საზოგადოებების საქმიანობა (აბრევიატურა: B.N.V.).

და ბოლოს, დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის სამართალში, შეზღუდული პასუხისმგებლობის სავაჭრო ამხანაგობების კატეგორია გაერთიანებულია ცნებით companies incorporated with limited liability. ამასთან, სააქციო საზოგადოების ანალოგია Public company limited by shares public company limited by guarantee and having a share capital, და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პირობითი ანალოგია – private company limited by shares ან by guarantee.

საკორპორაციო ფასიანი ქაღალდების სახეები ევროპული ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით

ევროპული კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს აქციების სხვადასხვა ნაირსახეობებს და არეგულირებს სააქციო საზოგადო-

ებების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეჟიმს. ფასიანი ქაღალდების შესახებ ევროპული კანონმდებლობისთვის დამახასიათებელია ზუსტი განსაზღვრება უფლებებისა, რომლებიც გამყარებულია ამათუიმ ემისიური ფასიანი ქაღალდის მიერ.

ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში დასაშვებია ემიტენტების მიერ სახელობითი და წარმომდგენზე აქციების გამოშვება. აქცია უნდა იყოს სახელობითი, თუ მისი გამოშვება ხდება გამოშვების ნომინალური ღირებულების ან გაზრდილი თანხის სრულ გადახდამდე.

საფრანგეთის სავაჭრო კოდექსი ითვალისწინებს, რომ სრულად გამოუსყიდავი აქცია შეიძლება გაიყიდოს სხვა პირზე (ხელმომწერზე), და ამ უკანასკნელს თავის მხრივ ისევ შეუძლია მისი გაყიდვა (ცესიონარზე).

თუ გადახდის მაქსიმალური ვადის ამოწურვიდან (ხუთი წელი) ღირებულების დარჩენილი ნაწილი არ იქნა გადახდილი, მფლობელი (გამოუსწორებელი აქციონერი), წინამორბედი მფლობელი და ხელმომწერი ატარებენ სოლიდარულ პასუხისმგებლობას აქციის გადაუხდელი ღირებულების ოდენობით. სააქციო საზოგადოებას შეუძლია წარადგინოს მათ წინააღმდეგ სარჩელი გაყიდვამდე ან მის შემდეგ ორი წლის ვადაში, ან გაყიდვასთან ერთდროულად, როგორც ამოსაღები თანხის, ასევე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მიზნით. ამ ვადის შემდეგ, დარჩენილი თანხის გადახდა მთლიანად ეკისრება ბოლო ხელმომწერს.

წარმომდგენზე აქციები არის, როგორც წესი, მხოლოდ ისეთი აქციები, რომლებიც კოტირდება ბირჟაზე. ყველა დანარჩენი აქცია – სახელობითია.

ანაზღაურების საშუალების მიხედვით აქციები, არის „ფულადი", რომლის ღირებულება ანაზღაურდება ნაღდი ფულით, და „ნატურალური" – ანაზღაურებული ნივთობრივი შენატანებით და სხვა კანონით დაშვებული საშუალებებით, გარდა ფულადი შენატანისა. ფულადი აქციები უნდა ანაზღაურდეს ხელმოწერისას, მათი ნომინალური ღირებულების არანაკლებ მეოთხედის ოდენობით. ნატურალური აქციები მთლიანად ანაზღაურდება მათი გამოშვებისას. ევროპული კანონმდებლობისთვის ცნობილი, სახელობითი აქციის განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს ე.წ. ვინკულირებული

სახელობითი აქცია (გერმანია). ვინკულირება ნიშნავს, რომ ასეთი აქციის გადაცემისას აუცილებელია საზოგადოების მმართველობის ერთ-ერთი ორგანოს ნებართვა. ასეთი აქციები ძირითადად გვხვდება სადაზღვევო საზოგადოებებში და იშვიათად-ოჯახურ საზოგადოებებში, რათა წინაღმდეგობა გაუწიონ აქციების გასხვისებას მესამე პირებზე.

სახელობითი აქციის სხვა სახეობას წარმოადგენს ორმაგი ხმის უფლების აქცია (საფრანგეთი). ეს არის აქცია, რომელიც მთლიანად გამოსყიდულია მისი გამოშვებიდან არანაკლებ ორი წლის განმავლობაში; ასეთი აქციების გამოშვებისთვის სააქციო საზოგადოების წესდებაში უნდა იყოს სპეციალური დათქმა ან აუცილებელია ამ საკითხზე აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება. ევროპული კანონმდებლობა უშვებს სხვადასხვა სახის პრივილეგირებულ აქციებს. ეს შეიძლება იყოს აქციები როგორც ხმის უფლებით, ისე ხმის უფლების გარეშე (ე.წ. აქციები ხმის უფლების გარეშე პრივილეგირებული დივიდენდით). ეს უკანასკნელი ემსახურება მხოლოდ ინვესტორების მომზადებას. ასეთი პრივილეგირებული ხმის უფლების გარეშე აქციების მფლობელებს, კომპენსაციის მიზნით, აქვთ პრიორიტეტი დივიდენდების, ან უფრო მაღალი დივიდენდების (ე. წ. პრივილეგირებული დივიდენდები) განაწილებისას. საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდების განაწილებისას, პრიორიტეტის მქონე ხმის უფლების გარეშე აქციების წილი, არ უნდა აღემატებოდეს საზოგადოების კაპიტალის 25%.

ხმის უფლების გარეშე პრივილეგირებული დივიდენდის მქონე აქციების მფლობელები სარგებლობენ აქციონერის ყველა უფლებით, გარდა საზოგადოების საერთო კრებაში მონაწილეობის მიღებისა და კენჭისყრაში მონაწილეობისა.

თუმცა, თუ ბოლო სამ ფინანსურ წელს მიკუთვნებული პრივილეგირებული დივიდენდები არ იყო ბოლომდე ანაზღაურებული, შესაბამისი აქციების მფლობელები იძენენ ამ აქციებით წარმოდგენილი კაპიტალის პროპორციულ წილის ისეთივე ხმის უფლებას, როგორსაც სხვა აქციონერები. ხმის უფლება ნარჩუნდება წლის ბოლომდე, რომლის განმავლობაშიც პრივილეგირებული აქციები იქნება მთლიანად ანაზღაურებული. გამგეობის თავმჯდომარეს და

მის წევრებს, გენერალურ დირექტორს, დირექტორატის და საკონტროლო კომისიის წევრებს არ აქვთ უფლება შეიძინონ ხმის უფლების გარეშე პრივილეგირებული დივიდენდების მქონე აქციები.

ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებთან ერთად შეიძლება გამოშვებულ იქნეს ე.წ. სადამფუძნებლო აქციები (ან გადავადებული). ასეთი აქციები წარმოადგენს გადახდის ფორმას საზოგადოების დაფუძნებაში მონაწილე პირებისთვის. ასეთ აქციებზე, საზოგადოების დაფუძნების შემდეგ მათში განსაზღვრული ვადის განმავლობაში, ხდება გარკვეული პროცენტის გადახდა.

გარდა ამისა, ცნობილია ე.წ. კვალიფიციური აქციები (ან სხვაგვარად – გარანტირებული აქციები). ეს აქციები ეკუთვნის საზოგადოების ადმინისტრატორებს – მმართველობითი ორგანოების წევრებს. საფრანგეთის სავაჭრო კოდექსის შესაბამისად „თითოეული ადმინისტრატორი უნდა იყოს საზოგადოების აქციათა მფლობელი, რომელთა რიცხვი განისაზღვრება წესდებით. ეს რიცხვი არ უნდა იყოს აქციათა იმ რაოდენობაზე ნაკლები, რომელიც აძლევს აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე დასწრების უფლებას.“ ასეთი აქციები ემსახურება გარანტიას ხელმძღვანელობის ყველა მოქმედებისთვის, მათ შორის ისეთი მოქმედებების, რომლებიც განხორციელებულია თუნდაც ერთ-ერთი ადმინისტრატორის მიერ. ისინი განუყოფელია და უნდა იყოს სახელობითი, თუ ისინი არაა სახელობითი, მაშინ აქციები უნდა იყოს დეპონირებული ბანკში. თუ თავისი დანიშვნის დღისთვის ადმინისტრატორი არაა აქციების სათანადო რიცხვის მფლობელი ან წყვეტს მათ ფლობას თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში, ის ავტომატურად ითვლება თანამდებობიდან გადაყენებულად, თუ სამი თვის განმავლობაში არ გახდება აქციების მოთხოვნილი რიცხვის მესაკუთრე.

ევროპული სახელმწიფოების სააქციო კანონმდებლობის შესაბამისად, სააქციო საზოგადოებები უფლებამოსილნი არიან გამოუშვან ობლიგაციები. საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, ობლიგაციები განისაზღვრება „როგორც თავისუფალი მიმოქცევის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ერთსა და იმავე გამოშვებაში ანიჭებენ მოთხოვნის თანაბარ უფლებებს ერთსა და იმავე ნომინალურ ღირებულებაზე.“ როგორც წესი, ობლიგაციების გამოშვება

ნებადართულია, იმ სააქციო საზოგადოებებისთვის, რომელთა კაპიტალი ანაზღაურებულია მთლიანად, არსებობენ არანაკლებ ორი წლის განმავლობაში და შედგენილი აქვთ, აქციონერების მიერ, სათანადო წესით შეთანხმებული ორი ბალანსი. ეს მოთხოვნები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციების გამოშვება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ, ან თავად საზოგადოების მიერ, ან სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების სასესხო ან სახელმწიფო ორგანოების გირაოთი.

საზღვარგარეთის სააქციო კანონმდებლობისთვის ცნობილია ობლიგაციების სხვადასხვა სახეობები: სახელობითი და წარმომდგენი; ობლიგაციები, რომელთა კონვერტირება შესაძლებელია აქციებად, ასევე გადაცვლადია აქციებზე და სხვა.

1983 წლის 3 იანვრის კანონის თანახმად, დაწესდა ფასიანი ქაღალდების ახალი კატეგორიები, რომლებიც წარმოადგენდნენ რაღაც შუალედურს აქციებსა და ობლიგაციებს შორის: საინვესტიციო სერტიფიკატები და ხმის უფლების სერტიფიკატები. საინვესტიციო სერტიფიკატები არის ფასიანი ქაღალდები, რომელიც ყიდვა-გაყიდვის საგანი შეიძლება იყოს. ამასთან, მათი ნომინალური ღირებულება საზოგადოების მიერ გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულების ტოლი უნდა იყოს. ისინი შეიძლება იყოს სახელობითი ან წარმომდგენზე. ისინი გამოშვებულ უნდა იქნეს საზოგადოების კაპიტალის ¼-ის ფარგლებში.

ხმის უფლების სერტიფიკატები გამოშვებულ უნდა იქნეს იმდენივე, რამდენიც საინვესტიციო სერტიფიკატები, ამასთან, ხმის უფლების სერტიფიკატები შეიძლება იყოს მხოლოდ სახელობითი. ხმის უფლების სერტიფიკატი განუყოფელია, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ხდება მათი ჩუქება დაღმავალი ხაზის ნათესავებზე, ან ხდება მეუღლეთა შორის საერთო ქონებრივი ურთიერთობების შეწყვეტა.

ევროპულ სააქციო კანონმდებლობაში მოქმედებს პრინციპი „ერთი აქცია-ერთი ხმა“: თითოეული აქცია (გარდა ხმის უფლების გარეშე პრივილეგირებული აქციებისა), ანიჭებს თანაბარ უფლებებს აქციონერთა საერთო კრებაზე კენჭისყრისას. ამასთან, ბოლო პერიოდში შეინიშნება ტენდენცია, როდესაც სააქციო საზოგადო-

ებები გადავიდნენ ცალკეული აქციონერების ხმის უფლების ფარგლების შეზღუდვაზე. ამ მიზნით, საზოგადოების წესდებაში იქმნება დებულებები, რომელთა თანახმადაც ხმის უფლება იზღუდება მიუხედავად აქციების რაოდენობისა – აქციების 5 ან 10%-ისა. ერთის მხრივ, ხმის უფლების ასეთი შეზღუდვა ემსახურება საზოგადოების დაცვას უცხო გავლენისგან, მაგრამ მეორეს მხრივ, წარმოადგენს აქციონერთა ერთ-ერთი არსებითი უფლების შეზღუდვას.[27]

საკორპორაციო ურთიერთობები როგორც საკორპორაციო სამართლის რეგულირების საგანი

ბოლო დროს, საკორპორაციო სამართალთან, საკორპორაციო მმართველობასთან და საკორპორაციო კანონმდებლობასთან დაკავშირებული საკითხები, მსოფლიოში დიდ ინტერესს იძენს. იურიდიულ საზოგადოებაში შეიქმნა იურისტ-კორპორატივისტების (ე.წ. „კორპორატივისტების“) – საკორპორაციო სამართლის სპეციალისტების, მთელი ოჯახი. საკორპორაციო სამართლის და საკორპორაციო მართვის კურსები უფრო და უფრო მეტ პოპულარობას იძენენ.

ამასთან ერთად, საკითხი, თუ რას წარმოადგენს საკორპორაციო სამართალი და საკორპორაციო კანონმდებლობა, ღიად რჩება. აქვს კი რაიმე დასაბუთება ამ ცნებების არსებობას სამართლებრივ სინამდვილეში?

კორპორაციის ცნება

რა იგულისხმება კორპორაციის ქვეშ? ბევრ ლექსიკონში კორპორაცია (ძველ ლათინურში corporatio-გაერთიანება) განისაზღვრება როგორც: „1. გაერთიანება, კავშირი, საზოგადოება; 2. რაიმე მიზნის მისაღწევად გაერთიანებული პირთა ერთობლიობა; წარმოადგენს იურიდიულ პირს.“

კომერციალისტიკაში XVIII-XIX საუკუნეებში „კორპორაციის“ ინსტიტუტი განიხილებოდა, როგორც იურიდიული პირის სინონიმი. ამ უკანასკნელის გარკვეული დამახასიათებელი ნიშნები

27 http://lawtoday.ru/razdel/biblo. გვ. 37

წარმოიშვა ძველი რომაელი იურისტების და რომაული universitas (corpus-კორპორაცია) კონსტრუქციის წყალობით.[28]

Universitas ქვეშ მოიაზრებოდა სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი, რომელიც არსებობდა და მოქმედებდა მასში შემავალი ფიზიკური პირებისგან დამოუკიდებლად. ფიზიკური პირები გავლენას ახდენდნენ მოცემული სუბიექტის ნებაზე მხოლოდ მის მმართველ ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობის გზით.

Universitas ენიჭებოდა იდეალური ან იურიდიული პიროვნების სტატუსი, რომელიც კორპორაციაში შემავალი ფიზიკური პირებისგან დამოუკიდებლად, ითვლებოდა უფლებებისა და ვალდებულებების სუბიექტად.[29]

პოსტ რომაულ ეპოქაში ყველა თეორია, რომელიც განსაზღვრავდა „იურიდიული პირის" (კორპორაცია) კონსტრუქციის სამართლებრივ ბუნებას, დაიყვანებოდა მხოლოდ ფიქციის თეორიამდე, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კორპორაცია (იურიდიული პირი) იყო შესაბამისი ხელისუფლების მიერ შექმნილი ფიქტიური სამართლებრივი პირი (persona ficta).[30]

ფიქციის თეორია საკმაოდ დიდხანს დომინირებდა მსოფლიოში და გამოიყენებოდა არა მხოლოდ ევროპელი, არამედ ამერიკელი მეცნიერების და პრაქტიკოსების მიერ. აშშ-ს უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე „The Trustees of Dartmouth College v. Woodward", რომელიც XIX საუკუნეს განეკუთვნება, გაკეთდა კორპორაციის შემდეგი განსაზღვრება: „კორპორაცია – ეს არის ხელოვნური წარმონაქმნი, უხილავი, არამატერიალური და მხოლოდ კანონის შეხედულებით არსებული". აშშ-ში კორპორაციის თანამედროვე განსაზღვრება, ასევე, გამომდინარეობს მისი „ფიქტიური" ხასიათიდან: კორპორაციას უწოდებენ ხელოვნურ წარმონაქმნს, იურიდიულ პიროვნებას, რომელიც შექმნილია შტატის ან

28 Функ Я.И. и др. *Акционерное общество: История и теория: (Диалектика свободы).* Минск, 1999. გვ. 157.

29 Функ Я.И. и др. *Акционерное общество: История и теория: (Диалектика свободы).* Минск, 1999. გვ. 158-159.

30 Функ Я.И. и др. *Акционерное общество: История и теория: (Диалектика свободы).* Минск, 1999. გვ. 200-201

აშშ-ს ფედერალური კანონის შესაბამისად და წარმოადგენს ბევრი ინდივიდის ჩვეულებრივ გაერთიანებას.

ასეთი ფიქტიურად ხელოვნური, მაგრამ სამართლებრივად აღიარებული წარმონაქმნის შექმნა, რომელთაც აქვთ, ნატურალური (პირდაპირი თარგმანია, ალბათ უფრო – ფიზიკური) პირების გარკვეული ატრიბუტები, წარმოადგენს ეკონომიკური თვალთახედვით, იურისტების ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას მეწარმეობაში.[31]

ამრიგად, კორპორაცია ისტორიულად წარმოიშვა და შემდგომი განვითარება ჰპოვა როგორც იურიდიული პირის სინონიმმა. ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე პერსონალური გაერთიანებები (ამხანაგობები), არ პასუხობდნენ ეკონომიკური ბრუნვის მოთხოვნებს. გართულებულმა სამეურნეო კავშირებმა მოითხოვა ისეთი გაერთიანების შექმნა, რომელიც უნდა იყოს გამიჯნული როგორც მონაწილეების შემადგენლობისგან, ისე მათი ნებისგან. სხვა სიტყვებით, „პირთა გაერთიანების ნაცვლად იქმნება ახალი პირი, შექმნილი პირების გაერთიანებით“[32] – იურიდიული (მორალური) პირი, ან კორპორაცია. ამიტომ ტერმინის „კორპორაცია“ აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ის არის ახალი, დამოუკიდებელი, კაპიტალის გაერთიანებების შედეგად შექმნილი სუბიექტი.

აშშ-ში კორპორაციის ცნება მოიცავს იურიდიული პირთა ყველაზე ფართო წრეს. დასახული მიზნის მიხედვით კორპორაცია შეიძლება იყოს საჯარო (public), ნახევრად საჯარო (Quasi-public), სამეწარმეო (private, business of profit-making) და არასამეწარმეო (non-profit). ამერიკული სამეწარმეო კორპორაციის თვისებას წარმოადგენს: პირველ რიგში, კორპორაციის მონაწილეთა შეზღუდული პასუხისმგებლობა მის სესხებზე; მეორე რიგში, კორპორაციის მონაწილეთა მიერ აქციების თავისუფალი გასხვისება (გამონაკლისს წარმოადგენს დახურული კორპორაციები); მესამე, ცენტრალიზებული მმართველობის არსებობა, როდესაც მმართველობით ფუნქციებს ახორციელებენ კორპორაციის მონაწილე-

31 Clark R. *Corporate law.* Toronto, 1986.გვ. 15
32 Функ Я. И. и др. Указ. соч. გვ. 144

თაგან გამიჯნული ორგანოები; მეოთხე, კორპორაციის „მუდმივი არსებობა", რაც გულისხმობს კორპორაციის მონაწილეთაგან მის დამოუკიდებლობას.[33]

ანალოგიური დოქტრინა კომპანიის (კორპორაციის) პირადი გამოყოფის (separate personality) – იზოლაციის, არსებობს ინგლისში. ყველაზე მნიშვნელოვანი პრეცედენტი ამ მიმართულებით იყო 1897 წელს გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „Salomonv. A. Salomonand Co. Ltd".[34] გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ კორპორაცია განიხილება როგორც კორპორაციის (კომპანიის) წევრებისგან (corporate body) დამოუკიდებელი, თავის იურიდიული პირადობის მქონე, იკვეთება კომპანიის შემდეგი თვისებები: პირველი, კომპანიის ვალდებულებებზე მონაწილეთა შეზღუდული პასუხისმგებლობა; მეორე, ცენტრალიზებული მმართველობა განხორციელებული იმ პირების მიერ, რომლებიც განსხვავდებიან კომპანიის წევრებისგან; მესამე, კომპანიის საქმიანობის პერმანენტულობა, მისი წევრების გასვლის მიუხედავად.

გერმანიაში კორპორაციის პროტოტიპს წარმოადგენს verein (კავშირი, საზოგადოება, გაერთიანება, კორპორაცია). ამასთან ერთად, გერმანულ ლიტერატურაში პრაქტიკულად ყველა ავტორი აღნიშნავს უირიდიული პირის ამ ფორმის დანაწევრებულ რეგულირებაზე, ერთიანი ტიპოლოგიის არარსებობაზე. ავტორთა ერთი ჯგუფი მკვეთრად განაცალკევებს ისეთ ცნებებს, როგორიცაა კორპორაცია და კაპიტალთა გაერთიანება, სხვები პირიქით, ამ ცნებებს იდენტურად მიიჩნევენ.[35] კორპორაციის არსებობის აზრი მდგომარეობს სხვადასხვა კაპიტალის გაერთიანებაში და აქედანაა სახელწოდება kapitalgesellschaft – ტერმინი, რომელიც არ საჭიროებს თარგმანს. პერსონალური გაერთიანებებისგან განსხვავებით, აქ პირადი მონაწილეობა არაა სავალდებულო; მონაწილეობა გადაიცემა მემკვიდრეობით; სამართლებრივი სტატუსი მიიღება უფრო რთულად, ვიდრე პირთა გაერთიანებაში; როგორც წესი,

33 Сыродоева О. Н. *Акционерное право США*. М., 1996. გვ. 21

34 Петровичева Ю. В. *Акционерное законодательство Англии: Сравнительно-правовой анализ*., 2002. გვ. 4

35 Василевская Л. Ю. *Учение о вещных сделках по германскому праву*. М., 2004. გვ. 107

გაერთიანების წევრები პასუხს არ აგებენ ვალებზე; ნების გამოვლენა ხორციელდება ხმათა უმრავლესობით, საქმეების წარმართვა კი ჩვეულებრივ მიმდინარეობს გაერთიანების სახელით.[36]

ამგვარად, კორპორაცია – „კაპიტალის საზოგადოებაა," კაპიტალთა გაერთიანება, რომელიც იქმნება საერთო მიზნების მისაღწევად. მიზნები შეიძლება იყოს სხვადასხვა ხასიათის და გარკვეულწილად განსაზღვრავს კორპორაციის სახეობას.

სამართლებრივი ფორმა სამეწარმეო მიზნებისთვის შექმნილი „კაპიტალის (ან კაპიტალური) საზოგადოების," არის სააქციო საზოგადოება (კომპანია), რომელიც ცნობილია კონტინენტური სამართლისთვის, მათ შორის რუსეთის სამართლისთვის, რომლის ანალოგს წარმოადგენს სამეწარმეო კორპორაცია აშშ-ში. კაპიტალის საზოგადოებას განეკუთვნება ევროპული კანონმდებლობისთვის ცნობილი, სააქციო საზოგადოების ისეთი ნაირსახეობები, როგორიცაა კომანდიტური სააქციო საზოგადოება, ან კომანდიტური ამხანაგობა აქციებზე, რომელიც კომანდიტური ამხანაგობის და სააქციო საზოგადოების ერთგვარ შერწყმას წარმოადგენს. გარდა ამისა, კაპიტალის საზოგადოებებად განიხილება სააქციო საზოგადოებების სხვადასხვა მოდიფიკაციები (ფინანსური ჰოლდინგები, კონცერნები, ზოგიერთ შემთხვევაში – საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები). რაც შეეხება ისეთ სამეწარმეო გაერთიანებას, როგორიცაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მისი სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, ისიც შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სააქციო საზოგადოება.

ზოგიერთი კანონმდებლობა კაპიტალის გაერთიანებების სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებსაც გამოყოფს. გერმანიაში ფართოდ გავრცელებული და სასამართლო პრაქტიკით ნებადართულია, კომანდიტური ამხანაგობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მონაწილეობით.

ამრიგად, კორპორაცია განიხილება როგორც კრებითი ცნება, რომლის ქვეშ მოიაზრება კაპიტალის სამეწარმეო გაერთიანებები, რომელთაც აქვთ სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი

36 Жалинский А., Рерихт А. *Введение в немецкое право.* М., 2001. გვ. 508

ფორმები. ვიწრო გაგებით, კორპორაციის ქვეშ მოიაზრება კაპიტალის სამეწარმეო გაერთიანების ისეთი ფორმები, როგორიცაა სააქციო საზოგადოება და მისი მოდიფიკაციები.

მეწარმეობა, როგორც საკორპორაციო სამართლის ძირითადი ობიექტი

კორპორაციათა უმრავლესობა იქმნება მოგების მისაღებად, ან სამეწარმეო საქმიანობისთვის.

განვიხილოთ საკორპორაციო სამართლის ძირითადი ობიექტის -სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი ნიშნები.

1. მეწარმეობა – დამოუკიდებელი საინიციატივო საქმიანობა. განსაზღვრავდა სიტყვა მეწარმეობას როგორც ჩანაფიქრს, რაღაც ახალი საქმის შესრულების გადაწყვეტილებას, მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებას. ამ გაგებით, მეწარმეობა ენათესავება ინიციატივიანობას -დამოუკიდებელი აქტიური მოქმედებების უნარს.
2. წარმოების ორგანიზებაში დამოუკიდებლობა ივსება კომერციული თავისუფლებით. კორპორაცია განსაზღვრავს თავისი პროდუქციის რეალიზაციის გზებს და საშუალებებს, ირჩევს კონტრაგენტებს, რომლებთანაც ექნება საქმე. ეკონომიკური კავშირები მყარდება ხელშეკრულებებით. კომერციული თავისუფლების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს თავისუფალი ფასსწარმოქმნა.
3. სამეწარმეო საქმიანობა – საქმიანობა, მიმართული მოგების მისაღებად. მოგება წარმოადგენს სფეციფიური ადამიანური რესურსის – სამეწარმეო უნარების პროდუქტს. შესაბამისად, მოგება, რომელსაც იღებს მეწარმე, არსებითად შეიძლება განვიხილოთ როგორც ანაზღაურება მმართველობითი შრომისთვის. ეს შრომა არაა ადვილი და მოიცავს: პირველ რიგში, ინიციატივის გამოვლენას საქონლის და მომსახურების წარმოებისთვის, ნივთობრივი და ადამიანური ფაქტორების გაერთიანებაზე, მეორე რიგში, ფირმის მმართვისთვის, შრომის ორგანიზებისთვის არაორდინალური გადაწყვეტილებების მიღება, და მესამე, ინოვაციების დანერგვა პროდუქციის ახალი სახეობის ან საწარმოო პროცესის რადიკალური შეცვლის

გზით. ყველაფერი ეს შესაძლებლობას გვაძლევს ვისაუბროთ მეწარმეობაზე, როგორც მოგების ამოღებაზე მიმართულ პროფესიულ საქმიანობაზე.

4. ბიზნესის მიზანთან (მოგების მიღება) მჭიდრო ერთობაშია პირადი ეკონომიკური დაინტერესების პრინციპი. პირადი გამორჩენა წარმოადგენს მეწარმეობის წამყვან ფაქტორს. თანამედროვე პირობებში მენეჯერთა დაინტერესება ივსება ახალი მომენტებით. მათი პირადი ინტერესი სულ უფრო ერწყმის ფირმის, ან კომპანიის კოლექტიურ ინტერესებს.
5. ფლობს დამოუკიდებლობას, ახდენს რა წარმოების ორგანიზებას თავისი ინტერესების მიხედვით, მეწარმე პასუხისმგებლობას იღებს თავის საქმიანობაზე, ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით განსაზღვრულ ფარგლებში. მეწარმის ქონებრივი პასუხისმგებლობა – მეწარმეზე დაკისრებული ვალდებულება გადაიტანოს არასასიამოვნო ქონებრივი შედეგები, განპირობებულია მისი მხრიდან დაშვებული სამართალდარღვევებით. მისი ოდენობა დამოკიდებულია საწარმოს ორგანიზაციულ ფორმაზე. არსებობს პირდაპირი კავშირი, წარმოების დანახარჯებსა და შედეგებს შორის. მათი ოპტიმალური ურთიერთმიმართება შესაძლებლობას იძლევა შემცირდეს პასუხისმგებლობის რისკი.
6. მეწარმეობა წარმოუდგენელია ნოვატორობის გარეშე, შემოქმედებითი ძიება, რომელსაც სტიმულს აძლევს კონკურენტული ბრძოლა. მკაცრი ბაზრის პირობებში (სწორედ ასე შეიძლება დავახასიათოთ საბაზრო ურთიერთობები სამრეწველო განვითარებულ ქვეყნებში) სულ უფრო რთულია მოგება გაიზარდოს მხოლოდ ფასების ხარჯზე. სასაქონლო ბაზარზე თავის შენარჩუნება შეუძლია მხოლოდ მას, ვინც უზრუნველყოფს მაღალ ხარისხს და მუდმივად ანახლებს პროდუქციას. ამისთვის ყველას უწევს ფიქრი ახალ მიდგომებზე, ახალ ტექნოლოგიებზე, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფაზე.
7. სამეწარმეო ეკონომიკური ურთიერთობების დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს სამეურნეო რისკი. რისკი მუდმივად თან სდევს ბიზნესს და აყალიბებს მეწარმის აზროვნების და ქცევის, ფსოქოლოგიის განსაკუთრებულ საშუალებებს. კომერციული რისკი – მეწარმის საქმიანობის შესაძლო არაკეთილსაიმედო

ქონებრივი შედეგები, რომელიც არაა განპირობებული მისი მხრიდან რაიმე სახის გადაცდომით. მეწარმე პასუხს აგებს რისკზე თავისი ქონებით. მაგრამ არა მხოლოდ. შესაძლებელია დამატებითი დანაკარგებიც, რომლებიც გავლენას ახდენენ მის სტატუსზე კაპიტალის და შრომის ბაზარზე, როგორიცაა: კონკურენტუნარიანობა, პროფესიული რეპუტაცია, ფსიქოლოგიური შეფასება და სხვა.

აღნიშნული ნიშნების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გავაკეთოთ მეწარმეობის განსაზღვრება.

სამეწარმეო საქმიანობა – სამეურნეო სუბიექტის საინიციატივო საქმიანობა, მიმართული მოგების მიღებისკენ და დაფუძნებულია მათ დამოუკიდებლობაზე, პასუხისმგებლიანობაზე, ნოვატორობაზე და რისკზე.

მეწარმეობის სახეები. ეკონომიკის სფეროების (სექტორების) მიხედვით გამოყოფენ მეწარმეობის ოთხ ძირითად მიმართულებას:

1. საწარმოო (მრეწველობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა);
2. სავაჭრო (საბითუმო და საცალო ვაჭრობა);
3. ფინანსური, მათ შორის სადაზღვევო;
4. საკონსულტაციო (კონსალტინგი).

ზოგიერთი მეცნიერი მეწარმეობის ბოლო სამ სახეობას აერთიანებს ერთ ჯგუფში საერთო სახელწოდებით „მეწარმეობა მომსახურების სფეროში". ჯამში, მათი აზრით, მეწარმეობა იყოფა ორ სფეროდ: მომსახურების სფერო და წარმოების სფერო.

ბიზნესის აღნიშნული სახეობების ურთიერთმიმართება არ განისაზღვრება ეკონომიკაში უპირატესობის ბრძოლით. ისინი ავსებენ ერთმანეთს და დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე როგორც ერთიანი მთლიანის შემადგენელი ნაწილები. ვინაიდან მწარმოებლებისთვის აუცილებელია მომსახურების ფორმები, რათა იყიდონ და გაყიდონ თავიანთი საქონელი და სერვისის ფირმები, თავის მხრივ საჭიროებენ აუცილებელი საქონლის წარმოებას.

მომსახურების სფეროს აქვს ზრდის ტენდენცია. დასავლურ ქვეყნებში მისი მოცულობა შეადგენს დაახლოებით 70%-ს. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება „სხვა მომსახურების" სფერო (სი-

ლამაზის სალონები, სარემონტო სახელოსნოები, კერძო სკოლები, ჯანდაცვის დაწესებულებები, სასტუმროები, დასვენების პარკები, თეატრები). რატომ ხდება ეს?

პირველი მიზეზი: წარმოების სრულყოფა შესაძლებლობას იძლევა საქონლის წარმოება მოხდეს მომუშავეთა უფრო მცირე რიცხვის გამოყენებით.

მეორე მიზეზი: კომპიუტერულმა რევოლუციამ შესაძლებელი გახადა მომუშავეების შეცვალა რობოტებით, რითაც გათავისუფლდა მომუშავეთა მნიშვნელოვანი რიცხვი ისეთი ოპერაციებისაგან, რომელიც აუცილებელია წარმოების პროცესში, უწინარესად დამთვლელი, შემდგომ კი თვითმწარმოებელი ოპერაციებისგან.

მესამე მიზეზი: გაძლიერებულმა შრომის სპეციალიზაციამ აუცილებელი გახადა, წარმოების პროცესში ადრე განხორციელებული გარკვეული ოპერაციების (რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა) გადატანა მომსახურების ფირმებზე. სპეციალიზაციამ მსოფლიო მასშტაბით კი ბიძგი მისცა წარმოების ცალკეული მონაკვეთების, მაგალითად, ნაკეთობების აწყობა, სხვა ქვეყნებში გადატანას, სადაც არსებობს იაფი მუშა ხელი.[37]

სამეწარმეო ფორმები. ყველაზე გავრცელებული სამეწარმეო საქმიანობის სამი ფორმა: ინდივიდულური კერძო ფირმა, ამხანაგობა, სამეურნეო საზოგადოება.

ინდივიდუალურ ფირმებს აქვს ბევრი უპირატესობა:

- ისინი შეიძლება ძალიან მარტივად, უბრალოდ, სწრაფად დაფუძნდეს;
- ინდივიდუალური ფირმის მფლობელებს აქვთ თავისუფლების მაღალი ხარისხი;
- ინდივიდუალური ფირმის მესაკუთრეებს არ უჩნდებათ კომერციული საიდუმლოს შენახვის პრობლემა;
- საგადასახადო შეღავათები;
- დაწყებული საქმე აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება ადვილად შეწყდეს.

37 http://www.kukiani.ru/index.php?page=content&subpage=s&r=10&p=31

თუმცა, ინდივიდუალურ მეწარმეობას აქვს თავის ნაკლი, რომლებიც, როგორც ჩანს, სულაც არაა უბრალო. მათ განეკუთვნება:

- შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები;
- მსხვილი მოგების მიღების შეზღუდული შესაძლებლობები;
- ინდივიდუალური მესაკუთრეების შეზღუდული სამეწარმეო უნარები;
- ინდივიდუალური ფირმის მფლობელის შეუზღუდავი პასუხისმგებლობა;
- დროში არსებობის შეზღუდულობა.

ამხანაგობა – კორპორაცია, რომელიც ეკუთვნის მესაკუთრეთა არცთუ დიდ რიცხვს და იმართება მათ მიერ ურთიერთთანხმობის საფუძველზე.

ამხანაგობას აქვს განსაზღვრული უპირატესობები, კერძოდ:

- შექმნის შედარებითი უბრალოება;
- კაპიტალის გაერთიანება შესაძლებელს ხდის დაწყებულ იქნეს უფრო პერსპექტიული საქმე, რაც ზრდის ამხანაგობის წარმატების შანსებს;
- უპირატესობა საგადასახადო დაბეგვრაში, რომელიც მსგავსია ინდივიდუალური მეწარმეობის საგადასახადო დაბეგვრის უპირატესობების;
- შესაძლებლობა მაღალკვალიფიციური მუშაკებისთვის გახდნენ ფირმის პარტნიორები;
- სასამართლო დავის შემთხვევაში იურიდიული პირის უფლება;
- ფინანსირების და დაკრედიტების წყაროების გაფართოების შესაძლებლობა;
- არსებობის უფრო ხანგრძლივი ვადა.
- ამხანაგობების ნაკლი, სამწუხაროდ, ბევრად სერიოზულია:
- მთავარი პარტნიორების შეუზღუდავი პასუხისმგებლობა;
- ფსიქოლოგიური დაძაბულობა, რომელსაც განიცდიან პარტნიორები;
- ამხანაგობის მონაწილეთა შორის კონფლიქტები;
- პარტნიორის სტატუსის თაობაზე დაქირავებულ მუშაკებს შორის კონკურენციის პოტენციური საშიშროება;

– მართვაში პასუხისმგებლობის არასაკმარისად ზუსტი გამიჯვნა.[38]

სამეურნეო საზოგადოება – მონაწილეთა მნიშვნელოვანი რაოდენობის კორპორაცია, რომელთაგან თითოეულმა მათგანმა შეიტანა რა კაპიტალის განსაზღვრული წილი, კორპორაციის ვალებზე პასუხს აგებს მხოლოდ ამ წილის ფარგლებში.

სამეურნეო საზოგადოებების უპირატესობა ეჭვგარეშეა და წარმოადგენს შურის საგანს იმ ადამიანთა მხრიდან, რომლებიც დაკავებულნი არიან სამეწარმეო საქმიანობის სხვა ფორმებში:

– მნიშვნელოვანი ფინანსური შესაძლებლობები;
– შეზღუდული პასუხისმგებლობა;
– ფინანსური ლიკვიდურობის უპირატესობა;
– სამეურნეო საზოგადოების არსებობის შეუზღუადაობა.
– სამეურნეო საზოგადოებას აქვს თავისი ნაკლოვანებებიც:
– სამეურნეო საზოგადოების დაფუძნების გართულებული წესი და მაღალი მატერიალური ხარჯები მისი ორგანიზებისას;
– სახელმწოგო ორგანოების მხრიდან განსაკუთრებული ზედამხედველობა;
– მაღალი გადასახადები ამხანაგობებთან შედარებით;
– საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებული სირთულეები (მატერიალური, ქონებრივი, საკადრო, ფსიქოლოგიური და სხვა).

ბიზნესი – კეთილშობილი საქმეა. მეწარმეობა დაკავშირებულია მთელ რიგ უარყოფით ფაქტორებთან – როგორც სახელმწიფო ორგანოებთან, კონტრაგენტებთან ურთიერთობის სფეროში, ისე შიდა საწარმოო სფეროში. ბევრი მათგანის აღკვეთა თვით მეწარმეებს შეუძლიათ საკორპორაციო ნორმების გამოყენებით. მაგრამ ბევრია დამოკიდებული ასევე სახელმწიფო სტრუქტურებზე. მნიშვნელოვანია ბიზნესის სულისკვეთების კულტივირება, მეწარმის საზოგადოებრივი სტატუსის ამაღლება. რასაკვირველია, არ შეიძლება არ შევამჩნიოთ ამ სფეროს ხარვეზები, მაგრამ აქცენტი მაინც

38 http://dic.academic.ru/dic.nsf/fin_enc

აუცილებელია გაკეთდეს იმაზე, რომ მეწარმეობა – კეთილშობილი, სასარგებლო სოციალური მოვლენაა.

რაში გამოიკვეთება მისი კეთილშობილება?

პირველ რიგში, მეწარმეობა საბოლოო ჯამში ხორციელდება ადამიანებისთვის. მეორე, ახორციელებენ რა სხვადასხვა სოციალური მომსახურებებს, ბიზნესი ხელს უწყობს მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობას. მესამე, მეწარმეობა ქმნის დასაქმების ახალ საშუალებებს და წყვეტს მოსახლეობის დასაქმების პრობლემას. მეოთხე, მეწარმეობა – მოსახლეობის გადახდისუნარიანობის ამაღლების წყარო და საფუძველია.

მეხუთე, ძირითადად მეწარმეები ინახავენ სახელმწიფოს, უხდიან რა მას გადასახადების ლომის წილს და ამით, აძლევენ მოქალაქეების წინაშე ვალდებულებების, კერძოდ კი, სოციალური დაცვის განხორციელების შესაძლებლობას.

მეექვსე, მხოლოდ კორპორაციის მოგების ხარჯზე, რომელიც გადასახადების სახით მიემართება საზოგადოებრივი საჭიროებებისთვის, შეიძლება განვითარდეს მეცნიერება, განათლება, კულტურა, ჯანდაცვა.

ხარისხიანი საქონელის წარმოება შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის გამოყენებით, რაც თავის მხრივ ითხოვს არა მარტო საწარმოო სფეროს მუშაკთა ინტელექტუალური დონის ამაღლებას, არამედ მთელი მოსახლეობის, რომლებიც იყენებენ რთულ ნაწარმს, მაგალითად, პერსონალური კომპუტერები, კომპუტერული სათამაშოები, ფიჭური ტელეფონები, პეიჯერები და ა.შ.

ერთი სიტყვით, სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც დღეს ხორციელდება კორპორაციების მიერ, – ძალიან კეთილშობილი საქმიანობაა.

საკორპორაციო ნორმების ცნება და მათი სახეები

საკორპორაციო ნორმები – ნორმათა ერთ ერთი ნაირსახეობაა, რომლებიც მუშავდება კორპორაციის მართვის ორგანოების მიერ

და ეხება კორპორაციის წევრებს (დამფუძნებლებს, აქციონერებს, უსებს, მოსამსახურეებს და ა.შ.)

განასხვავებენ საკორპორაციო ნორმების ორ სახეობას:

ა) არასოციალური საკორპორაციო ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ კორპორაციის წევრების ურთიერთობებს, მათ საქმიანობაში გამოყენებულ, რაიმე მატერიალურ ობიექტებთან მიმართებაში. მათ შორის შეიძლება გამოიყოს:

– ტექნიკური ნორმები (მაგალითად, კომპუტერთან მუშაობის წესები, მანქანის, "X" აგრეგატის ექსპლუატაციის წესები და სხვა);
– სანიტარულ-ჰიგიენური (მაგ. სამუშაოს შესრულების შემდეგ სათავსოს დასუფთავების წესები);
– ფიზიოლოგიური (მაგ. ზამთრის და საზაფხულო ფორმის ტანსაცმლის ტარების წესის შესახებ ინსტრუქცია)
– ბიოლოგიური (მაგ. გრიპის მასობრივი ეპიდემიის პერიოდში რესპირატორის გამოყენების წესის თაობაზე) და სხვა.

ბ) სოციალური კორპორატიული ნორმები – ქცევის წესები, რომლებიც გამოცემულია საწარმოში და არეგულირებს ადამიანებს შორის ურთიერთობებს (თანამშრომლებს შორის, კორპორაციის მოსამსახურეებსა და კრედიტორებს, კლიენტებს შორის).

სოციალური საკორპორაციო ნორმები, ისევე როგორც არასოციალური, შეიძლება იყოს მრავალმხრივი:

– საკორპორაციო ადათი (მაგ. ყოველი მეათასე მყიდველის დასაჩუქრების ადათი);
– საკორპორაციო ტრადიცია (მაგ. დაბადების დღეების საჯარო მილოცვა);
– ეთიკური ნორმები (მაგ. ფირმის ყოველ კლიენტს შეხვდე მისალმებით და ფირმის შესახებ მინიმალური ინფორმაციით);
– ესთეტიკური ნორმები (მაგ. ფირმის სათავსოს ინტერიერის ყვავილებით მორთვა, თანამშრომლების მიერ სიმპატიური ფორმის ტანსაცმლის ტარება და ა.შ.);
– საქმიანი ჩვეულებები (მაგ. მოსამსახურეებისთვის დღის წერილობითი დავალებების გაცემა, „თათბირების", „გარჩევების", „მოსმენების" ჩატარება და ა.შ.);

– სამართლებრივი ნორმები (მაგ. ყოველ ექვს თვეში დივიდენდების გადახდა).

საკორპორაციო სამართლებრივი ნორმები აწესრიგებენ საწარმოში ჩამოყალიბებულ ყველაზე მნიშვნელოვან ურთიერთობებს, ამიტომ ისინი სხვა სოციალურ საკორპორაციო ნორმებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. სწორედ მათ შესახებ წარიმართება შემდგომში საუბარი. გამარტივებისთვის ვუწოდოთ მათ უბრალოდ „საკორპორაციო ნორმები“[39].

საკორპორაციო ნორმების საერთო ნიშნები

ვინაიდან, საკორპორაციო ნორმები სოციალური ნორმების ნაირსახეობას წარმოადგენს, ამდენად მათთვის დამახასიათებელია ისეთი ნიშნები, რომლებიც საერთოა ყველა სოციალური ნორმებისთვის გამონაკლისის გარეშე.

1. საკორპორაციო ნორმები აწესრიგებენ არა ცალკეულ შემთხვევებს, ან კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, არამედ ტიპიურ სიტუაციებს, კორპორაციის შიგნით არსებულ ცალკეულ ურთიერთობათა სახეებს და აქედან გამომდინარე შეიძლება საუბარი, მათი დახმარებით სამოდელო საკორპორაციო ურთიერთობების შექმნაზე.
2. საკორპორაციო ნორმები გათვლილია მრავალჯერად გამეორებაზე.
3. საკორპორაციო ნორმებს აქვთ საერთო ხასიათი, ანუ გათვლილია არა ერთ ან რამდენიმე ადამიანზე, არამედ სახელობითი მითითების გარეშე ერთდროულად ბევრ პირზე.

არსებობს რიგი ნიშნები, რომლებიც განასხვავებს საკორპორაციო ნორმებს სხვა სოციალური ნორმებისგან, ასევე მათთან, თავისი არსით ახლოს მდგომი ცენტრალიზებული სამართლებრივი ნორმებისგან.

უფრო დეტალურად გავაანალიზოთ საკორპორაციო ნორმების განმასხვავებელი ნიშნები. სუბიექტების მიხედვით საკორპორაციო

39 http://www.libsid.ru/ გვ.22

ნორმები სახელმწიფოს მიერ გამოცემული ნორმებისგან განსხვავდება იმით, რომ მათ აქვთ რაოდენობრივი განსაზღვრულობა. ისინი, ისევე როგორც ცენტრალიზებული ნორმები, არ არიან პერსონიფიცირებულნი. საკორპორაციო ნორმების მოქმედების სფერო შემოიფარგლება სუბიექტის კუთვნილებით კოლექტივისადმი ან სხვადასხვა საფუძვლით წარმოშობილი წევრობით.

საკორპორაციო ნორმების ნებელობითი შინაარსი არსებითად განსხვავდება ცენტრალიზებული ნორმების ნებელობითი შინაარსისგან. საკორპორაციო ნორმების შინაარსი შეადგენს კორპორაციის კოლექტივის ნებას. საკორპორაციო ნორმების ფორმირების საშუალება ასევე განასხვავებს მათ ცენტრალიზებული ნორმებისგან. თუ საერთო სახელმწიფოებრივი ნორმები დაფუძნებულია „ნების“ გარედან მოხვევაზე, საკორპორაციო ნორმები ხშირად იქმნება ნების შეთანხმების პრინციპით, გამოხატავენ მმართველების და აქციონერების, ასევე ცალკეულ მუშაკთა ინტერესების ბალანსს.

საკორპორაციო ნორმების სანქციებს შეიძლება ჰქონდეთ დამოუკიდებელი ხასიათი.

საკორპორაციო ნორმების მიმართება ცენტრალიზებულ ნორმებთან

სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა იმდენად შეიცვალა, რომ შეიძლება ვისაუბროთ სოციალური წყობის ცვლილებაზე. სწორედ ეს გვაიძულებს გადავიდეთ საკორპორაციო ნორმების, როგორც ნორმატიულ სისტემაში ხარვეზების შემავსებლის და დამატებითი, სუბსიდიარული ხასიათის განხილვიდან, მათი დამოუკიდებელი მარეგულირებელი მნიშვნელობის აღიარებისკენ.

ნორმატიულ-სამართლებრივ სისტემაში საკორპორაციო ნორმები უნდა იკავებდნენ სათანადო ადგილს. მათი რიცხვი არ უნდა იყოს შემოსაზღვრული, ვინაიდან კოლექტივის ცხოვრებაში რეგულირების „ვაკუუმი“ მაინც შეივსება: ან ის ჩაიძირება ანარქიაში, ან სახელმწიფოს ხელით მოხდება კორპორაციაში წესრიგის დამყარება. თუმცა, საკორპორაციო ნორმების ზედმეტად გაზრდილი რიცხვიც არ შეიძლება იყოს სასარგებლო. ისინი მოწოდებულნი არიან

ასახონ კოლექტივის მაგრამ, იმავდროულად, არ დააკნინონ ინდივიდების ნება. გადამეტებულმა საკორპორაციო რეგულაციებმა შეიძლება შეზღუდოს კოლექტივის თითოეული წევრის მოქმედების თავისუფლება.

ამრიგად, საკორპორაციო ნორმებით უნდა მოწესრიგდეს ორგანიზაციაში არსებული არა ყველა ურთიერთობა, არამედ მხოლოდ ის, რომელიც ეხება კოლექტივის საქმიანობის ძირითად საკითხებს (ფინანსების გამოყენება, წარმოების ორგანიზება, შრომის პირობების დაწესება, მუშაკთა წახალისება, პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების წესები და ა.შ.).

საკორპორაციო სამართლის სფეროში შემავალი ურთიერთობების რეგულირებისას, ყოველთვის არაა საჭირო სიმკაცრე. ქცევის „ნორმალურ" ვარიანტთან ერთად, ხანდახან საკორპორაციო ნორმაში უპრიანია გავითვალისწინოთ ალტერნატიული და საგამონაკლისო ვარიანტი, მისი გამოყენების პირობების დათქმით. წინააღმდეგ შემთხვევაში საკორპორაციო ნორმები შეიძლება გახდეს დიქტატის საშუალება, თუმცა არა სახელმწიფოს, არამედ კოლექტიურის, რომელიც ახშობს ინდივიდების ნებას.

საკორპორაციო ნორმების დამოუკიდებელი მარეგულირებელი მნიშვნელობის აღიარება, სულაც არ ნიშნავს ამ ნორმების „სამართლის" ჩარჩოებს გარეთ გატანას. სამართალი – ეს არამარტო სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმების სისტემა. ნორმატიულ-სამართლებრივ სისტემაში ორგანულად ერთვება ასევე საკორპორაციო ნორმები, რომლებიც ერთგვარად თავის ქვესისტემას წარმოქმნის.

საკორპორაციო ნორმები წარმოადგენს სამართლებრივ ნორმებს, იმიტომ რომ, ისინი ძალიან დაკავშირებული არიან საერთო სახელმწიფოებრივ ნორმებთან. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე არგუმენტი.

პირველი, საერთო მოქმედების ნორმებში გათვალისწინებულია კოლექტივის შესაძლებლობა მოაწესრიგოს თავისი ქცევა.

მეორე, საერთო ნორმებში საკორპორაციო რეგულირების მიმართულებები განისაზღვრება საზოგადოების, სახელმწიფოს, ამა-

თუიმ ნორმატიული აქტის მიზნების, ამოცანების მინიშნების გზით, ან ამათუიმ სახეობის საქმიანობის დანიშვნით.

მესამე – კანონმდებელი მიანიშნებს საკორპორაციო რეგულირების საზღვრებზეც. მაგალითად, შემზღუდავი მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო ნორმებსაც, რომლებიც განსაზღვრავენ საქმიანობის აკრძალულ სახეობებს.

მეოთხე, საკორპორაციო ნორმები, ისევე როგორც საერთო ხასიათის ნორმები, უნდა შეესაბამებოდნენ სამართლის ბუნებას, რომელიც გამოხატავს სამართლიანობის საწყისებს, სამართლის პრინციპებს (საერთო დარგობრივი, დარგთაშორისი). დემოკრატიულობის პრინციპი, ადმინისტრაციას არ აძლევს უფლებას თვითნებურად გადაიყვანოს საწარმო საკუთრების ერთი ფორმიდან (სახელმწიფო) მეორე ფორმაზე (სააქციო). ამისთვის საჭიროა შრომითი კოლექტივის თანხმობის მიღება.

მეხუთე, სახელმწიფოს მიერ გამოცემული ნორმები, გარკვეულ შემთხვევაში, განსაზღვრავენ საკორპორაციო ნორმების მიღების პროცედურასაც. მეექვსე, საკორპორაციო ნორმები თავისი შინაარსით არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ საერთო სახელმწიფოებრივ ნორმებს. დებულება იმის შესახებ, რომ დაბალი იურიდიული ძალის მქონე ნორმები, არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს უფრო მაღალი იურიდიული ძალის ნორმებს, რაც დამოკიდებულია სახელმწიფო სტრუქტურების იერარქიაში სამართალშემოქმედებითი ორგანოს ადგილმდებარეობაზე, წარმოადგენს იურიდიულ აქსიომათაგან ერთ-ერთს. მისი გამოყენება სავალდებულოა საკორპორაციო და ცენტრალიზებულ ნორმების შეპირისპირებისას.

და ბოლოს, ყველაზე მთავარზე, რაც ადასტურებს საკორპორაციო ნომების სამართლებრივ ბუნებას, საკორპორაციო ნორმები შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოებრივი იძულებით.

სპეციალური სამართალაღმსრულებელი ორგანოები ხელს უწყობენ ასევე, საკორპორაციო ნორმების საფუძველზე, სანქციების დადებისას არსებული შეცდომების ლიკვიდირებაში, ვინაიდან გასაჩივრების უფლება განმტკიცებულია კანონით.

ვფიქრობთ, აღნიშნული არგუმენტები საკმარისად დამაჯერებლად ასაბუთებენ საკორპორაციო ნორმების სამართლებრივ ბუნებას.

კორპორატიული ნორმების შექმნის პრინციპები

სამართლის პრინციპები – არის ფუძემდებლური პრინციპები, იდეები, საწყისები, რომლებიც სამართლის არსს გამოხატავს.

იმ პრინციპებს, რომლებზეც აგებულია კორპორატიული ნორმები, მიეკუთვნება შემდეგი პრინციპები:

1. დემოკრატიზმის პრინციპი კორპორატიული ნორმების ჩამოყალიბებისას, ანუ კორპორაციის კოლექტივის ყველა წევრის ინტერესთა მაქსიმალური სისრულით გათვალისწინება.
2. ჰუმანიზმის პრინციპი, ანუ კაცთმოყვარეობა, პიროვნების ღირსების პატივისცემა, მისი ნორმალური არსებობისა და განვითარებისთვის აუცილებელი ყველა პირობის შექმნა.
3. თანასწორუფლებიანობის პრინციპი. ის გამოიხატება იმაში, რომ კორპორაციის ყველა წევრს მიუხედავად ეროვნების, სქესის, რელიგიური თუ სხვა შეხედულებების, თანამდებობრივი ან სხვა მდგომრეობისა თანაბარი უფლებები აქვთ და თანაბარი პასუხისმგებლობა აკისრიათ.
4. კანონიერება, ანუ ზოგადსახელმწიფოებრივი ნორმების ზედმიწევნით დაცვა. კორპორატიული ნორმა კი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საკანონმდებლო ნორმას, არამედ ექვემდებარებოდეს მას, თუ ორივე ნორმა ერთსა და იმავე საკითხს არეგულირებს. ეს აქსიომაა. კანონიერების პრინციპი მდგომარეობს ასევე იმაში, რომ საკუთრივ კორპორატიული აქტებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს. მათ შორის, ასევე, უნდა არსებობდეს იერარქიული სუბორდინაცია იურიდიული ძალის მიხედვით. მეტი იურიდიული ძალა აქვთ გაერთიანების ნორმებს, შემდეგ საწარმოს, ბოლოს კი სტრუქტურული ერთეულების (ბრიგადების, განყოფილებების) ნორმებს. იურიდიული ძალა დამოკიდებულია კორპორატიული აქტის მიმღებ სუბიექტზე. გვიანდელი აქტი აუქმებს ადრინდელს.
5. მეცნიერულობა, ანუ ნორმატიული აქტების შინაარსის ღრმა და ყოველმხრივი დამუშავება. იმ კონკრეტული აქტების მეცნიერუ-

ლი დასაბუთება, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობის პროცესში მიიღება, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საწარმოს დონეზე.[40]

კორპორატიული ჩვეულება და კორპორატიული საქმიანი ჩვევები

კორპორატიული სამართლის ფორმები (წყაროები) – კორპორატიული სამართლებრივი ნორმების განმტკიცების საშუალება. შეიძლება გამოვყოთ კორპორატიული სამართლის შემდეგი ძირითადი სახეები: 1) კორპორატიული ჩვეულება; 2) კორპორატიული საქმიანი ჩვევები; 3) კორპორატიული პრეცედენტები; 4) კორპორატიული ნორმატიული აქტები.

კორპორატიული ჩვეულება – ჩვეულება, რომლის გამოყენებაც კორპორაციის მხრიდან ზემოქმედების ღონისძიებებითაა უზრუნველყოფილი (წახალისებით ან სანქციებით).[41]

ჩვეულებისთვის, როგორც კორპორაციული სამართლის წყაროსთვის, დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები.

პირველი, ჩვეულება დაკავშირებულია ცნობილი წესების ხანგრძლივ და ერთფეროვან შერულებასთან, რაც ფაქტობრივად ჩვევაში გადადის.

მეორე, ჩვეულებას ახასიათებს მასობრივი შესრულება. მის მოთხოვნებს ადამიანი ავრცელებს არამხოლოდ სხვა პირებზე, არამედ საკუთარ თავზეც.

მესამე, ჩვეულება გამოირჩევა გონივრულობით, ანუ ქცევის იმ ვარიანტს გვთავაზობს, რომელიც ყველაზე ოპტიმალურად შეესაბამება რეალურ ვითარებას.

მეოთხე, ჩვეულება თითქმის არასოდეს ეწინააღმდეგება ზნეობას (მორალის ნორმებს) და სახელმწიფოებრივ წესრიგს (კანონის ნორმებს).

ჩვეულებაზე, როგორც კორპორატიული სამართლის წყაროზე, უარის თქმა არ შეიძლება არამხოლოდ მცირე კორპორაციებში, სადაც ძირითადად მისით ხელმძღვანელობენ, არამედ მსხვილ გაერ-

40 http://www.pravo.vuzlib.org/book_z1025 გვ.53.
41 http://www.pravo.vuzlib.org/book_z1025 გვ. 55.

თიანებებშიც, თუმცა იქ მისი გამოყენების სფერო უფრო შეზღუდულია, და ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს. ჩვეულებას ბევრი ღირსება აქვს, როგორც კორპორატიული სამართლის წყაროს:

1) ჩვეულება მოდის არა „ზემოდან", არამედ „ქვემოდან", ამიტომ მისი შინაარსი წარმოების პირობებიდან გამომდინარეობს. ამდენად, ის კორპორატიული სამართლის სხვა წყაროებთან შედარებით უფრო სრულად გამოხატავს კოლექტივის ნებას;
2) ჩვეულება ადამიანთა არსებობის ამა თუ იმ კანონზომიერებას, კოლექტივის თავისებურებებს ასახავს, ამიტომ უფრო ობიექტურია, ვიდრე კორპორატიული აქტი ან პრეცედენტი, რომელთა დადგენასაც აუცილებლად ახლავს სუბიექტური მომენტების გათვალისწინება. ასე, მაგალითად, ამხანაგობაში დაქირავებულ მუშაკებად ორი ნათესავის მიწვევა პრაქტიკაში არ გამოიყენება, რადგან ამ დროს წარმოიშვება ამ პირების ერთმანეთში გარიგებით ამხანაგობის ქონების დაკარგვის საშიშროება. ამგვარი ეჭვი დამყარებულია ერთგვარ ფსიქოლოგიურ კანონზომიერებაზე, რომელიც სხვისი ქონებისადმი დამოკიდებულებას ეხება;
3) ჩვეულება ზეპირი ფორმით ყალიბდება და შესაბამისად, წერილობითისგან განსხვავებით უბრალო ენით გადმოიცემა, მარტივი და გასაგები წყობა აქვს;
4) ჩვეულებისთვის დამახასიათებელია ნებაყოფლობითი შესრულების მაღალი მაჩვენებელი, ვინაიდან ის ჩვევაზეა დამყარებული, ანუ ერთგვარად ავტომატურ ქმედებებზე. გარდა ამისა ნებაყოფლობით შესრულებას მნიშვნელოვან წილად განაპირობებს მასობრივი ხასიათი, რაც არ უტოვებს ადამიანს მისი კრიტიკულად შეფასების საშუალებას (შემცვლელს უნდა დაელოდო, შემთხვევით ხომ არ იქცევა ასე ყველა);
5) ჩვეულება ხელს უწყობს კოლექტიური გამოცდილების ფასეული მარცვლების დაგროვებასა და გადაცემას, გვიცავს მრავალი წლის მანძილზე დაგროვილი კოლექტიური სიბრძნის განიავებისგან. მართლაც, განა ცუდი ჩვეულებაა, როცა საწარმოს ხელმძღვანელი დაბადების დღეს ულოცავს თავისი კოლექტივის წევრებს, ან როცა კოლექტივში აღნიშნავენ განსაკუთრებულ თარიღებს და მოვლენებს? სწორედ ეს ჩვეულება გამოიყენება აქტიურად იაპონურ მენეჯმენტში. ეს გამართლე-

ბულიცაა, ვინაიდან კოლექტივის დაახლოებას უწყობს ხელს, ხოლო შეხმატკბილებული კოლექტივი, სადაც თითოეული მზადაა მეორეს დაეხმაროს, უკეთ გაართმევს თავს ნებისმიერ საწარმოო ამოცანას.

სამწუხაროდ, ჩვეულებას, როგორც კორპორატიული სამართლის წყაროს, ნაკლოვანებებიც აქვს, ჩამოვთვლით მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს:

1) მოძველებულობა, რომელიც მას ახასიათებს ნელი განვითარების გამო, ერთგვარი მოუქნელობა, რაც იმითაა განპირობებული, რომ ის ადამიანთა ცნობიერებაში ინახება, ის კი ძალიან მდორედ იცვლება.
2) ჩვეულება ხშირად ძველი სოციალურ-ყოფითი მოვლენების შესანარჩუნებლად გამოიყენება და უთანასწორობას ემყარება. როგორ უნდა შევაფასოთ მაგალითად ფრაზა, ასე ხშირად რომ გვხვდება საგაზეთო განცხადებებში სამუშაოს შეთავაზების შესახებ: „ვიწვევთ სამუშაოდ მამაკაცებს“.
3) ჩვეულება ზუსტი ფორმულირებით არ გამოირჩევა, მისი შინაარსი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმ პირების სუბიექტურ შეხედულებებზე, რომლებიც მას იყენებენ. მართლაც, რამდენი უნდა ველოდოთ შემცვლელს? ხუთი, ათი, თხუთმეტი წუთი თუ ერთი საათი?
4) ჩვეულება ძნელი ამოსაცნობია, რადგან ზეპირად გადაეცემა და წერილობით არ არის დადასტურებული. მაშ ასე, როცა ვსაუბრობთ ჩვეულებაზე, როგორც კორპორატიული სამართლის წყაროზე, ერთი მხრივ მხედველობაში გვაქვს მასალა, საიდანაც კორპორატიული ნორმების შესახებ ცოდნას ვღებულობთ, მეორე მხრივ კი კორპორაციის მმართველი ორგანოს უფლებამოსილება, შესაბამისი რეაგირება მოახდინოს ჩეულების შესრულების შემთხვევაში წახლისებით, დარღვევისას კი დასჯით.

საქმიანი ჩვევები – ქცევის წესები, რომლებიც პრაქტიკული საწარმოო საქმიანობისას ყალიბდება და კორპორაციის წევრების (მუშაკების) ყოველდღიურ ცხოვრებას აწესრიგებს.[42]

42 http://infospy.ru/Articles/article_storyid_4194.html

სხვაგვარად საქმიანი ჩვევები შეიძლება განისაზღვროს, როგორც დამკვიდრებული პრაქტიკა.

მაგალითად, ყველა ავიასაწარმოში ცვლის დასაწყისი უკავშირდება გარჩევებს, როლებზეც აცხადებენ ხელძღვანელების განკარგულებებსა და ბრძანებებს, საგანგებო შემთხვევებს და ცვლის ამოცანებს. საქმიან ჩვევად უნდა ჩაითვალოს ასევე ფირმაში მიღებული წესი – იმ აბონენტის მისალმება, რომელიც ფირმაში რეკავს, ფირმის სახელწოდების და ყურმილთან მყოფი მუშაკის თანამდებობის და გვარის დასახელება.

საქმიანი ჩვევები შეიძლება წერილობით იყოს განმტკიცებული. მაგალითად, ბევრი სასწავლო დაწესებულების სასწავლო წესდების მიხედვით სტუდენტები ლექტორებს ფეხზე წამოდგომით ესალმებიან.

კორპორატიული პრეცედენტები

კორპორატიული პრეცედენტი არის გადაწყვეტილება, რომელიც მომავალში მსგავსი საქმეების გადაწყვეტისას სანიმუშოდ მიიღება.

პრეცედენტია კორპორაციის მმართველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელსაც თუნდაც ერთხელ ჰქონდა ადგილი, მაგრამ მსგავს სიტუაციაში მომავალში განსახორციელებელი მოქმედებისათვის ნიმუშად იქცა.

კორპორატიული პრეცედენტია, მაგალითად კორპორაციის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება იუბილარისთვის გარვეული თანხის გამოყოფის შესახებ. შემდეგ ეს წესად იქცევა, რომელიც ყველა იუბილარზე ვრცელდება.

კორპორაციულ პრეცენდენტს, ისევე, როგორც კორპორატიული სამართლის სხვა წყაროებს, აქვს ღირსებებიც და ნაკლოვანებებიც. რაც შეეხება ღირსებებს, პრეცედენტი უმეტესად ლოგიკისა და საღი აზროვნების შედეგია. პრეცედენტს, როგორც წესი, ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს, თუმცა არა ყოველთვის.

პრეცედენტი უფრო სწრაფად ითვისებს ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებს, და უფრო ზუსტად ერგება სიტუაციას.

პრეცედენტს დოკუმენტური გამოხატულება აქვს (საერთო კრების, საბჭოს, მმართველობის გადაწყვეტილება, ხელმძღვანელის ბრძანება და სხვა) რაც ჩვეულებისგან განსხვავებით უფრო ჩამოყალიბებულ სახეს აძლევს მას.

კორპორაციული პრეცედენტის ნაკლოვანებები გვაფიქრებინებს, რომ მისი გამოყენებისას ზომიერება უნდა დავიცვათ. მოვიყვანთ კორპორატიული პრეცედენტის შემდეგ უარყოფით მხარეებს.

კორპორატიულ პრეცედენტში ჩადებული ქცევის წესი გამოიხატება არა ზოგადი ფორმით, არამედ მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

პრეცედენტს არა აქვს სავალდებულო ხასიათი და ის ავტორიტეტი, რომელიც ახასიათებს კორპორატიულ აქტს.

პრეცედენტი შეიცავს შესაძლო თვითნებობის საფრთხეს.

ერთი სიტყვით, არ ღირს კორპორატიული პრეცედენტის, როგორც სამართლის წყაროს იგნორირება, მაგრამ ამავე დროს მისი გამოყენებისას დიდი სიფრთხილე გვმართებს.[43]

კორპორატიული მართვის ცნება

ამჟამად არ არსებობს ერთგვაროვანი განმარტება ცნებისა „კორპორატიული მართვა". თეორიული თვალსაზრისით კორპორატიული მართვის შესახებ სხვადასხვა ასპექტში შეიძლება ვისაუბროთ, ამიტომ ამ ცნებას შეიძლება მრავალი დეფინიცია გააჩნდეს.

მართვა ნიშნავს ვისიმე ან რისამე საქმიანობის, მოქმედების ხელმძღვანელობას, წარმართვას; ვისიმე ან რისამე მსვლელობის, მოძრაობის წარმართვას. მართვა შეიძლება განვიხილოთ როგორც სხვადასხვაგვარი ბუნების ორგანიზებული (ბიოლოგიური, სოციალური, ტექნიკური) სისტემების ელემენტი, ფუნქცია რომელიც მათი გარკვეული სტრუქტურის, მოქმდედბის რეჟიმის შენარჩუნებას, მათი პროგრამების და მიზნების განხორციელებას უზრუნველყოფს. სოციალური მართვა არის საზოგადოებაზე ზემოქმედება მისი მოწესრიგების, ხარისხობრივი სპეციფიკის შენარჩუნების, დახვეწისა და განვითარების მიზნით. განასხვავებენ სტიქიურ მარ-

43 http://www.pravo.vuzlib.org/book_z1025 გვ.57

თვას, რომლის სისტემაზე ზემოქმედებაც განსხვავებული ძალების შეჯვარებით და შემთხვევითი ერთჯერადი აქტების სიმრავლითაა გაპირობებული და შეგნებულ მართვას, რომელსაც საზოგადოებრივი ინსტიტუტები და ორგანიზაციები განახორციელებენ (სახელმწიფო და სხვა).[44]

კორპორატიული მართვა სოციალური მართვის ერთ-ერთი სახეობაა. კორპორაცია წარმოადგენს გარკვეულ ორგანიზებულ სისტემას, რომლის ელემენტიც არის მართვა. მისი არსია კორპორაციაზე, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაზე (ორგანიზებულ სისტემაზე) ზემოქმედება მოწესრიგების და სპეციფიკის შენარჩუნების მიზნით.

კორპორატიული მართვა შეგნებული მართვაა, რომელსაც კორპორაციაში საგანგებოდ შექმნილი ორგანოები ახორციელებენ. აღნიშნული ორგანოები კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად იქმნება და კანონმდებლობითვეა დადგენილი მათ შორის კომპეტენციის გამიჯნვა. ამიტომ კორპორატიული მართვა, ეს პირველ რიგში კანონისა და კანონის შესაბამისად მიღებული კორპორაციის შიდა დოკუმენტების საფუძველზე განხორციელებული მართვაა.

ამდენად, ვიწრო გაგებით, კორპორატიული მართვა – კორპორაციის მართვა – ეს არის კორპორაციაზე, როგორც ორგანიზებულ სისტემაზე ზემოქმედება, რომელსაც სპეციალურად შექმნილი და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი ორგანოები ახორციელებენ.

მიღებულია, რომ იურიდიული პირი სამოქალაქო უფლებებს იძენს და ვალდებულებებს კისრულობს თავისი ორგანოების მეშვეობით, რომლებიც კანონების და სხვა ნორმატიული აქტების, ასევე სადამფუძნებლო დოკუმენტების საფუძველზე მოქმედებენ. იურიდიული პირის ორგანოები გამოხატავენ და აყალიბებენ მის ნებას, ხელმძღვანელობენ მის საქმიანობას. იურიდიული პირის ორგანოები მართვის ორგანოებია. ასე, ქვეყნების კანონები სააქციო საზოგადოებების შესახებ ითვალისწინებს, რომ საზოგადოების წესდება

44 http://socio-org.narod.ru

უნდა შეიცავდეს სააქციო საზოგადოების მართვის ორგანოების სტრუქტურას და კომპეტენციას, მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესს.

ფართო გაგებით, კორპორატიული მართვა ეს არის გარე სამყაროსთან ურთიერთობა, ანუ მართვის ორგანოებს და ემიტენტის თანამდებობის პირებს, ამ ემიტენტების ფასიანი ქაღალდების მფლობელებს (აქციონერებს, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების მფლობელებს), ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს შორის ურთიერთობის სისტემა, რომლებიც ასეთუისე ჩართული არიან ემიტენტის (საზოგადოების), როგორც იურიდიული პირის, მართვაში.

კორპორატიული მართვის არსი ფართო გაგებით არის კორპორაციის სხვადასხვა მონაწილეთა ინტერესებს შორის ბალანსის ძიების პროცესი, იქნება ეს აქციონერები და მენეჯერები, ცალკეული პირები თუ მთელი კომპანია, კორპორაციის წევრების მიერ საქმიან საზოგადოებაში მიღებული ქცევის გარკვეული სტანდარტების (ეთიკური, საპროცედურო) დაცვის გზით.

კორპორატიული ურთიერთობის სისტემაში შემავალი წევრები შეიძლება ორ დიდ ჯგუფად დაიყოს: საკუთრივ სააქციო საზოგადოება და ამ საზოგადოების აქციონერები.[45] ამ ჯგუფების შემადგენლობაში შედის:

- კორპორაციის (ემიტენტის) მენეჯმენტი;
- მსხვილი (მაჟორიტარული) აქციონერები;
- მინორიტარული აქციონერები (აქციათა უმნიშვნელო რაოდენობის მფლობელები);
- ემიტენტის სხვა ფასიანი ქაღალდების მფლობეელები;
- აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, ქვეყნების სუბიექტების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.
- ამ ჯგუფების ურთიერთქმედება წარმოშობს კორპორატიული მართვის სფეროში ძირითად კონფლიქტებს, რომლებიც თითოეული მხარის უფლებების და ინტერესების დარღვევას იწვევს. გარდა ამისა, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ

45 Осиновский А. *Акционер против акционерного общества.* СПб., 2003. გვ. 20-22

აქციონერები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები, რაც ართულებს კორპორატიული ურთიერთობების სისტემას, უფრო დატვირთულს ხდის მას ამ სისტემის ელემენტებს შორის სხვადასხვაგვარი კავშირებით.

– კორპორაციის სხვადასხვა მონაწილეებს თავისი განსხვავებული ინტერესები აქვთ. მონაწილეების ინტერესების განსხვავებულობა ერთი სამეურნეო საზოგადოების ფარგლებში ჯერ ჯიდევ არ არის კონფლიქტი. მაგრამ როგორც კი განსხვავებული ინტერესების მქონე სუბიექტები მოიმოქმედებენ რამეს, რაც მათი, კორპორატიული ურთიერთობის სხვა მონაწილეებისგან განსხვავებული ინტერესების და მიზნების რეალიზაციაზეა მიმართული, წარმოიშვება კონფლიქტი ანუ მხარეთა შეჯახება, წინააღმდეგობა, დაპირისპირება.
– ინტერესთა კონფლიქტი კორპორაციაში პირველ რიგში უკავშირდება საკუთრების მართვისაგან გამოყოფას. კორპორაციის მენეჯერები იშვიათად არიან მათი მესაკუთრენი. მენეჯერების ინტერესი მდგომარეობს საკუთარი მდგომარეობის მყარად შენარჩუნებაში, ძალები კი კონცენტრირებულია კორპორაციის ოპერატიულ საქმიანობაზე. მენეჯერებისა და აქციების მესაკუთრეთა ინტერესების, მსხვილი და წვრილი აქციონერების, მენეჯერებისა და სახელმწიფო ორგანოების ინტერესების განსხვავებულობა კორპორატიული ურთიერთობების ძირითადი პრობლემაა. კორპორატიული მართვა არის ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება როგორც საზღვარგარეთის, ისე შიდაქვეყნის კომპანიების მიერ მესაკუთრეთა ინტერესების დასაცავად და, საბოლოო ჯამში, კომპანიის ღირებულების ასამაღლებლად ინვესტიციების მოსაზიდად.[46]

თუ დასავლეთში კორპორატიული კონფლიქტები ძირითადად მენეჯერებისა და აქციონერების ინტერესთა წინააღმდეგობაში მდგომარეობს, პოსტ კავშირის ქვეყნებში კი ხშირად შეინიშნება მინორიტარული აქციონერების უფლებების დარღვევა მაჟორიტარების მხრიდან. განსაკუთრებით გავრცელებულია შემდეგი დარღვევები:

46 Килячков А. *Корпоративное управление как фактор привлечения и защиты инвестиций//Рынок ценных бумаг.* 2003. N 4. გვ. 51

რეორგანიზაციისა და მომგებიანი ბიზნესის ახალ კომპანიებში გადატანისას წინა კომპანიების ფინანსური ტვირთის მინორიტარებზე გადატანა;

აქტივების აფილირებულ კომპანიებში გამოტანა მინორიტარი აქციონერების აზრის გაუთვალისწინებლად;

აქციონერთა კომპანიის მართვაში მონაწილეობის, მათ შორის საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების დარღვევა;

აქციების განთავსება „მეგობარ სტრუქტურებში" დახურული ხელმოწერის გზით მინიმალურ ფასად (კაპიტალის „გაბნევა") და სხვა.

ამასთან, წვრილი აქციონერების უფლებებისათვის ბრძოლით გატაცების გამო კანონმდებელმა ვერ შენიშნა, რომ ახლა სხვა მხარეს გადახრა წარმოიშვა. ამჟამად მინორიტარებისაგან დაცვას უკვე თავად საზოგადოება საჭიროებს, რომლის საქმიანობის პარალიზებაც ადვილად შეუძლია წვრილი ინვესტორების საჩივრებს. კორპორატიულ პრაქტიკაში ხშირად იხმარება ტერმინი „კორპორატიული შანტაჟი" (green mail – გრინმეილი). კლასიკური გაგებით ეს ტერმინი აღნიშნავს სიტუაციას, როცა სააქციო საზოგადოების აქციათა გარკვეული პაკეტის მფლობელი არის ამ სააქციო საზოგადოებისადმი არაკეთილგანწყობილი კომპანია (პირთა ჯგუფი), რაც აიძულებს კომპანიას, რომელიც შანტაჟის ობიექტია, მნიშვნელოვანი პრემიით (ანუ მიმდინარე საბაზრო ფასზე ბევრად მაღალ ფასად) გამოისყიდოს აქციები, რათა თავიდან აიცილოს შთანთქმის პროცედურა.[47]

ფართო გაგებით გრინმეილში (კორპორატიულ შანტაჟში) იგულისხმება გამოძალვის სხვადასხვა ხერხების ერთობლიობა, რომლებსაც მინორიტარი აქციონერები მიმართავენ სააქციო საზოგადოების მიმართ მტრული მოქმედებების განხორციელების მუქარით, რასაც ჩვეულებრივ ახლავს აქციების მათ რეალურ საბაზრო ღირებულებაზე რამდენიმეჯერ აღმატებულ ფასად გამოსყიდვის მოთხოვნა.[48]

---

47 Гололобов Д. В. Акционерное общество против акционера: противодействие корпоративному шантажу. М., 2004. გვ. 5

48 Кирдякин А. А. *Корпоративный шантаж (гринмейл) и методы борьбы с ним// Современное право.* 2002. N 5

კორპორატიულ-იურიდიული თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ კორპორატიული შანტაჟის green mail-ის შემდეგი ნიშნები:

გრინმეილი თავისი შინაარსით არის ცალკეული აქციონერების ან გაერთიანებულ აქციონერთა ჯგუფის აქტიური თუ პასიური (მოქმედებისგან თავის შეკავება) ქმედებების შედეგი;

კორპორატიული შანტაჟი მიმართულია გარკვეული ფორმით საზოგადოების და (ან) მისი აქციონერებისათვის ნეგატიური შედეგის მისაღებად;

კორპორატიული შანტაჟის პროცესი საბოლოო ჯამში გულისხმობს უმოქმედობისა თუ გარკვეული მოქმედებების განხორციელებისათვის ქონებრივი ან არაქონებრივი ფორმით სარგებელის მიღებას.[49]

ამგვარად, კორპორატიული ურთიერთობების მართვისას უნდა მოიძებნოს გარკვეული ბალანსი მაჟორიტარ და მინორიტარ აქციონერთა, თავად საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს შორის.

კორპორატიულ ურთიერთობებზე ისეთი ზემოქმედება, რომელიც ამ ურთიერთობების სხვადასხვა მონაწილეთა ინტერესების ბალანსს უზრუნველყოფს, მინიმუმამდე ამცირებს მათი იტნერესების კონფლიქტს, უზრუნველყოფს კორპორატიული ურთიერთობების მდგრადობას, მათ განვითარებას და წარმოადგენს კორპორატიულ მართვას. ამიტომ ყველაზე ფართო გაგებით კორპორატიული მართვა საერთოდ ყველა იმ ურთიერთობას მოიცავს, რომლებიც რამდენადმე ზემოქმედებს აქციონერთა მდგომარეობაზე და საკუთრივ სააქციო საზოგადოების მოქმედებებზე. ამგვარი ფართო გაგებით კორპორატიული მართვა იგივეა, რაც კორპორატიული ქცევა ანუ კორპორატიული ურთიერთობების მონაწილეთა ურთიერთმოქმედება და გარე სამყაროსთან – საქმიან საზოგადოებასთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან, სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა.

49 Гололобов Д. В. *Указ.* соч. გვ. 11

§4. კორპორატიული მართვა

კორპორატიული მართვის პრინციპები

ამჟამად ცნების „კორპორატიული მართვა“ ერთიანი განმარტება არ არსებობს. თეორიული თვალსაზრისით კორპორატიული მართვის შესახებ სხვადასხვა ასპექტში შეიძლება საუბარი, ამიტომ შეიძლება ამ ცნების მრავალი დეფინიცია არსებობდეს.

მართვა – ნიშნავს „ხელმძღვანელობას, ვისიმე ან რისამე საქმიანობის, მოქმედებების, სვლის, მოძრაობის წარმართვას“. ცნება „მართვა“ ასევე განიხილება, როგორც „სხვადასხვაგვარი ბუნების (ბიოლოგიური, სოციალური, ტექნიკური) ორგანიზებული სისტემების ელემენტი, ფუნქცია, რომელიც მათი გარკვეული სტრუქტურის, საქმიანობის რეჟიმის შენარჩუნებას, მათი პროგრამებისა და მიზნების რეალიზაციას უზრუნველყოფს. სოციალური მართვა არის საზოგადოებაზე ზემოქმედება მისი მოწესრიგების, ხარისხობრივი სპეციფიკის შენარჩუნების, სრულყოფისა და განვითარების მიზნით. განასხვავებენ სტიქიურ მართვას, რომლის ზემოქმედებაც სისტემაზე – სხვადასხვა ძალების შეჯვარების, შემთხვევითი ერთჯერადი აქტების სიმრავლის შედეგია, და შეგნებულ მართვას, რომელსაც საზოგადოებრივი ინსტიტუტები და ორგანიზაციები (სახელმწიფო და სხვ.) ახორციელებენ.

კორპორატიული მართვის პრინციპები – ეს არის ამოსავალი საწყისები, რომლებიც საფუძვლად უდევს საზოგადოების კორპორატიული მართვის სისტემის ფორმირებას, ფუნქციონირებას და სრულყოფას.[50]

კორპორატიული მართვის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულია „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (ეთგო) დოკუმენტში „კორპორატიული მართვის პრინციპები“, რომელსაც 1999 წლის 26-27 მაისს ეთგო-ის მინისტრების

50 Принципы корпоративного управления Организации экономического сотрудничества и развития. Pinted in France, 1999.(http://www.corp-gov.ru/projects/principles-ru.pdf)

დონეზე საბჭოს სხდომაზე ხელი მოაწერეს მინისტრებმა. ეთგო-ის კორპორატიული მართვის პრინციპები სარეკომენდაციო ხასიათისაა და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთავრობების მიერ, როგორც ამოსავალი წერტილი მოქმედი კანონმდებლობის შეფასებისა და დახვეწისათვის, ასევე თავად კორპორაციების მიერ კორპორატიული მართვის სისტემის და უკეთესი პრაქტიკის შესამუშავებლად. პრინციპების თანახმად, კომპანიის კორპორატიული მართვის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს: აქციონერთა უფლებების დაცვას; აქციონერებისადმი თანაბარ დამოკიდებულებას; დაინტერესებული პირების კანონით გათვალისწინებული უფლებების აღიარებას; ყველა იმ არსებითი საკითხის თაობაზე ინფორმაციის დროულად და უცვლელად გამოქვეყნებას, რომლებიც კორპორაციას ეხება; ადმინისტრაციის ეფექტიან გაკონტროლებას მმართველობის (საზედამხედველო საბჭოს) მხრიდან, ასევე მმართველობის ანგარიშვალდებულებას აქციონერთა წინაშე. ეთგო-ის კორპორატიული მართვის პრინციპები საფუძვლად დაედო რუსეთის კორპორატიული ქცევის კოდექსს, რომელშიც ჩადებულია კორპორატიული ქცევის შემდეგი პრინციპები:

პირველი, აქციონერებს უნდა ჰქონდეთ საზოგადოებაში მონაწილეობასთან დაკავშირებული საკუთარი უფლებების განხორციელების რეალური შესაძლებლობა და მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში ეფექტიანი დაცვის მიღების საშუალება. ანუ კორპორატიული მართვის სისტემა აქციონერთა უფლებებს უნდა იცავდეს.

მეორე, სააქციო საზოგადოების სისტემა იმგვარი უნდა იყოს, რომ სს-ის დირექტორთა საბჭო, ერთი მხრივ, სს-ის საქმიანობის სტრატეგიულ მართვას ახორციელებდეს და ეფექტიანად აკონტროლებდეს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას, მეორე მხრივ კი საზოგადოების აქციონერებისადმი ანგარიშვალდებული იყოს.

მესამე, აღმასრულებელი ორგანოები გონივრულად, კეთილსინდისიერად, მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების ინტერესებში უნდა ხელმძღვანელობდნენ საზოგადოების მიმდინარე საქმიანო-

ბას, ანგარიშვალდებული იყვნენ საზოგადოების დირექტორთა საბჭოსა და აქციონერების წინაშე.

მეოთხე, საზოგადოების მართვისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს საზოგადოების, აქციონერებისა და ინვესტორებისათვის მისაწვდომი, საზოგადოების შესახებ სრული და უცვლელი ინფორმაციის დროული გამოქვეყნება.

კორპორატიული მართვის მოდელი ევროპის კანონმდებლობის მიხედვით

ევროპის კანონმდებლობაში ცნობილია სს-ის მართვის ორი მოდელი – გერმანული და ფრანგული. მათთვის დამახასიათებელია დუალისტურ პრინციპზე, ანუ საზედამხედველო და საგანმკარგულებლო ფუნქციების მკვეთრ გამიჯნვაზე დამყარებული მართვის სამდონიანი სისტემა.

მართვის გერმანული მოდელის თანახმად, რომელიც ჩადებულია გერმანიის სააქციო კანონში, სს-ის მართვის ორგანოთა სისტემა მოიცავს სამმართველოს, რომელიც აღმასრულებელი ორგანოა; საზედამხედველო საბჭოს, რომელიც კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა და კრებებს შორის აქციონერთა ინტერესებს წარმოადგენს; და აქციონერთა საერთო კრება.

მმართველობა ხელმძღვანელობს საზოგადოებას თავისი პასუხისმგებლობით. მმართველობის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს ერთი ან რამდენიმე პირი. მმართველობის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ სავსებით ქმედუნარიანი ფიზიკური პირი. პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით ან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით ეკრძალება პროფესიული საქმიანობის ან მისი გარკვეული სახეობის, რეწვის ან მისი გარკვეული სახეობის განხორციელება, ამ აკრძალვის მოქმედების პერიოდში ვერ იქნება იმ საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრი, რომლის საქმიანობის საგანი მთლიანად, ან ნაწილობრივ ემთხვევა აკრძალვის საგანს. მმართველი ორგანოს წევრებს ნიშნავს სადამკვირვებლო საბჭო არაუმეტეს ხუთი წლის ვადით. შესაძლებელია ხელმეორედ დანიშვნა, ან უფლებამოსილების ვადის გაგრძელება არაუმეტეს

ხუთი წლის ვადით თითოეულ შემთხვევაში. ამისთვის საჭიროა საზედამხედველო საბჭომ უფლებამოსილების ადრინდელი ვადის ამოწურვამდე არაუმეტეს ერთი წლით ადრე მიიღოს ახალი გადაწყვეტილება. საზედამხედველო საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე უფლებამოსილების ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ ხუთ წელზე ნაკლები ვადით დანიშვნის შემთხვევაში, თუ უფლებამოსილების საერთო ვადა ხუთ წელს არ აღემატება. მმართველი ორგანო რამდენიმე პირისგან შდგება, მის წევრებს სს-ის მართვის განხორციელების უფლება მხოლოდ ერთობლივად აქვთ. მმართველი ორგანოს წესდებით ან რეგლამენტით შესაძლოა სხვა რამ იყოს დადგენილი; მაგრამ მმართველი ორგანოს ერთი ან რამდენიმე წევრი ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას თავისი წევრების უმრავლესობის თანხმობის გარეშე. მმართველი ორგანოს ერთ-ერთ წევრს საზედამხედველო საბჭო მმართველი ორგანოს თავმჯდომარედ ნიშნავს. მმართველი ორგანოს წევრებისთვის დადგენილია „კონკურენციის აკრძალვა", კერძოდ, მათ ეკრძალებათ საზედამხედველო საბჭოს თანხმობის გარეშე სავაჭრო საქმიანობის განხორციელება და იმ სამეწარმეო სფეროში საკუთარი და სხვა პირის სახსრებით გარიგებების დადება, რომელსაც ამ სს-ის საქმიანობა განეკუთვნება. მმართველი ორგანოს წევრებს შეიძლება მიეცეთ მოგებაში მონაწილეობის უფლება. გარდა ამისა, ისინი მიიღებენ ანაზღაურებას, რომელიც „მმართველი ორგანოს წევრის ამოცანებსა და საზოგადოების დებულებებთან თანაზომვადი უნდა იყოს". მმართველი ორგანო წარმოადგენს სს-ს სასამართლოსა და სასამართლოს გარეშე ურთიერთობებში. ამასთან მმართველი ორგანოს წევრები სს-ს ერთად წარმოადგენენ. მმართველი ორგანოს შემადგენლობის ან მისი წევრის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ყოველი ცვლილება მმართველი ორგანოს მიერ სარეგისტრაციოდ უნდა წარედგინოს სავაჭრო რეესტრს. მმართველობის ორგანო ანგარიშვალდებულია საზედამხედველო საბჭოს წინაშე სს-ის სავაჭრო პოლიტიკის, რენტაბელურობის და საქმეთა მდგომარეობის საკითხებში, იმ გარიგებების თაობაზე, რომლებსაც შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ჰქონდეთ საზოგადოების რენტაბელობის ან მისი ლიკვიდაციისთვის, ასევე სხვა საკითხებთან დაკავშირებით,

რომლებსაც შეუძლიათ არსებითი გავლენა მოახდინონ საზოგადოების მდგომარეობაზე. მმართველი ორგანოს წევრები თავისი საქმიანობის განხორციელებისას „უნდა იჩენდნენ პატიოსანი და ყურადღებიანი მმართველის მზრუნველობას". მმართველი ორგანოს წევრებმა, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, ამის შედეგად მიყენებული ზიანი უნდა აუნაზღაურონ საზოგადოებას, როგორც სოლიდარულმა მოვალეებმა. სს-ის სადამკვირვებლო საბჭო შედგება სამი, ან სამის ჯერადი ნებისმიერი სხვა რაოდენობის წევრებისგან. ძირითადი კაპიტალის მოცულობიდან გამომდინარე, გერმანიის სააქციო კანონი ადგენს საზედამხედველო საბჭოს წევრთა მაქსიმალურ რიცხვს – 9-დან 21-მდე.[51] საზედამხედველო საბჭოს შემადგენლობაში შედიან წევრები აქციონერთა და დაქირავებულ მუშაკთა რიცხვიდან. საზედამხედველო საბჭოს დაქირავებული მუშაკების (მუშა-მოსამსახურეების) რიცხვიდან შერჩეული წევრების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მუშაკთა მართვაში მონაწილეობის შესახებ 1076 წლის კანონისა და ზოგიერთი სხვა კანონის მოთხოვნები, რომლებიც ადგენს სააქციო საზოგადოების ერთობლივი მართვის რეგლამენტს[52]. სადამკვირვებლო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, რომლის ქმედუნარიანობა შეზღუდული არ არის. კანონით დადგენილ შემთხვევებში პირი ვერ იქნება სადამკვირვებლო საბჭოს წევრი (მაგალითად, თუ ის უკვე არის ათი სავაჭრო ამხანაგობის სადამკვირვებლო საბჭოს წევრი). სადამკვირვებლო საბჭოს წევრები ინიშნებიან ვადით არაუმეტეს აქციონერთა იმ საერთო კრების დამთავრებისა, რომელზეც დამტკიცდება სადამკვირვებლო საბჭოს საქმიანობის დაწყებიდან მეოთხე სამეურნეო წლის ანგარიში, იმ წლის ჩაუთვლელად, როცა ის ჩამოყალიბდა.

სადამკვირვებლო საბჭოს ყოველ წევრს ენიშნება შემცვლელი პირი (სადამკვირვებლო საბჭოს სათადარიგო წევრი), რომელიც სადამკვირვებლო საბჭოს წევრი ხდება იმ შემთხვევაში, თუ ძირი-

51 http://www.preiskurant.ru/korporativnoe-pravo/modeli-korporativnogo-upravleniya გვ. 2

52 ГЛАВА 19. ПРАВО РАБОТНИКОВ НА УЧАСТИЕ В УПРАВЛЕНИИ ОРГАНИЗАЦИЕЙ 1976 г. http://yourlib.net/content/view/7531/88/

თადი წევრი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე წყვეტს საქმიანობას.

სათადარიგო წევრი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ სადამკვირველო საბჭოს წევრთან ერთად. მისი დანიშვნის, დანიშვნის ბათილად ცნობის და გასაჩივრებისას გამოიყენება იგივე დებულებები, რომლებიც მოქმედებს სადამკვირვებლო საბჭოს წევრის მიმართ.

სადამკვირვებლო საბჭო აკონტროლებს საქმეთა წარმოებას. მას შეუძლია საზოგადოების საბუღალტრო დავთრების და დოკუმენტაციის, ასევე ქონებრივი ობიექტების დათვალიერება და შემოწმება. სადამკვირვებლო საბჭოს წევრებმა შეიძლება მიიღონ ანაზღაურება. მისი ოდენობა დგინდება წესდებით, ან საერთო კრების გადაწყვეტილებით. სააქციო საზოგადოების საქმეებში მონაწილეობის უფლებას აქციონერები საერთო კრებაზე ახორციელებენ. მმართველი ორგანოსა და სადამკვირვებლო საბჭოს წევრები უნდა მონაწილეობდნენ საერთო კრებაში.

საერთო კრება საზოგადოების საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს წყვეტს, მაგრამ მიმდინარე საქმეებზე პრაქტიკულ გავლენას არ ახდენს. საერთო კრება მსჯელობს და იწონებს მმართველი ორგანოს ანგარიშს და საზოგადოების წლიურ ბალანსს, ღებულობს გადაწყვეტილებას წლიური მოგების გამოყენების შესახებ. საერთო კრება ქმნის სადამკვირვებლო საბჭოს და ირჩევს ბალანსის შემმოწმებელ რევიზორს. ის ღებულობს გადაწყვეტილებებს საწესდებო კაპიტალის გაზრდის, ან შემცირების და წესდების შეცვლის შესახებ, ასევე სხვა საზოგადოებებთან შერწყმის, სხვა საზოგადოებებში წილობრივი მონაწილეობის შეძენის შესახებ, რაც მას შვილობილ საზოგადოებად აქცევს. საერთო კრებას მმართველი ორგანო იწვევს, საერთო კრების მოწვევის მოთხოვნის უფლება აქვთ საზოგდოების აქციათა 5%-ზე მეტის მფლობელ აქციონერებს. გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით, მაგრამ არის მრავალი საკითხი, რომელთა გადწყვეტისთვისაც აუცილებელია კვალიფიციური ხმათა უმრავლესობა ანუ ხმათა ¾. საერთო კრების ყოველი გადაწყვეტილება ფორმდება კრების ნოტარიულად დამოწმებული ოქმით, რომლის ოფიციალუად დამოწმებული ასლი

და დანართის (კრების მონაწილეთა სია) ასლი გადაეცემა სავაჭრო რეგისტრის მფლობელს. უმცირესობის ინტერესების დასაცავად კრებების გადაწყვეტილებები, რომლებიც სამართლებრივი ნორმების დარღვევით იქნა გამოტანილი, სასამართლში შეიძლება გასაჩივრდეს. მოსარჩელე ასეთ საქმეზე შეიძლება იყოს ნებისმიერი აქციონერი, რომელიც თუნდაც ერთი აქციის მფლობელია. ამასთან, მმართველი ორგანო საზოგადოების გამოცემაში აქვეყნებს საქმის აღძვრის და ზეპირი მოსმენის თარიღის შესახებ ინფორმაციას. სააქციო საზოგადოების მართვის ფრანგული მოდელი ხასიათდება იმით, რომ საზოგადოებას კანონით დაგენილი ორი ვარიანტიდან შეუძლია მართვის ერთ-ერთი სისტემა აირჩიოს: მართვის ორდონიანი ან სამდონიანი სისტემა. პირველი ვარიანტი – ეგრეთწოდებული კლასიკური მართვაა, როცა სს-ის მართვას ადმინისტრაციული საბჭო ახორციელებს (ადმინისტრაციის საბჭო) რომელიც ირჩევს პრეზიდენტს. მეორე ვარიანტია ახალი ტიპის მართვა, რომელიც გერმანული კანონმდებლობიდანაა ნასესხები, როცა სს-ს ხელმძღვანელობს დირექტორატი, სადამკვირვებლო საბჭო კი მისი საქმიანობის კონტროლს ახორციელებს. სს-ის მართვის ერთ-ერთი ვარიანტი საზოგადოების წესდებით უნდა იყოს განსაზღვრული. კლასიკური მართვისას სს-ს ხელმძღვანელობს ადმინსტრაციული საბჭო, რომელიც მინიმუმ სამი პირისგან (ადმინისტრატორისგან) შედგება, მაგრამ არა უმეტეს 24 წევრისა საზოგადოების კაპიტალის მოცულობიდან გამომდინარე. ადმინისტრატორებს ნიშნავს აქციონერთა საერთო კრება არაუმეტეს ექვსი წლის ვადით. თუმცა, წესდებით შეიძლება ნაკლები ვადა იყოს დადგენილი. ადმინისტრატორი შეიძლება გადაირჩეს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ის შეიძლება გაწვეულ იქნეს ნებისმიერ მომენტში მორიგი საერთო კრების მიერ. ადმინისტრატორად შეიძლება დაინიშნოს ფიზიკური (მათ შორის უცხოელი) ან იურიდიული პირი, რომელიც ამ შემთხვევაში ვალდებულია განსაზღვროს მუდმივი წარმომადგენელი. ფიზიკური პირი არ უნდა იყოს ერთდროულად რვაზე მეტი სს-ის ადმინისტრაციულ საბჭოში საფრანგეთის ტერიტორიაზე. 1986 წლიდან კანონმდებლობაში გათვალისწინებულია, რომ სს-ის წესდებაში შეიძლება ჩაიწეროს, რომ ადმინისრატორე-

ბი მოსამსახურეთა რიცხვიდანაც შეიძლება შეირჩნენ. მოსამსახურე-ადმინისტრატორების რიცხვი არ უნდა იყოს ოთხზე მეტი და ადმინისტრაციული საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის ერთ მესმედზე მეტი; ასეთი ადმინისტრატორები ადმინისტრატორთა მინიმალური და მაქსიმალური რიცხვის განსაზღვრისას არ ჩაითვლება. ადმინისტრაციული საბჭოს შემადგენლობაში არჩევის აუცილებელი პირობაა (მათ შორის მოსამსხურეთათვის) რომ ეს პირი საზოგადოების წესდებით განსაზღვრული აქციების რაოდენობის მფლობელი იყოს, (გარანტირებული, ან კვალიფიკაციური აქციები) რომელიც მას მორიგ სერთო კრებაზე დასწრების უფლებას აძლევს. ადმინისტრაციულ საბჭოს ფართო უფლებამოსილებები ენიჭება, რათა საზოგადოების სახელით იმოქმედოს. ის ახორციელებს ამ უფლებამოსილებებს საზოგადოების საქმიანობის საგნის ფარგლებში იმ უფლებამოსილებების დაცვით, რომლებსაც კანონი პირდაპირ ანიჭებს აქციონერთა კრებებს. ადმინისტრაციულ საბჭოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ წევრთა ნახევარი მაინც ესწრება კრებას. ადმინისტრატორები ანაზღაურებას იღებენ დასწრების აღმნიშვნელი ჟეტონებით.

ადმინისტრაციული საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს პრეზიდენტს, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, და განსაზღვრავს მის ანაზღაურებას. წესდებაში განსაზღვრულია პრეზიდენტის ასაკობრივი ცენზი (არაუმეტეს 65 წელი) პრეზიდენტი თავისი პასუხისმგებლობით ახორციელებს საზოგადოების საერთო ხელმძღვანელობას, წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში. პრეზიდენტის წინადადების საფუძველზე ადმინისტრაციულ საბჭოს შეუძლია ფიზიკურ პირს მიანიჭოს გენერალური დირექტორის უფლებამოსილებები პრეზიდენტის დახმარების მიზნით. გენერალური დირექტორისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების მოცულობას და ვადას განსაზღვრავს ადმინისტრაციული საბჭო პრეზიდენტთან შეთანხმებით. გენერალური დირექტორის პოსტი (ზოგიერთ სს-ში შეიძლება ორი გენერალური დირექტორი დაინიშნოს) შეიძლება დაიკავოს მხოლოდ ფიზიკურმა პირმა, რომელიც 65 წლის მიღწევისას უნდა გადადგეს თანამდებობიდან. გენერალურ დირექტორს, მესამე პირების მიმართ ისეთივე

უფლებამოსილებები გააჩნია, როგორიც პრეზიდენტს. ახალი ტიპის ხელმძღვანელობა საფრანგეთში (მართვის გერმანული ვარიანტი) შემდეგში მდგომარეობს: სააქციო საზოგადოებას მართავს დირექტორატი (მმართველი ორგანო) რომელიც არაუმეტს ხუთი წევრისაგან შედგება. მცირე საწესდებო კაპიტალის მქონე სს-ში დირექტორისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულება ერთ პირს შეუძლია (რომელსაც, ამ შემთხვევაში, გენერალური

დირექტორატი თავის ფუნქციებს სადამკვირვებლო საბჭოს მეთვალყურეობის ქვეშ ასრულებს. დირექტორატის წევრებს ნიშნავს სადამკვირვებლო საბჭო, რომელიც ერთ-ერთ მათგანს აკისრებს პრეზიდენტის უფლება-მოვალეობებს. დირექტორატის წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები, რომლებიც არაა სავალდებულო იყვნენ აქციონერები. დირექტორატის მანდატის მოქმედების ვადაა ოთხი წელი. დირექტორატის წევრები შეიძლება იყვნენ სს-ის მოსამსახურეებიც, სადამკვირვებლო საბჭო დირექტორატის თითოეული წევრის ანაზღაურების ნორმას და ოდენობას განსაზღვრავს, დირექტორატს ფართო უფლებამოსილებები ენიჭება, რათა ნებისმიერ ვითარებაში სს-ის სახელით იმოქმედოს. არანაკლებ კვარტალში ერთხელ დირექტორატი წარუდგენს ანგარიშს სადამკვირვებლო საბჭოს, რომელიც თავის მხრივ დირექტორატის მოხსენების თაობაზე წარადგენს დასკვნას, ასევე წლიური ანგარიშების შესახებ დასკვნას წარუდგენს საერთო კრებას, საზოგადოების მართვის, რომელიც დირექტორატს ეკისრება, მუდმივ კონტროლს ახორციელებს სადამკვირვებლო საბჭო (ზოგჯერ მას საკონტროლო საბჭოს უწოდებენ). სადამკვირვებლო საბჭოს წევრებს ნიშნავს დამფუძნებელი კრება ან მორიგი საერთო კრება, მათი უფლებამოსილების ვადას ადგენს წესდება, მაგრამ არაუმეტეს ოთხი წლისა. სადამკვირვებლო საბჭოში შეიძლება დაინიშნონ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები, იმ პირობით, რომ სადამკვირვებლო საბჭოს ყოველი წევრი უნდა ფლობდეს წესდებით განსაზღვრული მოცულობის აქციებს, ასეთი წევრების გარდა სადამკვირვებლო საბჭოში შედიან საზოგადოების მოსამსახურეთა მიერ არჩეული წევრები. სადამკვირვებლო საბჭოს წევრების მიერ ფუნქციების შეთავსების წესი განისაზღვრება კანონით,

სადამკვირვებლო საბჭოს წევრები ყოველწლიურად იღებენ ანაზღაურებას მათი საქმიანობისათვის (დასწრების ჟეტონების მიხედვით) აქციონერთა საერთო კრების მიერ დადგენილი ფიქსირებული თანხის სახთ. სადამკვირვებლო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს, რომლებიც მხოლოდ ფიზიკური პირები შეიძლება იყვნენ. მათ ევალებათ საბჭოს მოწვევა და მისი საქმიანობის ხელმძღვანელობა. მათ შეიძლება მიეცეთ ანაზღაურება შესრულებული სამუშაოსათვის, სადამკვირვებლო საბჭო ისეთ საკონტროლო და შემოწმების მოქმედებებს ასრულებს, რომლებიც მიზანშეწონილად მიაჩნია: სადამკვირვებლო საბჭოს შეუძლია მოითხოვოს საზოგადოების ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც მას თავისი ფუნქციების შესასრულებლად ესაჭიროება. აქციონერთა საერთო კრებები არის მორიგი, საგანგებო და სპეციალური. მორიგი კრება მოიწვევა არანაკლებ წელიწადში ერთხელ, ასეთი კრება გადაწყვეტილებას იღებს ყველა საკითხზე, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც საგანგებო კრების გამგებლობას ექვემდებარება. მორიგი კრების კომპეტენციას განეკუთვნება ადმინისტრაციული საბჭოს წევრების არჩევა (მათი გაწვევა), მათთვის ანაზღაურების დანიშვნა, რევიზორების დანიშვნა, წლიური ანგარიშებისა და ანგარიშგების დამტკიცება. საგანგებო კრებები მოიწვევა, როგორც წესი, წესდებაში ცვლილებების შესატანად. გადაწყვეტილებები ამგვარ კრებებზე მიიღება დამსწრე, ან წარმოდგენლი წევრების ხმების უმრავლესობით (ორი მესამედით). სპეციალურ კრებებში მონაწილეობენ ერთი რომელიმე სახის აქციათა მფლობელები. საერთო კრების გადაწყვეტილება რომელიმე კატეგორიის აქციათა მფლობელების უფლებათა ცვლილების შესახებ საბოლოოა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას დაეთანხმება სპეციალური კრება. ფინანსურ კონტროლს სს-ში ახორციელებს ანგარიშების ერთი ან მეტი რევიზორი. რევიზორთა სამსახური 1984 წლის 1 მარტის დეკრეტით იქნა შემოღებული. ყოველ სს-ში სულ მცირე ერთი რევიზორი მაინც უნდა იყოს, ხოლო საზოგადოების დანაზოგებთან მომუშავე სს-ში – ორი რევიზორი. რევიზორები ადასტურებენ, რომ ყოველწლიური ანგარიშები „რეგულარული და წესივრულია“ და სწორად ასახავს საანგარიშო პერიოდში კომპანიის საქმიანო-

ბას, ასევე მის ფინანსურ და ქონებრივ მდგომარეობას. ამგვარად, ევროპული კორპორატიული მართვის კონცეფციას საფუძვლად უდევს თავისუფალი არჩევანის პრინციპი, რის გამოც ევროპული კანონმდებლობები არ ესწრაფვიან ყველა პროცედურის დეტალურ რეგლამენტირებას. 2002 წელს გამოქვეყნდა ევროპის კომპანიების სამართლის სფეროში რეგულირების თანამდროვე საფუძვლების შესახებ ანგარიში (Reporton a Modern Regulatory framework for company Law – "Winter Report"). ამ დოკუმენტში შემოთავაზებულია კოლექტიური პასუხისმგებლობის დაკისრება დირექტორთა საბჭოს ყველა წევრზე არამხოლოდ ფინანსური ანგარიშგების, არამედ იმ ანგარიშების წარმოდგენისთვის, რომლებიც ფისკალური ხასიათის არაა, მაგრამ კომპანიის საქმიანობის საკვანძო ასპექტებს ასახავს, მაგალითად, რისკების მართვის სისტემა, ბიზნეს-პროექტები. ანგარიშში ევროპის კავშირის ქვეყნებისათვის უნივერსალური სანქციის შემოღებაა შემოთავაზებული გენერალური დირექტორის დისკვალიფიკაციის სახით. ანგარიშის შემქმნელთა აზრით, ევროპის კავშირის ტერიტორიაზე კომპანიის დირექტორის თანამდებობის დაკავების აკრძალვა უფრო ქმედითი ღონისძიებაა, ვიდრე სისხლის და სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობის ზომები, რომლებიც რთული განსახორციელებელია, დროში მეტისმეტად გაწელილია და პრაქტიკაში აუცილებელი პრევენციული ზემოქმედება არ გააჩნია.[53]

კორპორატიული მართვის მოდელები აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობის მიხედვით

დიდ ბრიტანეთში კომპანიის მართვა მონისტურ პრინციპზეა დამყარებული, ანუ ერთიანი მართვის პრინციპზე (board system). კონტინენტურ სამართალში არსებული სს-ის მართვის სამდონიანი სისტემისგან განსხვავებით, ინგლისისთვის მართვის ორდონიანი სისტემაა დამახასიათებელი. კომპანიების შესახებ 1985 წლის კანონის თანახმად, კომპანიის ორგანოებია: ა) კომპანიის დირექტორები და მდივანი; ბ) აქციონერთა საერთო კრება.

53 http://lawtoday.ru/razdel/biblo/korpar-prav/ გვ.52

დირექტორები. კომპანიის საქმიანობის მართვა ხორციელდება დირექტორების მიერ იმ უფლებამოსილებათა აღსასრულებლად, რომლებიც კომპანიას განეკუთვნება. დირექტორები კომპანიის მიმდინარე მართვის სტრუქტურას განსაზღვრავენ. მათ უფლება აქვთ შექმნან ნებისმიერი კომიტეტები, რომლებშიც ერთი ან რამდენიმე დირექტორი შედის. მათ ასევე შეუძლიათ თავისი უფლებამოსილებების დელეგირება მმართველი დირექტორისთვის ან კომპანიის შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს მმართველი ნებისმიერი სხვა დირექტორისთვის. აღნიშნული პირების უფლებამოსილებები ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყვეტილ იქნეს. ზოგადი წესით დირექტორები ქმნიან დირექტორთა საბჭოს, რომელსაც თავმჯდომარე ხელმძღვანელობს. საბჭოს შემადგენლობაში შედიან დირექტორები, რომლებსაც მენეჯერის თანამდებობა უკავიათ (აღმასრულებელი დირექტორები). ყოველ დირექტორს აქვს ალტერნატიული დირექტორის დანიშვნის უფლება, რომელიც ძირითადი დირექტორის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის უფლება-მოვალეობებს, გადამწყვეტი ხმის უფლებით დირექტორთა საბჭოში მონაწილეობის უფლების ჩათვლით. ძირითად დირექტორს შეუძლია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს ალტერნატიული დირექტორი თანამდებობიდან. საჯარო კომპანიებში არანაკლებ ორი დირექტორი უნდა იყოს, კერძო კომპანიებში კი შეიძლება იყოს ერთი დირექტორი. თუ კომპანია შიდა რეგლამენტის A ცხრილის მიხედვით რეგისტრირდება, მაშინ მას ორი დირექტორი უნდა ჰყავდეს. დირექტორთა მაქსიმალური რიცხვი კანონით არ არის დადგენილი. პირველი დირექტორები უნდა დასახელდეს კომპანიის შექმნის შესახებ განცხადებაში. პირველი დირექტორები თავის უფლებამოსილებებს კომპანიის წევრთა პირველ წლიურ შეკრებამდე ასრულებენ. პირველი საერთო სხდომა ნიშნავს დირექტორებს კომპანიის წევრთა მიერ ჩვეულებრივი რეზოლუციის მიღების გზით ხმათა უმრავლესობით. დირექტორებად შეიძლება არჩეულ იქნენ როგორც პირველი დირექტორები ან კომპანიის სხვა წევრები, ისე სხვა პირები, რომლებიც არ არიან კომპანიის წევრები. თუმცა, ამ პირებმა დანიშვნიდან გარკვეულ ვადაში მემორანდუმში მითითებული ოდენობის აქციები უნდა შეიძინონ. დირექტორის თანამდე-

ბობაზე პირების დანიშვნა ხდება როტაციის საფუძველზე. ყოველ საერთო კრებაზე ირჩევა მოქმედი დირექტორების 1/3 იმ პირობით, რომ ახლად არჩეული დირექტორები წარედგინონ დარჩენილ 2/3-ს. კომპანიის დირექტორებად არჩეული პირები უნდა აკმაყოფილებდნენ კანონში მითითებულ მოთხოვნებს. კერძოდ ბიზნესის სფეროში სპეციალობის თაობაზე; ცნობები დირექტორის თანამდებობაზე ყოფნის შესახებ როგორც წარსულში, ისე ამჟამად; ასაკი და სხვა მონაცემები, რომლებიც ადასტურებს, რომ პირს შეუძლია მართოს კომპანია. კომპანიის წევრებს ნებისმიერ დროს შუძლიათ ვადამდე გაათავისუფლონ ნებისმიერი დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან და მის ნაცვლად სხვა დირექტორი აირჩიონ დარჩენილი პერიოდისთვის. დირექტორები სამუშაოს შესრულებისათვის ღებულობენ ანაზღაურებას, რომელსაც განსაზღვრავს კომპანიის წევრთა საერთო კრება ჩვეულებრივი რეზოლუციის მიღების გზით. ანაზღაურება დგინდება ნამუშევარი კვირის დღეების მიხედვით, თუმცა, საერთო კრების რეზოლუციაში ანაზღაურების სხვა წესი შეიძლება იყოს დადგენილი. გარდა ანაზღაურებისა, დირექტორებს აქვთ მათი კუთვნილი აქციებიდან დივიდენდების მიღების უფლება. გარდა ამისა, დირექტორებს უნაზღაურდებათ თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი[54]. თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას დირექტორები კომპანიის და მისი წევრების ინტერესებს უნდა იცავდნენ. ამასთან დაკავშირებით დირექტორებს შემდეგი მოვალეობები აკისრიათ:

1) ფიდუციალური პასუხისმგებლობა;
2) კეთილსინდისიერება სამსახურებრივი ვალის მიმართ (bona fide);
3) კომპანიის მართვისა და მოვლა-პატრონობის უნარი (skill and care);
4) კომპანიის ინტერესების დაცვის ვალდებულება იმ გარიგებების დადებისას, რომლებსაც დირექტორებისთვის სარგებელი მოაქვთ.[55]

54 http://www.goodwin-gmc.com/wp-content/uploads/2010/02/TableA.pdf
55 Петровичева Ю. В. *Акционерное законодательство Англии.*, 2002. გვ. 128

2003 წლის იანვარში გამოქვეყნდა ეგრედწოდებული ჰიგსისა და სმიტის ანგარიშები, რომლებიც დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის დავალებით იქნა შემუშავებული. ამ ანგარიშების[56] ძირითადი იდეაა კორპორაციის დამოუკიდებელი დირექტორების მიმართ არსებული მოთხოვნების გამკაცრება, ასევე აუდიტის კომიტეტების როლის გაძლიერება. ორივე დოკუმენტი ლონდონის საფონდო ბირჟის გაერთიანებული კოდექსის დამატებაა და რეკომენდებულია გამოსაყენებლად 2003 წლიდან. კომპანიის მდივანს ნიშნავენ დირექტორები, ის აწარმოებს კომპანიის სარეგისტრაციო წიგნებთან დაკავშირებულ ყველა საქმეს და კომპანიის სხვა საორგანიზაციო ფუნქციებს ასრულებს. კომპანიების შესახებ 1985 წლის კანონი ადგენს გარკვეულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი კომპანიის მდივნად დანიშვნისათვის. აქციონერთა (კომპანიის წევრთა) საერთო კრება კომპანიების შესახებ კანონით არ განიხილება, როგორც კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანო. იმ საკითხებს, რომლებსაც კომპანიის აქციონერთა კრება გადაწყვეტს, განეკუთვნება კომპანიის შექმნის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის საკითხები; კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტების დამტკიცება და ცვლილება; კომპანიის დირექტოებისა და აუდიტორის არჩევა; კომპანიის დირექტორების წინადადებით დივიდენდების გადახდა; აქციებისა და სხვა ქონების შესყიდვასთან დაკავშირებული გარიგებების დადება; განსაზღვრულ ოდენობაზე დიდი სესხების მიღება დირექტორების მიერ; დირექტორების მიერ მესამე პირებთან განსაზღვრულ ოდენობაზე დიდ თანხებთან დაკავშირებული გარიგებების დადება. საერთო კრებას უფლება აქვს მიიღონ ჩვეულებრივი რეზოლუციები ხმათა უბრალო უმრავლესობით, საგანგებო რეზოლუციები – ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით, რომლებიც კომპანიის სააქციო კაპიტალის ¾-ს წარმოადგენენ. სააქციო კაპიტალის მქონე კომპანიის თითოეულ წევრს ყოველ აქციაზე, ან კომპანიის სააქციო კაპიტალში მისი წილის

56 Приходина Ю. А. *От качества корпоративного управления – к инвестиционной привлекательности компаний//Право и экономика.* 2003. N 5

ყოველ 10 ფუნტ სტერლინგზე ერთი ხმა აქვს. ყველა სხვა შემთხვევაში, კენჭისყრა ტარდება პრინციპით – კომპანიის ყოველ წევრს – თითო ხმა. ჩვეულებრივი კენჭისყრა ტარდება ხელის აწევით და კუთვნილი აქციები მხედველობაში არ მიიღება. თუმცა, კრედიტორებს უფლება აქვთ მოითხოვონ აქციების რაოდენობის მიხედვით კენჭისყრა. ასეთი მოთხოვნა უნდა მოდიოდეს ხმის უფლების მქონე კომპანიის წევრთა არანაკლებ ორი წევრისაგან ან კომპანიის წევრებისგან, რომელთა აქციებიც კომპანიის მთელი სააქციო კაპიტალის არანაკლებ 1/10-ს შეადგენს.[57]

აშშ-ში მოქმედი სამეწარმეო კორპორაციების მართვის სტრუქტურა ორრგოლიანია. კორპორაციის მმართველი ორგანოებია დირექტორთა საბჭო და აქციონერთა საერთო კრება. მაგრამ ზოგჯერ კორპორაციების მართვის ამერიკულ სისტემაში მართვის მესამე რგოლიც გამოიყოფა – აღმასრულებელი ორგანო კორპორაციის პრეზიდენტის სახით.

დირექტორთა საბჭო ხელმძღვანელობს კორპორაციის მთელ საქმიანობას. ყველა შტატის კანონები შეიცავს დაახლოებით ასეთ დებულებებს: „კორპორაციის ყველა უფლებამოსილება ხორციელდება დირექტორთა საბჭოს მიერ, ან მისი ხელმძღვანელობით და კორპორაციის მთელი საქმიანობა ხორციელდება დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობით, რომლის კომპეტენციაც წესდებაში შეიძლება იყოს განსაზღვრული." დირექტორთა რიცხვი უნდა იყოს არანაკლებ სამი, მაგრამ თუ აქციები ჯარ არ არის გამოშვებული, შეიძლება იყოს ორი ან ერთი დირექტორი. თუ კორპორაციაში ერთი აქციონერია, შესაძლოა ერთი ან ორი დირექტორის დანიშვნა, ხოლო ორი აქციონერის არსებობის შემთხვევაში – სამი დირექტორის. დირექტორი შეიძლება არც იყოს კორპორაციის აქციონერი. ჩვეულებრივ, დირექტორებს ირჩევენ ერთი წლით, გადარჩევის უფლებით. ამასთან დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში დაცული უნდა იყოს უფლებამონაცვლეობის (მემკვიდრეობითობის) პრინციპი. დირექტორი შეიძლება გადაყენებული იქნეს თანამდებობიდან საერთო კრების მიერ გარკვეული საფუძვლების არსე-

57 Петровичева Ю.В. *Указ.* соч. გვ. 151-152.

ბობისას (სიცრუე, თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, დანაშაულის ჩადენა) ხოლო თუ კანონით დაშვებულია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. დირექტორთა საბჭო სხვადასხვა კომიტეტებს ქმნის. კომიტეტების ფუნქციებში შედის რისკების შიდა კონტროლისა და მართვის სისტემების ფუნქციონირების ანალიზი, საანგარიშო წლის წინასწარი შედეგების ანალიზი, წლიური ფინანსური ანგარიშგების ანალიზი, კანონმდებლობის დაცვის, კორპორატიული მართვის კონტროლი. ერთ-ერთი ძირითადი კომიტეტი არის აუდიტორული კომიტეტი. თაღლითობასთან ბრძოლის შესახებ 2002 წლის კანონის (ეგრეთწოდებული სარბაინს-ოქსლის კანონი) შესაბამისად სააუდიტორო კომიტეტები კორპორაციაში საკონსულტაციო ორგანოების ნაცვლად მთავარი მაკონტროლებელი ორგანოების ფუნქციას იძენს. მათ გამგებლობაში გადადის აუდიტორების დანიშვნის, მათი ჰონორარის განსაზღვრის, ასევე ყველა იმ სამუშაოს დამტკიცების საკითხები, რომლების შესრულებაც აუდიტორებს ევალებათ. სააუდიტორო კომიტეტის წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ დირექტორთა საბჭოს დამოუკიდებელი წევრები. მათ ეკრძალებათ რაიმე სახის ანაზღაურების მიღება კონსულტაციებისა და რჩევებისათვის და კომპანიასთან ან შვილობილ სტრუქტურებთან ყოველგვარი კავშირი, გარდა დირექტორთა საბჭოში და მის მიერ შექმნილ კომიტეტებში მონაწილეობისა.[58]

დირექტორთა საბჭოსა და კორპორაციის აქციონერთა შორის ურთიერთობებს საფუძვლად უდევს სააგენტო ურთიერთობების კონცეფცია: დირექტორები ზოგადად კორპორაციის და აქციონერების ნდობით აღჭურვილი პირები (აგენტები) არიან. ამიტომ, მათ ეკისრებათ „ნდობით აღჭურვილი პირების მოვალეობები“ (fiduciary duties), რომლებიც ტრადიციულად ორ კატეგორიად იყოფა – „ლოიალურობის ვალდებულება“ (duty of loyalty) და „სათანადო მოვლა-პატრონობის ვალდებულება (duty of care). აქციონერთა ზოგად კრებას აშშ-ის კანონმდებლობა ძირითადად აკისრებს დირექტორების არჩევას, კორპორაციის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების და სხვა მნიშვნელოვანი და ზოგადი საკითხების გადაწყ-

58 Соколов В. *Акт Сарбайнса – Оксли//Юрист и бухгалтер.* 2003. N 12. გვ. 56.

ვეტას. კორპორატიული მართვის ამერიკული მოდელი 2000 წლის დასაწყისიდან ცვლილებებისა და რეფორმირების პროცესშია, რაც რიგი კორპორაციული სკანდალებით არის გამოწვეული, რომელმაც შეძრა ამერიკის ფინანსური ბაზარი. სკანდალი დაიწყო კონცერნ ენრონიდან (Enron) – უმსხვილესი ენერგეტიკული კომპანია, რომელმაც 2001 წელს თავი გაკოტრებულად გამოაცხადა. კომპანიამ აღიარა, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე მისი მოგების რეალური მაჩვენებლები დაახლოებით 600 მილიონი დოლარით იყო შეგნებულად შემცირებული. თავისი ფინანსური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად კომპანია იყენებდა შვილობილ სტრუქტურებთან ურთიერთჩათვლების რთულ სისტემას. აუდიტორული ფირმა „არტურ ანდერსენი“ (Arthur Andersen) ადასტურებდა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ნამდვილობას. გარდა ამისა, ფირმა Arthur Andersen კომპანია Enron-ის გარე შემოწმებას ახორციელებდა, იმავდროულად მისი შიდა აუდიტორი იყო და საკონსულტაციო მომსახურებას უწევდა ფინანსური მენეჯმენტის საკითხებში. მხოლოდ 2000 წელს ფირმა Arthur Andersen-ის „მომსახურების“ საფასურმა 50 მილიონ დოლარს გადააჭარბა. [59]

შემდგომმა გამოძიებამ დაადგინა, რომ კომპანია Enron-ი ერთადერთი „გზააბნეული ცხვარი“ არ იყო ამერიკის კეთილშობილი კორპორაციების თანამეგობრობაში, რომ ფინანსური შედეგების გაყალბებამ შემაშფოთებელი მასშტაბები შეიძინა და კომპანიების რიცხვი, რომლებიც ანგარიშგების არასწორად მითითებაში არიან შემჩნეული, დღითი დღე მატულობს. ინვესტორები პანიკამ მოიცვა და მათ დაიწყეს უკლებლივ ყველა კომპანიის აქციების მოშორება, განურჩევლად იმისა, კეთილსინდისიერად აწარმოებდნენ ისინი საქმეებს თუ არა. როგორც პრესაში აღინიშნა „ამერიკის კორპორაციულმა სისტემამ ისეთი მყრალი სუნი აუშვა, რომ არცთუ ფაქიზი ყნოსვის ადამიანებიც, იძულებული არიან ცხვირზე ხელი წაიჭირონ“[60]. სკანდალის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი კორპორაციული მართვის ამერიკული მოდელის თავისებურებაა, რომელიც

59 Антонец О. *Скандал в корпоративном семействе//Директор.* 2002. N 28.
60 *Безумие по-американски//Санкт-Петербургские ведомости.* 2002. 29 июня.

სააქციო კაპიტალის უკიდურეს გაფრქვევაში მდგომარეობს: კორპორაციების უმრავლესობის რეესტრში არ ირიცხება აქციონერები, ვისი წილიც ერთობლივი კაპიტალის ერთ პროცენტზე მეტი იქნებოდა. ერთი მხრივ, ეს აადვილებს აქციების გადაცემას ერთი მესაკუთრიდან მეორეზე. მეორე მხრივ, ეგრეთწოდებულ დაქუცმაცებულ ინვესტორს არ აქვს კომპანიის საქმეების გაკონტროლების შესაძლებლობა, ის ძალზე მგძნობიარეა ინფორმაციის მისაწვდომობის, წარუმატებლობის ყოველგვარი გარეგნული გამოვლინებების მიმართ. ის თავის ფულს მხოლოდ იმ კომპანიის აქციებში დააბანდებს, რომელიც მისადმი მეგობრულ დამოკიდებულებას დაადასტურებს. ასეთი ინვესტორები მხარდაჭერას „ფეხებით" ადასტურებენ, ანუ ყიდიან აქციების პაკეტს მომავალში შესაძლო პრობლემების თაობაზე ოდნავი დაეჭვებისთანავე. ასეთ სიტუაციაში ამერიკული კორპორაციის დირექტორთა საბჭოს მუშაობას ორი ფუნდამენტური პრინციპი განაპირობებს: დირექტორთა საბჭოს წევრები აქციონერთა ერთიანი კოლექტივის წარმომადგენლები არიან და საერთო ინტერესების დაცვას უნდა ემსახურებოდნენ; აქციების მფლობელები ერთადერთი ჯგუფია, რომელიც დირექტორთა საბჭოს ირჩევს, და დირექტორთა საბჭოს წევრები ამ ჯგუფის ინტერესებს უნდა ემსახურებოდნენ, რათა მეტი მოგება მოუტანონ ნებისმიერი საშუალებებით. „აქციონერთა კულტი" თაღლითური საბუღალტრო ხრიკების ფართოდ გავრცელების უმთავრესი მიზეზია. ეს სტრატეგია აქციონერთა სიმდიდრის მაქსიმიზაციას გულისხმობდა, ანუ ხელს უწყობდა აქციების საბაზრო ღირებულების განუხრელ ზრდას. საკუთარი აქციების კოტირების ზრდის შესანარჩუნებლად კორპორაციას ესაჭიროებოდა მოგების ზრდის ტემპების არამხოლოდ შენარჩუნება, არამედ მათი მატების შესახებ მუდმივი ანგარიშგება. ეს კი გარდაუვალ სიცრუეს იწვევდა, აიძულებდა ემიტენტებს გაეყალბებინათ შედეგები, რათა ინვესტორის იმედი არ გაეცრუებინათ. შედეგად გაჩნდა სხვაობა საანგარიშო მოგებასა და ნამდვილ მოგებას შორის, რამაც გამოიწვია კიდეც კრიზისი. სკანდალის დასაძლევად პირველ რიგში 2002 წელს მიღებული იქნა სარბაინს-ოქსლის კანონი და შემუშავდა ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის ლისტინგის ახალი წესები კორპორატიული მარ-

თვის ნაწილში. კერძოდ, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის ლისტინგის წესები შეიცავს მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ დირექტორთა საბჭოში ხმათა უმრავლესობა უნდა ეკუთვნოდეს დამოუკიდებელ დირექტორებს. უნდა შეიქმნას აუდიტის, დანიშვნების, ანაზღაურების კომიტეტები, რომლებიც მხოლოდ დამოუკიდებელმა დირექტორებმა უნდა ჩამოაყალიბონ. დირექტორთა საბჭოში მუშაობისათვის ერთადერთი ანაზღაურება ხელფასი უნდა იყოს. სარბაინს-ოქსლის კანონის თანახმად, ყველა საჯარო კომპანიის გენერალური და ფინანსური დირექტორები ხელს უნდა აწერდნენ კვარტალურ და წლიურ ანგარიშგებას. მათში დარღვევების არსებობის შემთხვევაში დირექტორებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ემუქრება.

საზღვარგარეთის ქვეყნების კორპორაციების ქცევის სტანდარტები

გასული საუკუნის 90-იან წლებში აშკარად გამოიკვეთა კორპორაციების საკანონმდებლო რეგულირებიდან – კორპორატიული კანონმდებლობის შემდგომი განვითარებისა და დახვეწის პირობებში – მათი თვითრეგულირებაზე გადასვლის ტენდენცია. ეს გამოიხატება კორპორატიული ნორმების – ქცევის ისეთი წესების ჩამოყალიბებაში, რომლებსაც თავად კორპორაცია ადგენს, რომლებიც აუცილებელია კორპორაციისა და მისი წევრებისათვის, ეს მიიღწევა არა სახელმწიფოს მხრიდან იძულების წესით, არამედ ზემოქმედების სხვა ზომებით მათი დარღვევის შემთხვევაში. კორპორაციულ ნორმებს მორალურ-ეთიკური კატეგორიები, სამართლიანობის, გონივრულობისა და კეთილსინდისიერების პრინციპები უდევს საფუძვლად. ასეთი კორპორაციული ნორმების მოქმედების მიზანია აქციონერთა, განსაკუთრებით მინორიტარულ აქციონერთა, ასევე ინვესტორების ინტერესების მაქსიმალური დაცვა მენეჯმენტის მხრიდან სხვადასხვა დარღვევებისაგან. კორპორატიული ნორმები არანაირად არ ჩაანაცვლებს კორპორატიული კანონმდებლობის ნორმებს, ისინი მხოლოდ ავსებს ამ ნორმებს და იმ სფეროებში მოქმედებს, სადაც კანონმდებლობის ნორმებით რეგუ-

ლირება არაეფექტიანია, ან ვერ აღწევს სასურველ შედეგს. კორპორატიული ნორმების საფუძველია კორპორაციის ქცევის განმსაზღვრელი ზოგადი სტანდარტები ანუ ორიენტირები იმისა, თუ რისკენ უნდა ისწრაფოდეს კორპორაცია, როგორ უნდა აგებდეს ურთიერთობებს კორპორაციის წევრებსა და მენეჯმენტს შორის, როგორი უნდა იყოს ეფექტიანი მართვა. იგივე სტანდარტები შეიძლება იქნეს განოყენებული ამოსავალ წერტილად იმ კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შეფასებისა და დახვეწისათვის, რომლებიც კორპორატიულ კანონმდებლობას შეადგენს. კორპორაციის ქცევის სტანდარტების, კორპორატიული ნორმებისა და კორპორატიული კანონმდებლობის თანაფარდობა შემდეგი სქემით შეიძლება გამოისახოს:

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ამერიკასა და იაპონიაში ეკონომიკური ზრდის რამდენიმე ათეული წლის მანძილზე დაგროვდა აურაცხელი ფინანსური რესურსი. საინვესტიციო ინსტიტუტები, რომლებსაც ისინი მართავენ, დაბანდების ახალ, უფრო მომგებიან სფეროებს ეძებენ, ატარებენ რა უფრო აგრესიულ საინვესტიციო პოლიტიკას, ვიდრე ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტები (პირველ რიგში ბანკები). ეს პროცესები დაემთხვა ეკონომიკურ განვითარებაში კერძო სექტორის როლის მკვეთრ ზრდას, ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობის მთავრობების მიერ კერძო მეწარმეობის ამ პროცესის ძირითად მამოძრავებელ ძალად აღიარება და ეკონომიკაში სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილობის მკვეთრ შეზღუდვას, რამაც ახალი სტიმული მისცა XX საუკუნის 90-იან წლებში საინვესტიციო რესურსებზე მოთხოვნის მკვეთრ ზრდას და მათი მოპოვებისთვის სხვადასხვა ქვეყნებსა და კომპანიებს შორის ბრძოლაში კონკურენციის გაძლიერებას[61]. ასეთ სიტუაციაში რესურსების მოზიდვისა და მათი მაქსიმალური გამოყენების უნარის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია კომპანიაში კორპორატიული მართვის მდგომარეობა, კომპანიის აქციონერებსა და მენეჯმენტს შორის ურთიერთობების რეგულირება აქციონერთა ყველა ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებით, აქციონერებისა და ინვესტორე-

61 *Корпоративное поведение.*/Под ред. И.В. Костикова. გვ. 23.

ბის უფლებების დაცვა. ამ მიზნით, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია და საერთაშორისო ინსტიტუციონალური ინვესტორები – საპენსიო და საინვესტიციო ფონდები შეუდგნენ კორპორატიული მართვის კოდექსების შემუშავებას და დანერგვას, რომლებიც მოწოდებული იყო, დაერწმუნებინათ ინვესტორები, აქციონერები იმაში, რომ კორპორაცები ყველა აქციონერის ინტერესებში იმოქმედებენ, შეუქმნიან მათ შესაძლებლობას კორპორაციაში საქმის ვითარების შესახებ საკმარისი ინფორმაციის მისაღებად. კორპორაციების საქმიანი ქცევის ასეთი სტანდარტები შესაძლოა თავად კორპორაციებმა და მათმა გაერთიანებებმა შეიმუშავონ. ასე, 1994 წელს „ჯენერალ მოტორსის" დირექტორთა საბჭომ შეიმუშავა კორპორატიული მართვის ძირითადი მიმართულებები და პრობლემები. რომელთა დაცვასაც გვირჩევენ ამერიკელი ინსტიტუციური ინვესტორები, „კორპორაციის პრაქტიკის" ერთ-ერთი პირველი რიგის სტანდარტებს წარმოადგენს ეთგო-ის მიერ წარმოდგენილი კორპორატიული მართვის პრინციპები[62]. მათ მომზადებაში ეთგო-ის რადენიმე კომიტეტმა მიიღო მონაწილეობა: ფინანსური ბაზრების კომიტეტმა, საერთაშორისო ინვესტიციებისა ტრანსნაციონალური საწარმოების კომიტეტმა, ასევე, გარემოს დაცვის დარგში პოლიტიკის საკითხების კომიტეტმა. მათ შემუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიო ბანკმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, საქმიანმა წრეებმა, ინვესტორებმა, პროფკავშირებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა. კორპორატიული მართვის პრინციპები (შემდეგ – ეთგო-ის პრინციპები) ხელმოწერილ იქნა მინისტრების დონეზე 1999 წლის 26-27 მაისის ეთგო-ის საბჭოს სხდომაზე მინისტრების მიერ.

ეთგო-ის პრინციპები კორპორაციებისთვის მათი მართვის ორგანიზაციის სტანდარტებისა და რჩევების პირველი სამოდელო კრებული იყო. აუცილებელი ხასითის არ არის და არ ისახავს მიზნად ეროვნული კანონმდებლობებისათვის დეტალური მზა რეცეპტების მიწოდებას. როგორც შესავალშია ნათქვამი, „მათი ამოცანაა აღინიშნოს ამოსავალი წერტილი, რომელიც ორიენტირად გამოდგება.

62 *Принципы корпоративного управления ОЭСР*/ www.ricd.ru .

ისინი შეიძლება გამოიყენონ პოლიტიკურმა ლიდერებმა კორპორატიული მართვის სამართლებრივი და მარეგულირებელი სტრუქტურების შეფასებისა და შემუშავებისას, რომლებიც მათ ქვეყნებში არსებულ ეკონომიკურ სოციალურ, სამართლებრივ და კულტუროლოგიურ პირობებს ასახავს, ასევე ბაზრის მონაწილეებმა კორპორატიული მართვის საკუთარი პრაქტიკის შემუშავებისას."[63] პრინციპებში მოცემული რეკომენდაციები დაჯგუფებულია ხუთ ნაწილად: აქციონერთა უფლებები, აქცონერებისადმი თანაბარი დამოკიდებულება, კორპორაციის მართვაში დაინტერესებული პირების მონაწილეობის როლი, ინფორმაციის გახსნა და გამჭვირვალობა, მმართველი ორგანოს ვალდებულებები. ამ რეკომენდაციების ძირითადი იდეაა სააქციო საზოგადოებების საქმიანობაში აქციონერთა ინტერესების პრიმატი, კორპორატიული მართვა ინვესტორების (აქციონერების) ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. 2002 წლის ბოლოს საერთაშორისო ორგანიზაციებმა, სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებმა და კომპანიებმა 90-მდე კორპორაციული მართვის კოდექსი მიიღეს (ნებაყოფლობით მიღებული სტანდარტების კრებული, რომლებიც ადგენს და არეგულირებს კორპორაციული ურთიერთობის წესებს, კერძოდ აშშ-ში კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები 1998 წელს იქნა მიღებული, დიდ ბრიტანეთში განზოგადებული კოდექსი 1998 წელს მიიღეს, გერმანიაში – კორპორატიული მართვის კოდექსი – 2002 წელს, იტალიაში – კორპორატიული ქცევის კოდექსი – 1999 წელს[64]. კორპორატიული ქცევის (მართვის) კოდექსებს საფუძვლად დაედო კორპორატიული მართვის ისეთი სფეროებთან დაკავშირებული რეკომენდაციები, როგორიცაა აქციონერთა საერთო კრების ჩატარება, დირექტორთა საბჭოს არჩევა და ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველყოფა, აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობა, კორპორაციის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება, მსხვილი კორპორაციული გადაწყვეტილებების მომზადება და განხორციელება (რეორგანიზაცია, მსხვილი გარიგებები) და სხვ. ასეთი რეკომენ-

63 *Принципы корпоративного управления ОЭСР*/ www.ricd.ru .

64 *Корпоративное поведение*/Под ред. И.В. Костикова. გვ. 28-29.

დაციების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ კორპორაციის ორგანოების საქმიანობა, გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც კორპორაციის საქმეთა მდგომარეობაზე სერიოზულ გავლენას ახდენს, ისე განხორციელდეს, რომ არ ირღვეოდეს როგორც აქციონერების, ისე სხვა დაინტერესებული პირების – დაქირავებული მუშაკების, კრედიტორების, პარტნიორების, ადგილობრივი ორგანოების უფლებები და კანონიერი ინტერესები. სხვადასხვა ქვეყნებში კორპორაციული ქცევის კოდესები სხვდასხვა მარეგულირებელ ხასიათს ატარებს. ზოგ ქვეყანაში იმ საერთო აუცილებელი პირობების ნაწილია, რომლებიც უნდა დაიცვას კომპანიამ, რომ კომპანიის ფასიანმა ქაღალდებმა ბირჟაზე ლისტინგი გაიაროს. ამასთან ფასიანი ქაღალდების ემიტენტისადმი მოთხოვნების არსი მდგომარეობს არა ლისტინგიდან ამორიცხვის საშიშროების გამო შესრულებაში, არამედ ვალდებულებაში, საჯაროდ გაცხადდეს კოდექსში მოცემული წესების დარღვევის მიზეზები. მაგალითად, კომპანიები, რომელთა აქციებმაც ლონდონის საფონდო ბირჟის ლისტინგი გაიარეს, მოვალენი არიან დაიცვან განზოგადებული კოდექსი, რომელიც ლონდონის საფონდო ბირჟის ლისტინგის წესების ნაწილია. კომპანიები, რომელთა აქციებმაც ტორონტოს საფონდო ბირჟის ლისტინგი გაიარეს, არ არიან ვალდებული დაიცვან დეის კოდექსი (სანიმუშო კორპორაციული მართვის კანადური ვარიანტი), თუმცა უნდა მიუთითონ, იცავენ თუ არა ამ დოკუმენტის რეკომენდაციებს და განმარტონ საქმიანობის რეკომენდებული სტანდარტებიდან გადახვევის მიზეზები. ასეთი მოთხოვნა კოდექსის რეკომენდაციების აუცილებლობის ხარისხს მნიშვნელოვნად ზრდის. მექსიკის კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისდ, აღნიშნული კოდექსის მოთხოვნების დაცვა ნებაყოფლობითია, თუმცა საჯარო კომპანიებმა უნდა წარუდგინონ ბირჟას ანგარიში იმის თაობაზე, თუ რამდნედ იცავენ კოდექსს. კოდექსის შეუსრულებლობის შემთხვევაში მათ ის ალტერნატიული მექანიზმი უნდა მიუთითონ, რომელიც მათ პრაქტიკაში გამოიყენება[65].

65 Приходина Ю.А. *От качества корпоративного управления – к инвестиционной привлекательности компаний//Право и экономика*. 2003. N 5

კოდექსი ზოგჯერ იმ მოთხოვნათა კომპლექსის ნაწილია, რომლებიც ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულებას უკავშირდება. რიგ ქვეყნებში კოდექსი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტია და არ შეიცავს შესასრულებლად სავალდებულო მოთხოვნებს. ბრაზილიასა და მექსიკაში კორპორატიული მართვის კოდექსის დაცვა სრულიად ნებაყოფლობითია. ინდოეთსა და ტაილანდში ანალოგიური კოდექსები ასევე ნებაყოფლობითია. თუმცა მალაიზიაში, ჰონკონგსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში კორპორაციული მართვის კოდექსების ძირითადი მოთხოვნები ინფორმაციის აუცილებელი გამოქვეყნების მოთხოვნების ნაწილია. 2001 წლის ბოლოს აშშ-ში მომხდარი კორპორაციული სკანდალების შემდეგ საერთო ტენდენციად იქცა მარეგულირებელი ორგანოებისა და ბირჟების მხრიდან იმ მოთხოვნების გამკაცრება, რომლებიც კორპორაციის მიერ კორპორატიული მართვის და კოდექსის მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას ეხება[66].

66 *Корпоративное поведение*/Под ред. И.В. Костикова. გვ. 31-32.

§5. თავისუფალი ეკონომიკური ზონები, ოფშორული ზონები

ზოგადი ნაწილი

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი ზოგადად და საერთაშორისო ვაჭრობისა კერძოდ ინტეგრაციის, ლიბერალიზაციის და ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის დონის ამაღლებით ხასიათდება.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ხდება ეკონომიკის აქტიური გლობალიზაცია, ეკონომიკური ინტეგრაცია, რომლის განუყოფელი ნაწილია ყველა სახის თავისუფალი ეკონომიკური ოფშორული ზონების შექმნა. მათ შორის, თავისუფალი ეკონომიკური ზონების როლი ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკის განვითარების და ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

ექსპორტის ორიენტაციის სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია სპეციალური ეკონომიკური ზონები (სეზ), რომლებიც ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მოსაზიდად, ექსპორტის გაფართოების, სავალუტო შემოსავლების, ახალ ტექნოლოგიებზე წვდომის მიღებისა და საბოლოო ჯამში ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნით იქმნება.

ოფშორული ზონა, თავის მხრივ, ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი სახეობაა. მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებულ თავისუფალი ვაჭრობის ზონების, საექსპორტო-სამრეწველო ზონებისა და სამეცნიერო-სამრეწველო პარკების იდეას ამჯამად ემატება ოფშორული ცენტრების შექმნისა და განვითარების თეორია და პრაქტიკა. მსოფლიო ოფშორული ბიზნესი მზარდ როლს თამაშობს როგორც სასესხო, ისე სამეწარმეო ინვესტიციების მოძრაობაში, მსოფლიოს ქვეყნებს შორის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მომსახურებაში.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების ზოგადი დახასიათება

მსოფლიო სამეურნეო ურთიერთობებში თავისუფალი ეკონომიკური ზონები (თეზ) ძირითადად გვევლინება დაჩქარებული

ეკონომიკური ზრდის ძირითად ფაქტორად ინვესტიციების საერთაშორისო ბრუნვის, მობილიზაციის აქტივაციის, ტექნოლოგიისა და ინფორმაციის გაცვლის ხარჯზე.

მას შემდეგ რაც 1973 წელს ხელი მოეწერა კიოტოს კონვენციას, რომელშიც თავისუფალი ეკონომიკური ზონა განსაზღვრულია, როგორც თავისებური საგარეო ვაჭრობის ანკლავი, სადაც საქონელი საბაჟო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მყოფად ითვლება, თეზ-ები ფართოდ გავრცელდა მსოფლიოში. სპეციალისტების შეფასებით 90-იანი წლების შუა პერიოდში სხვადასხვა ტიპის დაახლოებით 1200 თეზ ფუნქციონირებდა, მათ შორის 400 თავისუფალი სავაჭრო ზონა, 400 სამეცნიერო-სამრეწველო პარკი, 300-ზე მეტი საექსპორტო-სამრეწველო ზონა და დაახლოებით 100 სპეციალური დანიშნულების ზონა (ოფშორული ცენტრი, რეკრეაციული ზონა, ეკოლოგიურ-ეკონომიკური რეგიონები, ტურისტული ცენტრები და სხვა).

ოფშორულ ცენტრებში თავმოყრილია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ყველა საბანკო დეპოზიტების თითქმის მესამედი. სპეციალისტების შეფასებით მსოფლიო საქონელბრუნვის 30 პროცენტი მთელი მსოფლიოს სპეციალურ ეკონომიკურ ზონებზე მოდის. ეს მონაცემები თვალნათლივ მოწმობს მსოფლიო ინტეგრაციის პროცესში თეზ-ის წვლილის მნიშვნელოვან ზრდას.[67]

თავისუფალი ეკონომიკური ზონები ეროვნული ეკონომიკური სივრცის ნაწილია, სადაც შეღავათებისა და სტიმულების ის სისტემა მოქმედებს, რომელიც მის ფარგლებს გარეთ არ გამოიყენება. თეზ-ების შექმნის მიზანი დამოკიდებულია იმ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე, რომლებიც მათ ქმნიან. ასე, განვითარებული მრეწველობის ქვეყნებში ისინი საგარეო ეკონომიკური კავშირების აქტივაციის, მცირე და საშუალო ბიზნესის გამოსაცოცხლებელი რეგიონული პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით იქმნება იმ რეგიონებში, რომლებიც ეკონომიკურ დეპრესიებს განიცდის, იმისთვის, რომ რეგიონთა შორის სხვაობა გამო-

67 Авдокунин Е. Ф. *Международные экономические отношения.* -М: Юрист, 2003. გვ.366.

თანაბრდეს. განვითარებად ქვეყნებში ისინი უცხოური კაპიტალის, ინვესტიციების მოზიდვის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის არის საჭირო. გარდა აღნიშნული მიზეზებისა თეზ-ები შეიძლება შეიქმნას ორი ძირითადი მიზეზის გამო: სამრეწველო ექსპორტის სტიმულირება, ზონების ქცევა ახალი სამეურნეო მეთოდების გამოსაცდელ პოლიგონებად. მრავალ შემთხვევაში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა მიზანშეწონილია ახალათვისებად სამეურნეო რაიონებში, რომლებშიც განვითარებული მრეწველობა, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანი გრძელვადიანი ზოგადსახელმწიფოებრივი პროგრამების განხორციელების საშუალებას იძლევა.

ოფშორული ზონები, მათი ფუნციონირების მიზნები და პრინციპები

თავისუფალი ეკონომიკური ზონების განსაკუთრებული სახეობაა ოფშორული ზონები, ანუ ეგრედწოდებული „საგადასახადო ნავსადგურები". ოფშორულ ზონებში (ცენტრებში) კონცენტრირებულია, როგორც წესი, საბანკო, სადაზღვევო ბიზნესი. მათი მეშვეობით ხორციელდება ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები ტრასტული და კონსალტინგის საქმიანობა.

ოფშორული ზონები თავისუფალ ეკონომიკურ ზონათა შორის განსაკუთრებულ კლასს წარმოადგენს. მათი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ მათში რეგისტრირებულ საწარმოებს არ აქვთ სამრეწველო საქმიანობის განხორციელების უფლება. ოფშორული ზონები კლიენტებს იზიდავენ ხელსაყრელი სავალუტო-ფინანსური რეჟიმით, საბანკო და კომერციული საიდუმლოების დაცვის მაღალი დონით, შეღავათიანი საგადასახადო და საგარეო ეკონომიკური კანონმდებლობით.

საგადასახადო შეღავათებთან დაკავშირებით შესაძლოა ვარიანტები. ირლანდიის, ლიბერიის ოფშორულ ზონებში გადასახადები არ გადაიხდევინება. შვეიცარიაში გადაიხდევინება, მაგრამ ძალზე დაბალი. ლიხტენშტეინის, ანტილიის კუნძულების და პანა-

მის ოფშორულ ზონებში ფირმების რეგისტრაციისას გადაიხდევინება ერთჯერადი თანხა (პაუშალური გადასახადი). ასეთ ზონებში, ჩვეულებრივ, ასევე გადაიხდევინება ყოველწლიური სარეგისტრაციო შესატანები კომპანიებისათვის, საბანკო და სადაზღვევო. ტრასტული საქმიანობის ლიცენზიის მისაღები მოსაკრებლები. ქვეყნების უმრავლესობაში ოფშორულ ზონებში არ მოითხოვება ანგარიშების წარმოების შესახებ ანგარიშების და საგადასახადო დეკლარაციების წარდგენა. გარე აუდიტორები ბევრ მათგანში არ არსებობს, ხოლო ფირმის ანგარიშები მათ მიერ მხოლოდ მფლობელების ნებართვით შეიძლება შემოწმდეს. ანგარიშგების ერთადერთი ფორმაა ყოველწლიური ფინანსური ანგარიში.

ოფშორული ზონის საშეღავათო რეჟიმს, ასევე განაპირობებს სავალუტო შეზღუდვების არარსებობა, მოგების თავისუფალი გატანის შესაძლებლობა, საბაჟო მოსაკრებლებისა და ბაჟის არარსებობა უცხოელი ინვესტორებისთვის, საწესდებო კაპიტალის დაბალი ზღვარი.

ოფშორის საქმიანობის რეჟიმის მეორე წამყვანი ნიშანია იმ ქვეყნის ტერიტორიაზე კომერციული საქმიანობის აკრძალვა, სადაც ოფშორული კომპანიაა დარეგისტრირებული.

ოფშორის მიმზიდველობის მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ რეჟიმის სტაბილურობა. ინვესტორი დაზღვეულია მისთვის არახელსაყრელი ცვლილებებისაგან ოფშორულ ზონაში. ოფშორულ ზონაში მოგების გადასახადი არ არსებობს ან 1-2 პროცენტს შეადგენს.

მიუხედავად მთელი რიგი მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორებისა, ოფშორულ ზონებს გარკვეული ნაკლოვანებებიც გააჩნია. მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში საბაჟო და საგადასახადო სამსახურები (აშშ და ეკ) სისტემატიურ შემოწმებებს ახორციელებენ იმ გარიგებებისა, რომლებიც ოფშორული ზონის ფირმების მონაწილეობით არის დადებული. მეორე ნეგატიური ფაქტორია ოფშორული კომპანიებისადმი უნდობლობის გამოვლინება სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან. ისინი ასევე სიძნელეებს აწყდებიან კრედიტების აღებისას და პარტნიორების მოძიებისას.

იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც თავის ტერიტორიაზე ქმნიან ოფშორულ ზონებს, მოგება მდგომარეობს დამატებითი უცხოური

ინვესტიციების მოზიდვაში, შემოსავლების ზრდაში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში, რაც ზოგადად ეროვნული ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს.

მსოფლიოში ოფშორული ზონების საერთო რიცხვი მხოლოდ პირობითად შეიძლება განისაზღვროს, ვინაიდან ყოველწლიურად ზოგი მათგანი ქრება და სხვები იქმნება. ექსპერტთა აზრით, ამჟამად დაახლოებით სამოცი მდგრადი და კომპლექსური ოფშორული ცენტრი არსებობს, სადაც უკვე დიდი ხანია არის ოფშორული კომპანიები.

ოფშორული ზონების კლასიფიკაცია ხდება მათი საიმედოობის ხარისხის მიხედვით (განვითარებული ქვეყნების ფინანსური სტაბილურობის ფორუმის კლასიფიკაცია) განასხვავებენ ოფშორული ზონების 3 ჯგუფს:

პირველ ჯგუფს მიაკუთვნებენ სინგაპურის, ლუქსემბურგის, ჰონკონგის, შვეიცარიის, დუბლინის და სხვა ოფშორულ ზონებს.

მეორე ჯგუფს მიაკუთვნებენ ანდორის, ბაჰრეინის, ბარბადოსის, მალტის, მონაკოს და სხვა ოფშორულ ზონებს.

მესამე ჯგუფს – ბრიტანეთის და ვირჯინიის კუნძულების, ლიბერიის, კვიპროსის, ლივანის, პანამის, სეიშელების და სხვა.

ოფშორული ზონების დახასიათებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა კარიბის ბასეინის ქვეყნები. ამ ჯგუფში 23 კუნძული სახელმწიფო შედის, ასევე ბელიზი, ჰაიანუ, სურინამი. ამ ქვეყნების ეკონომიკათა საერთო ნიშნებია შეზღუდული ბუნებრივი რესურსები, განუვითარებელი შიდა ბაზრები, ექსპორტსა და ტურიზმზე დამოკიდებულების დიდი მასშტაბები, რაც განაპირობებს მათ მიერ განვითარების ახალი რესურსების ძიების აუცილებლობას, მათ შორის ოფშორული ზონების შექმნის გზით[68].

ბიზნესის ოფშორული სფეროები აქ ორიენტირებულია საერთაშორისო კომპანიებსა და ბანკებზე და ფინანსური და იურიდიული მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს მათ. ლიბერალური სავალუტო კანონმდებლობა, პირდაპირი გადასახადებისაგან ნაწილობრივი ან სრული გათავისუფლება, პოლიტიკური სტაბი-

68 Майорова Т. В. *Инвестиционная деятельность*.-К: ЦУЛ, 2003.გვ.376

ლურობა, უსაფრთხოების გარანტია უცხოელი ინვესტორებისთვის – ეს ყველაფერი იზიდავს უცხოურ კაპიტალს.

ოფშორული ზონების შექმნის ისტორია

ოფშორული ბიზნესის იდეა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა და უცხოელი რეზიდენტების გადასახადებით დაბეგვრის საკითხებთან დაკავშირებით ბრიტანეტში არსებულ სასამართლო პრეცედენტებს ეყრდნობოდა. თავდაპირველად ამ სახის ბიზნესი მოხერხებული ფლოტის ნასადგურის გამოყენებას უკავშირდებოდა,შემდეგ კი ფინანსებისა და სხვადასხვა მომსახურების გაწევის სფეროებზე გავრცელდა.

ევროპაში საგადასახადო თავშესაფრის პირველი ისტორიული პრეცედენტი იყო ქალაქი კამპიონე შვეიცარიისა და იტალიის საზღვარზე, რომელიც სპონტანურად იქცა ასეთად მას შემდეგ, რაც ორივე ამ ქვეყანამ უარი თქვა ამ დასახლებულ პუნქტზე საგადასახადო იურისდიქციის გავრცელებაზე.

მაგრამ ოფშორული ბიზნესის თანამედროვე პრაქტიკის საფუძვლები შემუშავებული და განხორციელებული იქნა ბრიტანელი იურისტების, ბანკირების, დამზღვევებისა და გემთა მფლობელების მიერ. ამიტომ თავდაპირველად საგადასახადო ნავსადგურები დიდ ბრიტანეთსა და მის ყოფილ კოლონიურ სამფლობელოებში იქმნებოდა.

1945 წლის სექტემბერი ღირსშესანიშნავი არა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დასასრულის გამო გახდა, ეს იყო მსოფლიო ეკონომიკაში ახალი ერის დასაბამი – აღორძინებული სამრეწველო კაპიტალები შეუდგნენ პოტენციალის რეალიზაციას იმ საქონლის სფეროში, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრიობას ესაჭიროებოდა მშვიდობიან დროს. მსხვილი კომპანიები ხელსაყრელი კაპიტალდაბანდებების ძიებას შეუდგნენ, მათ შორის საზღვარგარეთაც.

ამავე დროს, იმ ქვეყნების მთავრობებიც კი, რომლებსც დიდი დანაკარგები არ განუცდიათ (რუსეთსა და გერმანიასთან შედარებით) ომის დროს, იძულებლნი იყვნენ ობიექტური მიზეზებით გადაეხედათ საგადასახადო კანონმდებლობისათვის, და ხარჯების

მნიშვნელოვანი წილი გადასახადების გადამხდელებისათვის დაეკისრებინათ. ბუნებრივია, რომ მრეწველობის გიგანტები არ იყვნენ მზად მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქტობრივად გაურკვეველი მიმართულებით გაეცათ. სწორედ აქ ამოძრავდნენ ძალები, რომლებიც ნაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მსოფლიო ეკონომიკაში წინა ათწლეულების მანძილზე.

საერთაშორისო სამრეწველო გიგანტების უმსხვილესი კომპანიების და ბანკების ლიდერებმა, შექმნეს საგადასახადო თავშესაფრის იდეა. მაღალ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებზე რომ არ გაემახვილებინათ ყურადღება, ბრიტანეთის ყოფილ კოლონიებს მიაპყრეს მზერა, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს, მაგრამ არავითარი რესურსები არ გააჩნდათ, არც ბუნებრივი, არც ინტელექტუალური. გაუხმაურებელი შეთანხმებების გზით ამ ქვეყნების კანონმდებლობა საგადასახადო დაბეგვრისა და სავალუტო კონტროლის ლიბერალიზაციამდე იქნა მიყვანილი. განხორციელდა დიდძალი კაპიტალის და ტელეკომუნიკაციის საშუალებების ინვესტიცია.

ამგვარად, მსხვილ ფინანსურ და სამრეწველო კორპორაციებს საშუალება მიეცათ ფინანსური ოპერაციები გადასახადების გადახდის გარეშე განეხორციელებინათ. მეორე მხრივ უბაჟო და უგადასახადო ზონების შექმნამ უცხოური კაპიტალის მოდინება გააძლიერა, ვინაიდან ასეთი ტერიტორიები საეთაშორისო მეანაბრეებისთვის ძალზე მიმზიდველი გახდა. ოფშორული ზონების სასარგებლოდ ითამაშა ცივი ომის მოქმედებათა განვითარებამ, რამაც დიდი რაოდენობით ნატოს სამხედრო ბაზების შექმნა გამოიწვია. და რადგან ბაზების შესაქმნელად კარიბისა და წყნარი ოკეანის ბასეინის ტერიტორიები იყო საჭირო, ავტომატურად გადაიჭრა ოფშორული ზონების დაცვის ამოცანა, რომლებშიც დროთა განმავლობაში უზარმაზარი კომერციულად მნიშვნელოვანი ინფორმცია დაგროვდა.

ყველაზე ძველ ოფშორულ ზონებს შორისაა კუნძული მენი, გერნსი, ჯერნსი, ჰიბრალტარი ასევე ირლანდია და პანამა. სწორედ ეს ქვეყნები და ტერიტორიები არა მარტო დიდი ხნის განმავლობაში ემსხურებოდნენ ევროპული ბიზნესის ინტერესებს, არამედ ყველა ოფშორული ოპერაციის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდნენ.

ომის შედგომ პერიოდში მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელი ოფშორული ცენტრი იყო. 70-წლების დასაწყისში კი დაიწყო ოფშორული ცენტრების შექმნის ერთგვარი ბუმი, რის შედეგადაც გასული ათწლეულის შუა პერიოდში მთელ მსოფლიოში 65-მდე ოფშორული ცენტრი შეიქმნა, რომლებიც საკმაოდ არათანაბრად იყო გადანაწილებული კონტინენტებსა და ქვეყნებზე. კერძოდ სამხრეთ აფრიკაში 19 ცენტრი იყო, ევროპაში – 17, აზიაში – 12, ოკეანიაში – 7, ჩრდილოეთ ამერიკაში – 5, აფრიკაში – 4, ავსტრალიაში – 1[69].

ოფშორული ბიზნესის მასშტაბები ბოლო ხანებში მზარდი ტემპებით მატულობს. არსებული შეფასებებით 90-იანი წლების ბოლოს მსოფლიო სავალუტო ოპერაციების ნახევარი ოფშორული ცენტრების მეშვეობით ხორციელდებოდა. ოფშორული ბიზნესის მასშტაბებზე მეტყველებს მონაცემები ამ ცენტრებში მოქმედი რეგისტრირებული ოფშორული კომპანიების რაოდენობის შესახებ. ასე, პანამაში 90-იანი წლების დასაწყისში რეგისტრირებული იყო 120 ათასი ოფშორული კომპანია, კუნძულ მენზე – 40 ათასი, ჰიბრალტაზე – 25 ათასი, ირლანდიაში – 22 ათასი, ბაჰამებზე – 21 ათასი, კუნძულებზე გერნსი და ჯერსი – 20-20 ათასი, კაიმანის კუნძულებზე – 18 ათასი, კვიპროსზე – 13 ათასი[70].

ოფშორული კომპანიების ტიპები და მათი საქმიანობა

დანიშნულების მიხედვით ჩამოყალიბდა ოფშორული კომპანიების სტანდარტული ტიპები, რომლებიც შეღავთიან საგადასახადო იურისდიქციებში არსებობს.

ძირითადი ტიპებია:

1) სავაჭრო-საშუამავლო ფირმები: ექსპორტ-იმპორტის, შესყიდვებისა და დისტრიბუციის კომპანიები.

2) ჰოლდინგური ტიპის კომპანიები: ოპერატიულ-ჰოლდინგური, საინვესტიციო, გემთამფლობელი, უძრავი ქონების მფლობელი კომპანიები.

69 Данько Т. П., Окрут З.М. *Свободные экономические зоны*.- გვ.168

70 Овчиникова С. Г. *Зоны свободного предпринимательства*.-СПб.1996. გვ.210

3) ფინანსური პროფილის კომპანიები: ოფშორული ბანკები, ფინასური საშუამავლო კომპანიები, სადაზღვევო სექტორის საწარმოები, გადაზღვევის კომპანიები.

ამასთან, ამ კომპანიების ძირითადი ოპერაციებია ექსპორტ-იმპორტი, ექსპორტი, იმპორტი.

ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები ოფშორული კომპანიების მონაწილეობით ძალზე გავრცელებულია. ასეთი ტიპის კომპანიები სრულიად კანონიერ საფუძველზე საგადასახადო სახდელების შემცირების საშუალებას იძლევა მოგების მინიმიზაციის გზით, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ არსებული ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე, ასევე, ამონაგები ვალუტის საზღარგარეთ გატანისა და ოფშორულ ბანკებში ანგარიშებზე გადამალვის საშუალებას. ამასთან, არავითარი რისკი არ არსებობს, ვინაიდან ყველა ცნობა კონფიდენციალური ხასიათისაა და რეალური მფლობელის დადგენა შეუძლებელია.

ოფშორული კომპანიების მონაწილეობით საექსპორტო ოპერაციები ბევრ რამეში იმეორებს იმპორტის ოპერაციებს, ოღონდ შებრუნებით. ახორციელებენ რა საექსპორტო საქონლის „საკუთარი“ ოფშორული ზონების მეშვეობით მიწოდებას, ბიზნესმენები მაქსიმალურად ამცირებენ მის ფასს, ხოლო საზღვარგარეთ მსოფლიო ფასებში რეალიზაციის შემდეგ ღებულობენ გადასახადებისგან თავისუფალ მოგებას.[71]

უნდა აღინიშნოს, ასევე, ოფშორული ტერიტორიების მაღალგანვითარებული სადაზღვევო ბიზნესი. მისი განვითარების ფორმალური მიზეზი ოფშორულ ზონებში არსებული მაღალი რისკია, მაგრამ აქაც ვხვდებით რიგ ოპერაციებს, რომლებიც სავალუტო სახსრების საზღვარგარეთ ლეგალურად გატანას ემსახურება, სადაც ისინი ოფშორული კომპანიის ანგარიშებზე აკუმულირდება.

71 Смородинская Н., Капустин А. *Свободные экономические зоны: мировой опыт и перспективы.* : Вопросы экономики, გვ.178

დასკვნები

დასკვნების გამოსატანად ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი ბაზის სწრაფი განვითარების მიუხედავად არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფოებრიობა მისთვის დამახასიათებელი მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ახალი და ნაკლები გამოცდილება კორპორაცული სამართლის და კორპორაციული ურთიერთობების დარგში.

აქვე უნდა აღინიშნოს ამჟამად მსოფლიოში აქტუალური გლობალიზაციის, თანამშრომლობის, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების სამართალსუბიექტების ურთიერთინტეგრაციის ტენდენცია, რაც თავისმხრივ, კორპორატიული სამართლის ამჟამად არსებულ იმ მსოფლიოს სისტემების თავისებურებათა ცოდნის აუცილებლობას განაპირობებს.

სისტემების განსხვავებები, რომლებიც განპირობებულია იმით, თუ როდის ჩამოყალიბდა ისინი, ქვეყნების პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით, კულტურული განსხვავებებით და თავისებურებებით, ჩვეულებების სხვაობით არ შეიძლება არ ასახულიყო სამართლებრივ სისტემებზე და, რა თქმა უნდა, მის ერთ-ერთ მიმართულებაზე – კორპორატიულ სამართალზე. სხვაობა და თავისებურებები კი მრავალ ისეთ საკითხს წარმოშობს, რომელსაც გადაწყვეტა ესაჭიროება. საერთაშორისო კორპორატიული ურთიერთობების გაფართოების კვალდაკვალ ამ საკითხებისა და პრობლემების გადაჭრა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. განსაკუთრებით მართვის სისტემებთან და მეთოდებთან, ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციასთან, ჩვეულებებსა და სამართლებრივ პრეცედენტებთან დაკავშირებით.

ამ გამოცემის მასალები მკითხველს საშუალებას აძლევს, გაეცნოს ძირითად მსოფლიო სისტემებს, კორპორატიული სამართლის სისტემების ძირითად ასპექტებს მათი ჩამოყალიბების ისტორიიდან მოყოლებული, რაც ამ სფეროს ფუნდამენტურ შესწავლაში დაეხმარება.

ევროპის ქვეყნების, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის სისტემათა, თავისუფალი ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბებული პრაქტიკის განხილვა დაეხმარება მეწარმეებს, სხვადასხვა ფაკულტეტების სტუდენტებს, პრაქტიკოს იურისტებს და მსოფლიო კორპორატიული სამართლით დაინტერესებულ სხვა პირებს, იპოვონ პასუხები სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებთან დაკავშირებულ კითხვებზე. გაეცნონ სამართლებრივი სისტემების გამოცდილებას, რეგულირების მეთოდებს, თვალი მიადევნონ მათთვის საინტერესო დადებით თუ უარყოფით მომენტებს.

რაც შეხება თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს, ოფშორულ ზონებს – განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ისინი განიხილება, როგორც დადებითი და ეკონომიკისთვის აუცილებელი მოვლენა. ოფშორული ზონების განვითარებას მივყავართ მათი რიცხვის ზრდამდე მთელს მსოფლიოში.

ოფშორულ ზონებს რიგი მნიშვნელოვანი უპირატესობა და დადებითი მხრე აქვს, რაც მათი რიცხვის მატებას განაპირობებს. პირველ რიგში ისინი ბიზნესის, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას უწყობს ხელს, ემსახურება მათი საქმიანობის აქტივირებას და ფეხზე დადგომაში ეხმარება, რათა შემდეგ მათ გადასახადების გადახდა შეძლონ. ამიტომ არაა გასაკვირი ოფშორული ზონების არსებობა ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა შვეიცარია, ირლანდია, მონაკო.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოფშორული ზონები შეიძლება იყოს ფინანსური მაქინაციების ერთ-ერთი საშუალება, თაღლითობის, გადასახადებისაგან არაკეთილსინდისიერი თავის არიდების და ა.შ. ამიტომ უნდა აღინიშნოს, რომ ოფშორული ზონების განვითარებას თან უნდა ახლდეს მარეგულირებელი ინსტიტუტების განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურის და რესურსების სია

- Алексеев С.С. Собственность в акционерном обществе//Цивилистическая практика. 2003. N 1 (6).
- Пахомова Н.Н. Указ. соч.
- Попондопуло В.Ф. Коммерческое (предпринимательское) право. Учебник. М., 2003.
- Жалинский А., Рерихт А. Указ. соч.
- Кашанина Т.В. Корпоративное право. Учебник. М., 1999.
- Кашанина Т.В. Корпоративное (внутрифирменное) право. Учебное пособие. М., 2003.
- Кашанина Т.В. Корпоративное право: (Право хозяйственных товариществ и обществ).
- Алейник С.А. Корпоративные нормы: определение понятия. 2003. N 3.
- Шиткина И.С. Правовое регулирование деятельности акционерных обществ внутренними локальными документами. Дисс. ... канд. юрид. наук. М., 1997.
- Модельного закона о предпринимательских корпорациях США (1984 г.)
- კანონი კომპანიების შესახებ.ინგლისი 1985 წ.
- Функ Я.И. и др. Акционерное общество: История и теория: (Диалектика свободы). Минск, 1999.
- Clark R. Corporate law.Toronto, 1986.
- Функ Я.И. и др. Указ. соч.
- Сыродоева О.Н. Акционерное право США . М., 1996.

- Петровичева Ю.В. Акционерное законодательство Англии : Сравнительно-правовой анализ., 2002.
- Василевская Л.Ю. Учение о вещных сделках по германскому праву. М., 2004.
- Жалинский А., Рерихт А. Введение в немецкое право. М., 2001.
- Осиновский А. Акционер против акционерного общества. СПб., 2003.
- Килячков А. Корпоративное управление как фактор привлечения и защиты инвестиций//Рынок ценных бумаг. 2003. N 4.
- Гололобов Д.В. Акционерное общество против акционера: противодействие корпоративному шантажу. М., 2004.
- Кирдякин А.А. Корпоративный шантаж (гринмейл) и методы борьбы с ним//Современное право. 2002. N 5
- Гололобов Д.В. Указ. соч.
- Петровичева Ю.В. Акционерное законодательство Англии., 2002.
- Приходина Ю.А. От качества корпоративного управления – к инвестиционной привлекательности компаний//Право и экономика. 2003. N 5
- Соколов В. Акт Сарбайнса – Оксли//Юрист и бухгалтер. 2003. N 12.
- Антонец О. Скандал в корпоративном семействе//Директор. 2002. N 28.
- Безумие по-американски//Санкт-Петербургские ведомости. 2002. 29 июня
- Корпоративное поведение./Под ред. И.В. Костикова.
- Принципы корпоративного управления ОЭСР/ www.ricd.ru
- Приходина Ю.А. От качества корпоративного управления – к ин-

вестиционной привлекательности компаний//Право и экономика. 2003. N 5

- Авдокунин Е. Ф. Международные экономические отношения. -М: Юристъ, 2003.
- Майорова Т. В. Инвестиционная деятельность.-К: ЦУЛ, 2003.
- Данько Т. П., Окрут З.М.Свободные экономические зоны.
- Овчиникова С. Г. Зоны свободного предпринимательства.-СПб.1996.
- Смородинская Н., Капустин А. Свободные экономические зоны: мировой опыт и перспективы. : Вопросы экономики.
- http://www.libsid.ru
- http://lawtoday.ru/razdel/biblo
- http://eulaw.ru/treaties/teu
- http://lawtoday.ru/razdel/biblo/korpar-prav/
- http://www.kukiani.ru/index.php
- http://dic.academic.ru/dic.nsf/fin_enc/18690
- http://www.pravo.vuzlib.org/book_z1025
- http://infospy.ru/Articles/article_storyid_4194.html
- http://socio-org.narod.ru
- http://www.corp-gov.ru/projects/principles-ru.pdf)
- http://www.preiskurant.ru/
- http://yourlib.net/content/view
- http://lawtoday.ru/razdel/biblo
- http://www.goodwin-gmc.com/wp-content/uploads/2010/02/TableA.pdf

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

View publication stats